K 171530
3


ВСЕГДА ГОТОВЫ!

ЗКЮП

ЗКЮП(С41)
3 ნ3ბ 147·922
6.678

გამარჯობა, პატარა მეგობარო!
შენი „ნაკადული“
პიონერთა ორგანიზაციაში შესვლას
გილოცავს!
ჩვენ ადრეც ხშირად შევხვედრივართ
ერთმანეთს, — ჯერ კიდევ მაშინ,
როცა სულ პატარა იყავი და
მშობლები გიკითხავდნენ ჩვენ
მიერ გამოცემულ წიგნებს,
და მაშინაც, როცა
დამარცვლით კითხულობდი შენს
„დედაენას“.
მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა
და, აი, ახლა შენც უკვე პიონერი ხარ, დიდი
პიონერული ოჯახის
ერთი რიგითი წევრი.
ალბათ, ამის შემდეგ უფრო ხშირად
შევხვდებით ერთმანეთს,
ჩვენი წიგნებიც დაგეხმარება
შენი პიონერული საქმეების მოგვარებაში.
დღევანდელი დღის სახსოვრად კი, აი,
ეს პატარა წიგნი მიიღე.
იგი იქნება შენი
პირველი მეგზური პიონერეთის
უცნაურ სამყაროში...

С $\frac{70803-128}{М-603(08)-77}$ 65—77

ᲮᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲡ ᲜᲘᲜᲣᲐ

K 142530
3

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

„მე,————————————————————,

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის პიონერთა
საკავშირო ორგანიზაციის რიგებში რომ შევდივარ,
ჩემი ამხანაგების წინაშე ვიძლევი საზეიმო დაპირებას:
მხურვალედ მეყვარება ჩემი სამშობლო,
ვიცხოვრებ, ვისწავლი და ვიბრძოლებ ისე,
როგორც გვიანდერძა დიდმა ლენინმა,
როგორც გვასწავლის კომუნისტური პარტია,
მუდამ შევასრულებ საბჭოთა კავშირის პიონერის კანონებს“.

„საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით და გავშვთა კომუნისტური აღზრდისათვის მისი დიდი მუშაობის აღსანიშნავად, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაცია დაჯილდოვდეს ვ. ი. ლენინის ორდენით“.

(სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
1962 წლის 17 მაისის ბრძანებულებიდან)

„ლენინის ანდერძის სულისკვეთებით გავშვთა აღზრდაში გაწეული დიდი მუშაობისათვის და შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაცია დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით“.

(სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
1972 წლის 18 მაისის ბრძანებულებიდან)

საბჭოთა კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი საბჭოთა,
პარტიის, კოჰშვნიჩმის ერთგულია.

პიონერი მზადებაა,
რომ გახდეს კომკავშირელი.

პიონერი ბრძოლისა
და ზრუნვის გმირებს უსწორდება.

პიონერი პატივს სცემს
დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას და
მზადებაა, რომ გახდეს საბჭოთა
დამცველი.

საბჭოთა კავშირის

პიონერთა კანონები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი მეუპოვარია
სწავლაში, შრომასა და სპორტში.

პიონერი პატიოსანი
და ერთგული ამხანაგია, მუდამ
გაბედულად იცავს სიმართლეს.

პიონერი ოქტომბრელთა
ამხანაგი და წინამძღოლია.

პიონერი ყველა ქვეყნის
პიონერთა და მშრომელთა შვილების
მეგობარია.

პიონერთა კანონები

ბავშვთა ორგანიზაცია — ეს არის კომუნარების აღზრდის საუკეთესო გზა.

ვ. ი. ლენინი

იყო პიონერი — ეს მარტო წითელი ყელსახვევის ტარებას არ ნიშნავს. იყო პიონერი — ნიშნავს, მონაწილეობდე ცხოვრების გაუმჯობესებაში, ფიქრობდე იმაზე, როგორ გააკეთო ეს.

ნ. კრუპსკაია

კარგია იყო პიონერი საბჭოთა ქვეყანაში. პიონერული ასაკი — ეს არის ადამიანის ცხოვრების საუკეთესო წლები.

მაგრამ თქვენს წინ უფრო ნათელი მომავალია. იყავით მზად, შეხვდეთ ამ მომავალს ღირსეულ მემკვიდრეებად!

რა არის ამისათვის საჭირო? უპირველეს ყოვლისა — კარგი სწავლა, სამშობლოს სიყვარული.

მ. კალინინი

ისწავლეთ მუშათა და გლეხთა დიადი საქმის სამსახური, იცოდეთ, რომ ამ გზაზე თქვენ გელით დიდება, ბედნიერება და გამარჯვება.

ს. ორჯონიკიძე

საბჭოთა ქვეყნის მომავალი იქნება ისეთი, როგორსაც შექმნიან მას დღევანდელი ოქტომბრელები, პიონერები და კომკავშირელები. პარტიას მტკიცედ სწამს, რომ ეს მომავალი იქნება საუცხოო, რომ ჩვენი შვილები და შვილიშვილები ღირსეულად ატარებენ წინ ოქტომბრის რევოლუციის დიად ღროშას.

ლ. ბრეჟნევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენ-
ტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ
ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

მუდამ მზად ვართ!

ჩვენ დიდი, მეგობრული პიონერული ოჯახის წარგზავნილები, შევიკრიბეთ არტეკში ჩვენს მეექვსე, კომკავშირისა და პიონერული ორგანიზაციისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ შეკრებაზე.

ნახევარი საუკუნეა, რაც ჩვენს პიონერულ დროშას ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უკვდავი სახელი ამშვენებს. ჩვენ, სამოცდაათიანი წლების პიონერები, ისევე როგორც ყოველი პიონერული თაობა, ლენინის ანდერძის ერთგულნი ვართ. გპირდებით, რომ არ შევლახავთ წმიდათაწმიდა ღირსებას, მთელი ჩვენი ცხოვრებით, სწავლით, შრომით გავამართლებთ ნორჩ ლენინელთა მაღალ წოდებას.

ჩვენ მშვენიერი, ბედნიერი, ძლევამოსილი ქვეყნის შვილები ვართ, ყოველდღე, ყოველ საათს ვგრძნობთ, რა მამობრივად ზრუნავენ ჩვენზე სამშობლო, კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა.

რა სასიხარულო იყო ყოველი ჩვენგანისათვის იმის გაგება, რომ ჩვენთვის კიდევ უფრო მეტ პიონერთა სასახლეებს, ნორჩ ტექნიკოსთა, ნატურალისტთა, ტურისტთა სადგურებს, ბანაკებს ააშენებენ, კიდევ უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახდება ჩვენი არდადეგები!

მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას გულუხვობის, სიკეთისა და სიყვარულისათვის საბჭოთა ბავშვებისადმი.

გმადლობთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, იმისათვის, რომ ასე დიდ ყურადღებას უთმობთ ნორჩ პიონერებს, ზრუნავთ ჩვენზე.

ვამაყობთ, რომ ალკკ XVII ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან გაისმა პარტიის მამობრივი სიტყვა პიონერიაზე.

ჩვენი უფროსი ხელმძღვანელის — კომკავშირის — წინამძღოლობით გამოვიმუშავებთ შრომისმოყვარეობას, პატიოსნებას, კეთილშობილებას, უფროსებისადმი პატივისცემას, სწავლაში თანმიმდევრულობას, ცხოვრებაში ცოდნის გამოყენების უნარს, სამშობლოსადმი სიყვარულს, ლენინური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულებას.

საბჭოთა ხალხი მოელის ნათელ დღესასწაულს — დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავს.

ჩვენ იმათი შვილიშვილები ვართ, ვინც ომის მრისხანე წლებში უშიშრად ებრძოდა მტერს ხალხთა ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. ყველა ბავშვმა იცის, რომ ომის ძნელ გზებზე, პირველი დღიდან გამარჯვების სალუტამდე, იარეთ თქვენც, ლეონიდ ილიას ძევ.

და დღეს, ამ მშვიდობიან, სასიხარულო დღეს, მხურვალე, გულითად მადლობას გიძღვნით ჩვენი სამშობლოს ყველა დამცველს, მათ, ვინც უღრუბლო, ბედნიერი ბავშვობა გვაჩუქა.

არტეკში ჩვენთან ერთად არიან ჩვენი თანატოლები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ჩვენ სხვადასხვა სახელები, სხვადასხვა ენა, განსხვავებული სიმღერები გვაქვს, მაგრამ ჩვენ ყველას გვძულს ომი, გვძულს ფაშიზმი. ჩვენ ყველანი მშვიდობაზე ვოცნებობთ, გვსურს მეგობრები და ამხანაგები ვიყოთ.

ჩვენ საერთო არტეკულ მადლობას ვუძღვნით კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის დაუღალავი ბრძოლისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელთა ბავშვების ბედნიერებისათვის ბრძოლისათვის.

დაე, მუდამ იყოს მზე!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირს!!

გაუმარჯოს მშვიდობას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად მუდამ მზად ვართ!

პიონერთა VI საკავშირო შეკრების დელეგატები
არტეკი, 1974 წლის აგვისტო

ჩვენი ქვეყნის ყველა ნორჩ ლენინელს

პიონერო! ამხანაგო! მეგობარო!

შენ მოგმართავს პიონერთა VI საკავშირო შეკრება, სამი ათასი მისი დელეგატი. შენთან ერთად, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ყმაწვილთან ერთად, ჩვენ დღეს მადლობის სიტყვებით მივმართავთ საბჭოთა ხალხს, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ჩვენს წინამძღოლს — კომკავშირს — სიყვარულისა და მზრუნველობისათვის, ბედნიერებისათვის, რომ ვცხოვრობთ და ვიზრდე-

ბით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, სადაც ყოველი ჩვენგანისათვის დიაა დიდ ცხოვრებაში გასასვლელი ნათელი გზა.

პიონერო, სადაც არ უნდა ცხოვრობდე, დიდ ქალაქსა თუ სოფელში, შენ ხედავ მამულისადმი სამსახურის ნათელ მაგალითს— კომუნისტების, კომკავშირელების, შრომის გმირების მაგალითს. მათგან ვისწავლოთ ლენინის ანდერძისადმი, ოქტომბრის წითელი დროშისადმი, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების წმინდად დაცვა. მათგან ვისწავლოთ თავდადებული შრომა, სამშობლოს სიყვარული და დაცვა, როგორც იცავდნენ მას ჩვენი მამები, გმირი კომკავშირელები, ჩვენი თანატოლი გმირი პიონერები.

ვიყოთ ისეთნი, როგორებიც ისინი იყვნენ, განვაგრძოთ მათი რევოლუციური საქმე! გვქონდეს დიდებული ლენინური თვისებები: კომუნისტური იდეურობა, შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, კეთილშობილება, შეუპოვრობა სწავლაში, შრომის სიყვარული, დიადი ლენინური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება.

შევასრულოთ კომკავშირის XVII ყრილობის განაწესი!

კარგად და წარჩინებით ვისწავლოთ, მტკიცედ ვიმეგობროთ, ერთმანეთს დავეხმაროთ, ვიცით, რომ გველის შემოქმედებითი სასიხარულო შრომა ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ვემზადებით კიდეც ამისათვის. ახლაც გვსურს ჩვენი პიონერული წვლილი შევიტანოთ მეცხრე ხუთწლედში. მოგიწოდებთ ყველას: ჩაებით ოპერაციაში — „ბაიკალ-ამურის მაგისტრალს—პიონერული რელსები!" მონაწილეობა მიიღეთ დიდ ლაშქრობაში მაკულატურისა და პოლიმერული მასალების შესაგროვებლად — „მილიონი — სამშობლოს!" გავუფრთხილდეთ და დავამშვენოთ სახლი, სადაც ვცხოვრობთ, სკოლა, სადაც ვსწავლობთ, ბუნება, რომელიც გარს გვარტყია.

პიონერებო! ვიყოთ მზად შრომისა და სამშობლოს დასაცავად! ყველანი გავხდეთ მშდ ნიშნოსნები!

ჩვენი კომუნისტური პარტია გვასწავლის — ვიმეგობროთ მთელ მსოფლიოს მშრომელთა შვილებთან, განვამტკიცოთ ერთიანობა სოციალისტური ქვეყნების პიონერებთან; გავიზარდოთ პატრიოტი ინტერნაციონალისტები! უფრო აქტიური მონაწილეობა მივიღოთ სოლიდარობის საერთაშორისო მოძრაობაში მათთან, ვინც იბრძვის იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, ვინც იბრძვის იმისათვის, რომ მშვიდობა

სუფევდეს მთელ დედამიწაზე. „თავისუფლება პოლიტიკურ პატიმრებს!“ „ძირს ჩილეს ფაშისტური ხუნტა!“ „თავისუფლება ამხანაგ ლუის კორვალანს!“, „დაე, მუდამ იყოს მზე!“

პიონერო! რგოლო! რაზმო! რაზმეულო! დადექი საკავშირო მარშის სტარტზე! წარჩინებული სწავლით, შრომაში, სპორტში, საზოგადოებრივ საქმიანობაში წარმატებით ვუპასუხოთ სამშობლოს, პარტიის, ხალხის მამობრივ მზრუნველობას!

მზად ვიყოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად!

პიონერთა VI საკავშირო შეკრების დელეგატები
არტეკი, 1974 წლის აგვისტო

შენ პიონერი ხარ

შენ უკვე პიონერი ხარ. გიკეთია პიონერული ყელსახვევი, ატარებ პიონერის სამკერდე ნიშანს, მაგრამ თუ იცი, რას ნიშნავს ყოველივე ეს? თუ ჩაფიქრებიხარ საზეიმო დაპირების სიტყვებს? როგორ უნდა იცხოვრო, ისწავლო და იშრომო ისე, რომ არ გატეხო შენი თანატოლებისათვის მიცემული ფიცი?

ამ კითხვებზე პიონერული კანონები გაგცემენ პასუხს. ბევრი არ არის ეს კანონი, მხოლოდ რვა მუხლია, მაგრამ ნათქვამია ყველაფერი, რაც შენ გეხება — როგორი უნდა იყო, როგორ უნდა იქცეოდე, რას მოითხოვს სამშობლო შენგან. ეს კანონები თავისით არ მოსულა, პიონერთა თაობები ხუთ ათეულ წელიწადს წერდნენ მას. ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მისი მოთხოვნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ორგანიზაციის ისტორიასთან, მის საუკეთესო ტრადიციებთან.

პიონერთა თაობები ამ კანონებით შეგახსენებენ, რომ შენი ცხოვრების ყოველი წუთი ხალხს და სამშობლოს ეკუთვნის. შენ უნდა იყო უშიშარი და პირდაპირი, როგორც პავლიკ მოროზოვი, მამაცი და გაბედული, როგორც ვალოდია დუბინინი, ბეჯითი და დაუზარელი, როგორც ნათელა ჩელებაძე. დაეხმარე ადამიანებს ცხოვრების უკეთ გარდაქმნაში; იოლ გზას ნუ აირჩევ, იყავი იქ, სადაც ყველაზე მეტად ხარ საჭირო, — ეს უბრალო სიტყვები არაა, ეს არის ყველაზე დიდი პიონერული დავალება, შენ ხომ დღეიდან ჩვენი ხალხის დიდი საქმეების აქტიური მონაწილე ხარ. მონაწილე და არა მოწმე!

პიონერთა მარში

მუსიკა რ. გაბიჩვაძისა

ლექსი კ. კალაძისა

ჩვენ მოვდივართ და მოვიმღერით, პიონერები,
ვარდ-ყვავილებით გზას გვიფენენ მინდორ-ველები,
ეს აღფრთოვანება ჩვენი ქვეყნის სიყვარულია,
ხმა დაფდაფისა რომ გაისმის — ჩვენი გულია.

მისამღერი:

მაშ, ერთად ძმებო, ერთად ნათელ გზით,
დღეს ხარობს გული მზით და ხალისით,
ცა დილის შუქით თავის ღიმილს გვფენს,
ცად აწვდილ დროშებს — ვაშა! ალისფერს!

ხვალ ჩვენი რაზმი ზღვას გასცურავს, ცად აფრინდება,
რომ სიყვარულით ქვეყნის ბელადს უთხრას დიდება,
მან ბრწყინვალებით ბედნიერი გზა გაგვინათა
და ჩვენც ამ ბაღნარს მოვევლინეთ ვარდ-ყვავილებად.

მისამღერი:

ჩვენ კომკავშირი ერთად გვრაზმავს, გვაამხანაგებს,
ჩვენ ავაშენებთ გმირულ შრომით ახალ ქალაქებს.
ჩვენს ირგვლივ ცამდე აღმართული ლურჯი მთებია,
ჩვენს ვაჟკაცობას, ჩვენს მარჯვენას ელოდებიან.

მისამღერი:

შენ მხოლოდ ოთხ წელს იქნები პიონერი. ეს არც ისე დიდი დროა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ საინტერესოდ და შინაარსიანად გაატარო ამ ოთხი წლის ყოველი დღე, ყოველი საათი. ამიტომ მიგიღეთ ჩვენს ორგანიზაციაში; ამიტომ აქვს განსაკუთრებული აზრი იმას, რომ იცხოვრო პიონერული კანონების მიხედვით. ყოველ წუთს, ყოველ საქმეში, ყოველი დიდი თუ პატარა დავალების შესრულების დროს გახსოვდეს საზეიმო დაპირების სიტყვები.

ისე უნდა იცხოვრო, რომ მუდამ შენი პიონერული ფიცის ერთგული დარჩე, სიხარული მოუტანო ადამიანებს.

პ ი ო ნ ე რ ი

ჩვენ ვიწყებთ მოგზაურობას იმ საოცარ ქვეყანაში, პიონერეთი რომ ეწოდება. ეს, მართლაც, ზღაპარივით ლამაზი ქვეყანაა თავისი გმირებით, საინტერესო ამბებითა და კანონებით. ამ ქვეყანას სიმღერებიც თავისი აქვს და ზეიმებიც თავისებური და მიმზიდველი. კოცონზე არაფერს ვამბობ, კოცონის ამბავი ხომ ისედაც კარგად იცით.

დღეს ოცდახუთი მილიონი შენი თანატოლი ატარებს პიონერის სახელს, უფრთხილდება პიონერის ღირსებას. პიონერი ფრანგული სიტყვაა, ნიშნავს მუდამ წინმავალს, პირველს, მოწინავეს, ახლის წამომწყებს.

ალბათ, ვერავინ იტყვის, პირველად ვის უწოდეს პიონერი. ძველ დროში, მრავალი წლის წინათ, პიონერს უწოდებდნენ იმას, ვინც პირველი შეაღწევდა გამოუკვლევ კუნძულზე ან ქვეყანაში და იქ დასახლდებოდა; პიონერს ეძახდნენ იმასაც, ვინც ახალ გზას გაიკაფავდა მეცნიერებაში, და იმასაც, ვინც რაიმე სასიკეთო სიახლეს წამოიწყებდა... ერთი სიტყვით, პიონერს უწოდებდნენ ყველას, ვისაც ადამიანებისათვის სიკეთე მოჰქონდა.

ჩვენი საუკუნე დიდი პიონერების საუკუნეა. ვლადიმერ ლენინი, იოსებ სტალინი, იაკობ სვერდლოვი, ფელიქს ძერჟინსკი, მიხეილ კალინინი, — შენ კარგად იცნობ ამ სახელებს. ისიც იცი, რომ მათ მთელი თავისი სიცოცხლე კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლას შესწირეს. მათთვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობდა — არც მეფის ძალადობა, არც კატორღა. ლენინმა ოთხი წელი გაატარა ციმბირში, ტაიგაში მივიწყებულ შუშენსკოეში. შემდეგ ცამეტ წელიწადს უცხოეთში ცხოვრობდა, მაგრამ ერთი დღითაც არ გაუწყვეტია კავშირი რუსეთის მუშათა

კლასთან, შეიარაღებული აჯანყებისათვის ამზადებდა მას. სტალინიც სამჯერ იყო ციმბირში გადასახლებული, მაგრამ სამჯერვე გამოიქცა, რომ კვლავ სათავეში ჩასდგომოდა მუშათა მოძრაობას. დიახ, მათთვის და მათი თანამებრძოლებისათვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობდა. მათ ახალი ნაშრომებით გაამდიდრეს მარქსისა და ენგელსის მოძღვრება კომუნიზმზე, შექმნეს მუშათა და გლეხთა პირველი თავისუფალი სახელმწიფო მსოფლიოში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

ჩვენი ხალხი მათი ხელმძღვანელობით შეუდგა კომუნიზმის მშენებლობას. მათ — ლენინური გვარდიის ჯარისკაცებს — ამიტომაც ვუწოდებთ კომუნიზმის პიონერებს.

ხშირად გესმის სიტყვები: შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება. ეს სიტყვები ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ ამ ოთხი ათეული წლის წინათ დამკვიდრდა. ჩვენს ხალხს შრომა შეუძლია, მას ოქროს ხელები აქვს, საქმეს არასოდეს გაქცევია. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა მაშინ, როცა ყველაფერი — მიწებიც, ფაბრიკებიც და ქარხნებიც — ხალხის საკუთრებაში გადავიდა, მუშებიც და გლეხებიც თავისთვის შრომობდნენ, თავისი სახელმწიფოსათვის, და შრომისადმი დამოკიდებულებაც შეიცვალა. ყველას ესმოდა — რაც მეტ მოსავალს მოიყვანდა, რაც უფრო მალე ააშენებდნენ ქარხნებს, ფაბრიკებსა და ელექტროსადგურებს, ცხოვრებაც მით უფრო გაუმჯობესდებოდა. ასე დაიწყო დამკვრელური შრომა-შეჯიბრება, რომ ერთ დღეში ორი და სამი დღის ნორმა შეესრულებინათ. ასე გამოჩნდნენ პირველი ხუთწლედის გმირები — დონეცკელი მაღაროელი ალექსი სტახანოვი, ფეიქარი მარინა ვინოგრადოვა, ქვეყნის საუკეთესო მეფოლადე, კომკავშირელი მაკარ მაზაი, პირველი ტრაქტორისტი ქალი პაშა ანგელინა და ბევრი მათი თანამედროვე.

ამ ადამიანებმა ჩაუყარეს საფუძველი დამკვრელურ შრომას, ხალხი მათ შემოქმედებითი შრომის პიონერებს უწოდებს.

სამართლიანად ამბობენ, კოსმოსისაკენ მიმავალი გზა კალუგაზე გადისო. აქ, კალუგაში, კოროვინის ქუჩაზე, ცხოვრობდა კონსტანტინე ციოლკოვსკი. მან ააგო პირველი აეროდინამიკური მილი, მან იხმარა პირველად ამ სამოცდათხუთმეტი წლის წინათ სიტყვა „რაკეტა“, საპლანეტათშორისო მოგზაურობის გეგმას რომ ამუშავებდა. მის სახლ-მუზეუმში არის აკადემიკოს სერგეი კოროლიოვის და კოსმონავტ იური გაგარინის სურათებიც. ციოლკოვსკი კოსმოსის ერთ-ერთი პირველი მკვლევარია, კოროლიო-

ვი — პირველი კოსმოსური ხომალდების კონსტრუქტორი, გაგარინი — პირველი კოსმონავტი. ადამიანი პირველად ამ სამი სახელით გასცილდა თავის დედამიწას, დაადგა შორეული პლანეტებისაკენ მიმავალ გზას, უფრო ძლიერი და ყოვლისშემძლე გახდა.

და მათ — შორეული სივრცის პირველ მკვლევარებს, — კოსმოსის პიონერებს ვუწოდებთ.

ჩვენი ხალხი მდიდარია ასეთი ადამიანებით. ყოველდღე გვესმის მეცნიერების, ტექნიკის, შემოქმედებითი შრომის პიონერების ახალი სახელები. ახლა შენც მათ რიგებში დგახარ, შენც პიონერი ხარ და ისე უნდა იცხოვრო, როგორც პიონერს შეეფერის. ეცადე, რომ ბევრითი სწავლით, შრომითა და პიონერული საქმეებით მხარი უსწორო უფროს ამხანაგებს — კომუნისტებს და კომკავშირელებს, ყველას, ვინც თავისი საქმის ნამდვილი პიონერია.

პიონერის დევიზი

ასეთია პიონერული ცხოვრების კანონი.

მოწოდებაზე: „პიონერო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!“ — პიონერი უპასუხებს: „მზად ვარ!“

წითელი დროშის ამბავი

მოსკოვში, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცენტრალურ მუზეუმში, თითქმის ნახევარი საუკუნეა ინახება ფრანგი მუშების საჩუქარი — კომუნარების წითელი დროშა. მეწამული ფერის ქსოვილს რომ უყურებ, თითქოს ისევ ცოცხლდებიან პარიზის კომუნის შორეული დღეები...

რაზე მოგვითხრობს კომუნარების დროშა?

ეს არის ამბავი ბობოქარ წლებზე და ბრძოლებზე. ეს ამბავი 1832 წელს დაიწყო, როცა ივნისის ერთ მზიან დღეს პარიზის ქუჩებში სისხლისფერი დროშა გამოჩნდა. ქალაქის მყუდროება დაირღვა, ქუჩებში ბარიკადები აღიმართა. აჯანყებული მუშები შეტევაზე გადადიოდნენ ბარიკადებზე დაღუპულთა სისხლში ამოვლებული დროშებით. ისინი ამით პატივს სცემდნენ თავიანთ თანამებრძოლებს და ფიცსაც აძლევდნენ, რომ თვითონაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ. პარიზის ბარიკადებზე ასე დაიბადა თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო — წითელი დროშა.

მუშათა აჯანყება დამარცხდა, მაგრამ პარიზის ქუჩებმა ორმოცი წლის შემდეგ კვლავ იხილეს რევოლუციის დროშები: 1871 წლის 18 მარტს პარიზი ისევ აჯანყდა. ბარიკადები წითელი

დროშებით იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ. პარიზის თავზე სამოცდათორმეტ დღეს ფრიალებდა კომუნარების წითელი დროშა.

კომუნამ მხოლოდ სამოცდათორმეტ დღეს იარსება, მისი სისხლისფერი დროშები კი ახლაც ფრიალებენ. ხუთი წელიც არ იყო გასული, რომ წითელი დროშა პეტერბურგის ქუჩებშიც გამოჩნდა. იგი მუშათა პირველ დემონსტრაციას მიუძღოდა წინ. ეს იყო 1876 წელს.

დააკვირდი კომუნარების დროშას და მიხვდები, რომ წითელი ფერი სისხლის ფერია, რევოლუციის ბარიკადებზე, თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღვრილი სისხლის ფერი. ამიტომ არის ჩვენი სახელმწიფო, პარტიული და კომკავშირული დროშებიც წითელი ფერისა. შენი რესპუბლიკის დროშაც, რაზმეულის დროშაც, რაზმის ალამიც ამიტომ არის წითელი.

პიონერული დროშა

დროშა და ალამი — რევოლუციის საქმისადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი, საბჭოთა სამშობლოსადმი შენი ერთგულების სიმბოლოა. წითელი დროშის ღირსების დაცვა ყველა პიონერის უწმინდესი მოვალეობაა. ჩვენ ხომ წითელი დროშით ვუტევდით ზამთრის სასახლეს, ვაშენებდით დნეპრჰესსა და ამურის კომკავშირულ ქალაქს, ვიცავდით მოსკოვსა და დარიალს, ვანადგურებდით მტერს, პირველ სამშვიდობო ხნულს ვავლებდით ომგადახდილ მიწაზე. ჩვენი სამშობლოს ყველა მწვერვალზე და ყველა ხარაჩოზე რევოლუციის წითელი დროშა ფრიალებს.

შენ სწორედ ამ სისხლისფერ დროშასთან წარმოთქვი პიონერული ფიცი. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთგულება შეჰფიცე პარტიას, ხალხს, კომკავშირს, ყველას, ვისი სისხლის წვეთებიც ურევია ამ დროშის ფერში.

1945 წლის მაისში, ბერლინის აღების შემდეგ, საბჭოთა ჯარისკაცებმა ერთ სარდაფში პიონერული დროშა იპოვეს. თურმე გესტაპოელებს ამ სარდაფში ჰყოლიათ ჩაკეტილი რუსეთიდან ჩამოყვანილი ბავშვები. დროშას სარდაფში ნესტი მოსდებოდა, მაგრამ მაინც ამაყად ფრიალებდა ბერლინის ნანგრევებზე, საბრძოლო დროშების გვერდით. ის უცნობი გმირებიც, ალბათ, ამაზე ოცნებობდნენ, რუსეთიდან ბერლინში უბით რომ ჩაიტანეს თავისი პიონერული დროშა. ახლა ეს დროშა კიევის 123-ე საშუალო სკოლაში ინახება.

„სწორება დროშაზე!"—იძლევა ბრძანებას პიონერთა ხელმძღვა-

ნელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოწინავე იყო ყველგან და ყველაფერში — სწავლაშიც, შრომაშიც, საზოგადოებრივ საქმანობაშიც, სანიმუშოდ იცავდე პიონერის კანონებს, მთელი შენი სიცოცხლით ამართლებდე ნორჩი ლენინელის სახელს. აი, ეს არის სწორება წითელ რევოლუციურ დროშაზე.

რაზმეულის დროშა პიონერთა ოთახში ინახება, მისთვის სპეციალურად მოწყობილ კუთხეში. მის ერთ მხარეზე პიონერული ნიშანი და მოწოდებაა ამოქარგული, მეორე მხარეზე კი — რაზმეულის სახელწოდება. დროშა გამოაქვთ რაზმეულის შეკრების ან ხაზის ჩატარების დროს, პიონერთა რაიონულ და საქალაქო შეკრებებზე, აღლუმებსა და დემონსტრაციებზე, ყოველთვის, როცა რაზმეულის საბჭო ამას საჭიროდ ჩათვლის.

ყოველ რაზმს თავისი ალამი აქვს, ზედ რაზმის სახელწოდება და ნომერია ამოქარგული. ალამი გამოაქვთ რაზმეულისა და რაზმის შეკრებაზე, საზეიმო ხაზზე. რაზმი თავისი ალმით მიემართება ლაშქრობაში, ექსკურსიაზე, დემონსტრაციაზე, კოლექტიური პიონერული დავალების შესასრულებლად. რაზმის ალამიც პიონერთა ოთახში ინახება, რაზმეულის დროშასთან ერთად.

რაზმის ალამი რაზმის ღირსებაა, ღირსება კი მხოლოდ ბეჯითი, მონდომებული და გაბედული ადამიანების მეგზურია. ამიტომ რაზმიც უნდა იყოს ბეჯითი, გაბედული, საინტერესო პიონერული საქმეების წამომწყები, მტკიცე და მეგობრული კოლექტივი. ყოველი პიონერი პასუხს აგებს თავისი რაზმისათვის, რაზმი კი— თითოეული პიონერისათვის. ასეთია რაზმის დევიზი.

წითელი ყელსახვევი

დღეს პირველად გაგიკეთეს პიონერული ყელსახვევი. იცი, რატომ არის იგი წითელი? იმიტომ, რომ ეს ყელსახვევიც რევოლუციური დროშის ნაწილია. მისი სამი ბოლო სამი თაობის — კომუნისტების, კომკავშირელებისა და პიონერების — ურღვევი კავშირის სიმბოლოა.

ყელსახვევს უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე თვით პიონერულ ორგანიზაციას. წითელ ყელსახვევებს ჯერ კიდევ 1919 წელს ატარებდნენ კომკავშირში შესვლაზე მეოცნებე ნორჩი კომუნისტები. იმდროინდელ ყელსახვევს მართკუთხედის ფორმა ჰქონდა. 1922 წელს, როდესაც ქალაქელი პიონერები სტუმრად ეწვივნენ სოფლელ ბავშვებს, ყელსახვევები დიაგონალზე გაჭრეს. აი, ასე მიიღეს სამკუთხა ყელსახვევი.

პიონერული ნიშანი

პიონერულ ნიშანს ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმა აქვს. ვარსკვლავის შუაგულში გამოხატულია ვ. ი. ლენინის სილუეტი და წარწერა — „მზად ვარ!" ვარსკვლავს ზემოთ აღმართულია ალის სამი ენა, სამი თაობის — კომუნისტების, კომკავშირელებისა და პიონერების — ურღვევი კავშირის სიმბოლო.

პიონერები სამკერდე ნიშანს 1923 წლიდან ატარებენ. პირველ ნიშანზე გამოსახული იყო კოცონი, მის ფონზე — ჩაქუჩი და ნამგალი, შუაზე კი — წარწერა: „იყავ მზად!" ის პიონერული ნიშანი, რომელსაც შენ ატარებ, 1967 წელს შემოიღეს.

ხუთქიმიანი ვარსკვლავი მარტო სამკერდე ნიშანზე კი არა, თითქმის ყველა პიონერულ ემბლემაზეა გამოსახული. შენც ხომ ვარსკვლავს ატარებდი, როცა ოქტომბრელი იყავი!

ამგავი წითელი ვარსკვლავისა

საბჭოების წითელი ვარსკვლავი 1918 წლის 19 აპრილს დაიბადა, როცა სამხედრო საქმეების კომისარიატმა დაამტკიცა სამკერდე ნიშნის ნახაზი წითელი არმიის მებრძოლებისათვის. იმავე წელს გამოვიდა პატარა ბროშურა — „წითელი ვარსკვლავი". აი, ამონაწერი ამ ბროშურიდან:

„შეხედე ამ წითელ ვარსკვლავს. თუ იცი, რას გამოხატავს იგი? ეს არის წითელი ვარსკვლავი — მშრომელებისა და ღარიბების დამცველი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნიშანი.

შენ წითელ ვარსკვლავზე ხედავ გუთანს და უროს. იცი, რა არის ეს? ურო და გუთანი — ეს არის ქალაქის მუშებისა და სოფლის მხვნელ-მთესველების ერთიანობის სიმბოლო. ისინი შეკავშირდნენ, რომ თავისი მიწა და თავისუფლება, მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლება და სოციალისტური სამშობლო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვან მშრომელი ხალხის მტრებისა და ჯალათებისაგან — კაპიტალისტებისაგან, მემამულეებისაგან, კულაკებისაგან, უცხოელი მძარცველებისა და სხვა კონტრრევოლუციური გარეწრებისაგან.

შენი დამცველია მუშა და გლეხი — რევოლუციის ჯარისკაცი, სახელოვანი წითელი არმის რიგებში რომ ჩადგა.

ახლა ჩაუფიქრდი და დაიმახსოვრე, რა დიადი სიმბოლოა ეს წითელი ვარსკვლავი".

სამოქალაქო ომის წლებში ვარსკვლავის ორდენით აჯილდოებდნენ ყველაზე მამაც და გაბედულ მეომარს. მერე რევოლუციის ჯარისკაცების ვარსკვლავი კრემლის კოშკებზეც აბრწყინდა: ოქტომბრის ოცი წლისთავის ზეიმის დღეებში კრემლის ხუთ კოშკზე

აენთო საბჭოეთის ყველაზე მთავარი ვარსკვლავები. მათი მაკეტი საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა ფ. ფედოროვსკიმ შექმნა. მოგვიანებით წითელი ვარსკვლავი ჩვენი სამშობლოს გერბზედაც გამოჩნდა, მუშათა და გლეხთა ერთიანობის სიმბოლო — გუთანი და ურო — 1922 წელს ჩაქუჩით და ნამგლით შეცვალეს.

სამამულო ომის დროს ბრესტის ციხე-სიმაგრის დამცველები ვარსკვლავებს ხატავდნენ ყუმბარებისაგან ამომწვარ კედლებზე. ალბათ, შენც იცი გრიგოლ სხულუხიას ამბავი: განრისხებულმა მტრებმა, როცა ვერ გამოტეხეს, მკერდზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი ამოსჭრეს და მერე ცოცხალი კაცი ცეცხლში ჩააგდეს. ვარსკვლავი იყო გამოსახული იმ ყუმბარებზედაც, მტერს რომ ვუშენდით. ჩვენი ხალხი გმირის ოქროს ვარსკვლავით აღნიშნავს თავისი საუკეთესო შვილების თავდადებულ შრომას და ბრძოლას. ასე იქცა წითელი ვარსკვლავი ჩვენი სამშობლოს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ემბლემად.

„ახლა ჩაუფიქრდი და დაიმახსოვრე, რა დიადი სიმბოლოა ეს წითელი ვარსკვლავი“.

ამ სიტყვებით შენც მოგმართავენ, ხუთქიმიანი ვარსკვლავი ხომ შენს მკერდზედაც ბრწყინავს!

პიონერული სალუტი

პიონერთა რიგებში როცა გიღებდნენ, ალბათ, შეამჩნიე, რომ პიონერები სალმით შეხვდნენ რაზმეულის დროშას: თავს ზემოთ აღმართეს მარჯვენა ხელის მჭიდროდ შეკრული ხუთი თითი. აი, ეს არის პიონერის მისალმება — სალუტი. მჭიდროდ შეკრული ხუთი თითი ხუთი კონტინენტის ბავშვების მეგობრობას ნიშნავს. თავს ზემოთ აღმართული ხელი კი იმის ნიშანია, რომ პიონერი საერთო ინტერესებს თავის თავზე მაღლა აყენებს.

ნორჩი ლენინელები პიონერულ სალუტს იღებენ საბჭოთა კავშირის ან მოძმე რესპუბლიკების ჰიმნის, პარტიული ჰიმნის — „ინტერნაციონალის“ — შესრულების დროს. პიონერული სალუტით ხვდებიან წითელ დროშას, სალუტს იღებენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ობელისკებთან, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

სალუტს იღებენ მაშინ, როცა პიონერხელმძღვანელებს, პიონერების ან საბჭოთა არმიის მეომრების მწყობრს ხვდებიან, და მაშინაც, როცა პიონერულ მოწოდებაზე უპასუხებენ.

დოლი

ყველა თაობის პიონერების ძველი და ერთგული მეგობარია დოლი. სადაც უნდა იყოს რაზმი — საზეიმო ხაზზე, ლაშქრობაში, სპორტულ ზეიმზე თუ საპირველმაისო დემონსტრაციაზე, — მას ყველგან თან ახლავს პიონერული დოლი. ჰკითხე შენს უფროს მეგობრებს, რას ახსენებს მათ პიონერული დოლის ხმა, და ისინი აუცილებლად გაიხსენებენ პირველ მწყობრს, პირველ შეკრებებს და ლაშქრობებს. გაიხსენებენ არკადი გაიდარის მოთხრობას „მედოლის ბედი", კინოფილმს „მარჯვედ, მედოლევ!", პირველი პიონერების ცხოვრებას რომ ასახავს.

წაიკითხე ეს წიგნი, ნახე ეს კინოფილმი, იქნებ შენი რაზმეულის პირველ მედოლეებსაც მიაგნო. გაესაუბრე მათ და მიხვდები, რატომ ჟღერს ასე ამაყად ეს სიტყვები — რაზმეულის მედოლე.

საყვირი

საყვირი პიონერული დოლის ღვიძლი ძმა, რაზმის მუდმივი თანამგზავრია. რაზმი საყვირის ნიშანზე იწყებს ლაშქრობას, მიემართება კოლექტიური დავალებების შესასრულებლად; საყვირის ხმაზე იღვიძებს პიონერთა ბანაკი, ჩვენი სამშობლოს საზღვრების სადარაჯოზე გადიან მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრები; საზეიმო ხაზზე დოლისა და საყვირის თანხლებით გამოაქვთ რაზმეულისა და რაზმის დროშა. მაგრამ ზოგჯერ...

მოსკოვის პიონერთა სასახლეში დგას პატარა მესაყვირის ბრინჯაოს ქანდაკება. საყვირი მაღლა აქვს შემართული, თითქოს ისევ შეკრებისაკენ მოუწოდებს ნორჩ სპარტაკელებს.

ეს ამბავი გერმანიის ქალაქ ჰალეში მოხდა 1925 წლის 13 მარტს. სახალხო პარკში, მუშათა მიტინგზე, სიტყვით უნდა გამოსულიყო ერნსტ ტელმანი. მიტინგების ჩატარება აკრძალული იყო. მუშები მალულად იკრიბებოდნენ. აქ იყო პატარა მესაყვირეც, გადაბრუნებულ ურიკაზე იდგა და თავის განუყრელ საყვირს წმენდდა.

მიტინგი დაიწყო თუ არა, ხეებს შორის პოლიციელებიც გამოჩნდნენ. პატარა მესაყვირემ პირველმა დაინახა ისინი და საყვირი მოიმარჯვა, რომ მუშები გაეფრთხილებინა. რომელიღაც პოლიციელი მიიჭრა მასთან, მაგრამ ბიჭი შემოტრიალდა და საყვირი თავში ჩაარტყა. იმწამსვე რამდენიმე მუშაც წამოეშველა. და როცა პოლიციელებმა ტყვიები დაუშინეს მუშებს, ერთმა ტყვიამ პატარა მედოლეც იმსხვერპლა.

ასე დაიღუპა ნორჩ სპარტაკელთა პატარა მესაყვირე, თოთხმეტი წლის ფრიც ვაინეკი.

მასზე ახლა წიგნებს წერენ და სიმღერებს თხზავენ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც და ჩვენშიც ბევრი რაზმი ატარებს მამაცი მესაყვირის სახელს. აქ კი, ლენინის მთებზე, პიონერთა სასახლეში, ათი წელია დგას ნორჩი მესაყვირის ბრინჯაოს ქანდაკება.

ფრიც ვაინეკს საყვირი მაღლა აქვს შემართული, თითქოს ისევ შეკრებისკენ მოგვიწოდებს...

პიონერული საქმეები

„საჭიროა პატიოსნად იცხოვრო, საჭიროა ბევრი იშრომო, საჭიროა ძლიერ გიყვარდეს და უფრთხილდებოდე ამ დიდ, ბედნიერ მიწას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰქვია", — ასე წერს ერთ თავის მოთხრობაში არკადი გაიდარი. შესანიშნავი სიტყვებია, მართალი და ჭკუის სასწავლებელი.

„საჭიროა..." ეს სიტყვა ბრძანებასავით მოკლეა და პირდაპირი. მილიონობით შენი თანატოლისათვის მოწოდებად გაისმოდა იგი ოციან წლებში, როცა პირველი პიონერები ანბანს ასწავლიდნენ წერა-კითხვის უცოდინარ მუშებსა და გლეხებს, ფულს აგროვებდნენ ბავშვთა სახლების ასაშენებლად. ასე იყო ოცდაათიან წლებშიც, როცა პიონერები კულაკებს ებრძოდნენ, აწყობდნენ ლაშქრობებს ბუნების დასაცავად, იღებდნენ ბამბისა და სიმინდის უხვ მოსავალს. სამამულო ომის წლებშიც ხომ ასე იყო — ათასობით პოლკის შვილობილი და ნორჩი პარტიზანი ებრძოდა მტერს, უფრო მეტი კი ზურგში მუშაობდა, რომ ფრონტს შაშხანა და პური არ მოჰკლებოდა.

ამ ორი ათეული წლის წინათ პიონერებს მადლობას ეუბნებოდნენ აბაკან-ტაიშეტის რკინიგზის ასაგებად შეგროვებული ჯართისათვის. გაივლის დრო და სამოცდაათიანი წლების პიონერებსაც მადლობას გადაუხდიან შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურისა და ვოლჟსკის გიგანტური ავტოქარხნის მშენებლები. და განა მარტო ისინი, დღეს ოცდახუთი მილიონი შენი თანატოლი მწვანე საგუშაგოზედაც დგას და ჩუკოტკაზე მეგობრობის სასახლესაც აშენებს, ხელში წიგნიც უჭირავს და მშენებლის ქაფჩაც. სხვაგვარად არც შეიძლება. სახლი რომ ააშენო, ცოდნაა საჭირო, ცოდნას კი შრომა უყვარს.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ახალი საქმეებით შეივსო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული ცხოვრების მატიანე. ეს არის მარშრუტები: „ცოდნის სამყაროში“, „პიონერმშენი“, „საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლოა“, „თემურელი“, „ძლიერნი, გამბედავნი, მარდნი“, „მშვენიერების სამყაროში“, „ვარსკვლავი“, „მშვიდობა და სოლიდარობა“.

„სსრ კავშირი — ჩემი სამშობლო“.

დავიწყოთ პიონერული მარშის ყველაზე მთავარი მარშრუტით „სსრ კავშირი — ჩემი სამშობლო“. იცით, რატომ არის იგი ყველაზე მთავარი? იმიტომ, რომ შენ უნდა შეისწავლო ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ისტორია, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის, ლენინური კომკავშირის, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები. ეს არის გმირული ბრძოლისა და სასახელო შრომის ტრადიციები, შენი მშობლიური ხალხის ყველაზე ძვრფასი, ყველაზე სანუკვარი, ყველაზე უწმინდესი ტრადიციები, და ახლა, პიონერი რომ გახდი, შენც ამ ტრადიციების დამცველთა და გამგრძელებელთა რიგებში ჩადექი!

იყო დრო, როცა მსოფლიოში ეჭვის თვალით უცქეროდნენ ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყანა ისე გაძლიერდა, რომ მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოებიც კი ცდილობენ ჩვენთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. მართლაც, ბევრი რამ გვაქვს საამაყო: პირველად ჩვენს ქვეყანაში ამუშავდა ატომური ელექტროსადგური. პირველი ატომური ყინულმჭრელიც ჩვენში ააგეს. დედამიწის პირველ ხელოვნურ თანამგზავრებზედაც, კოსმოსურ ხომალდებსა და მთვარემავლებზედაც ხომ ჩვენი სამშობლოს გერბი იყო.

როგორ მიაღწია საბჭოთა ხალხმა ყოველივე ამას? როგორი გზა გაიარა ჩვენმა სამშობლომ? მოძმე რესპუბლიკებმა? როგორ მტკიცდებოდა და ვითარდებოდა ერთა ძმური კავშირი, დღეს თავის რიგებში ას ოცდაათი სხვადასხვა ეროვნების ხალხს რომ აერთიანებს? როგორ შეიცვალა ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე შენი რესპუბლიკა, შენი ქალაქი, შენი კუთხე, თუნდაც შენი სოფელი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ყველა პიონერს უნდა შეეძლოს. პიონერული მარშის დებულება ამიტომ მოითხოვს შენგან, რომ შეისწავლო ჩვენი ქვეყნის შექმნის ისტორია, საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები, გაეცნო უფროსების მიერ მეცხრე ხუთწლედში მიღწეულ წარმატებებს, დაუმეგობრდე მოძმე რესპუბლიკების პიონერებს.

რაზმში მოაწყვეთ შეკრებები „ჩემი სამშობლოს რუკასთან“ იმოგზაურეთ რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში, ჩაატარეთ ლაშქრობები და ექსკურსიები მშობლიური მხარის შესასწავლად, ეწვიეთ მშენებლობებს, შეხვდით ხუთწლედის მოწინავე ადამიანებს, მოუარეთ საძმო საფლავებსა და გმირთა ობელისკებს, რაზმში მოაწყვეთ მეგობრობის კუთხე ან მუზეუმი. შორეული მხარიდან მიღებული უბრალო ღია ბარათიც კი ძვირფასი ექსპონატია ასეთი მუზეუმისათვის, იგი ხომ მეგობრის ხელით არის დაწერილი.

იყო წითელი კვალისმაძიებელი, საბრძოლო და შრომითი დიდების მზვერავი, — ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი თვალით ნახო და გულით იგრძნო, თუ რა შეუძლია ხალხთა მეგობრობას, რამდენ გამოცდას და განსაცდელს გაუძლო ხალხის ერთიანმა მარჯვენამ, რამდენი სიკეთე მოუტანა მან სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრებ ადამიანებს.

„პიონერები ეცნობიან ვ. ი. ლენინის, მისი თანამებრძოლების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, კომუნისტური პარტიისა და ლენინური კომკავშირის გმირულ გზას, იზრდებიან ლენინის ანდერძისადმი, სამშობლოსადმი, პარტიისადმი, კომუნიზმისადმი ერთგულ ადამიანებად“, — ასეთია ამ მარშრუტის მოთხოვნა. ეს იმას ნიშნავს, რომ შენც სწორედ ასეთი მოქალაქე უნდა გახდე.

შენგან მოითხოვენ, რომ თვალისჩინივით გაუფრთხილდე წითელი ყელსახვევის ღირსებას, პიონერულ დროშას, შეისწავლო პიონერული ორგანიზაციის ისტორია, მისი ტრადიციები, რაზმთან ერთად შენი საქმეებით ახალი ფურცლები ჩაწერო რაზმეულის მატიანეში. რაზმში საქმე ისე უნდა ააწყოთ, რომ ყველა მოსწავლემ იცოდეს ჩვენი ორგანიზაციის ისტორიის ძირითადი მოვლენები, ტრადიციები, სიმბოლიკა და რიტუალები, პიონერებისა და პიონერხელმძღვანელების საბრძოლო და შრომითი გმირობის ამბები, მწყობრში სიარული და სამწყობრო პიონერული სიმღერები, პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“. შეაგროვეთ მასალები თქვენი რაზმეულის, ქალაქისა და სოფლის პიონერული ორგანიზაციის ისტორიისათვის, მოაწყვეთ შეკრებები და პიონერული მამაცობის კოცონები, შეხვდით პირველ პიონერებს, ისინი გიამბობენ, როგორ ესმოდათ პიონერთა თაობებს წითელი რევოლუციური დროშისადმი სწორება.

კარგად დაიხსომე: ნამდვილი პიონერი ის არის, ვინც სანიმუშოდ ასრულებს საბჭოთა კავშირის პიონერთა კანონებს, მოსწავ-

ლეთა ქცევის წესებს სკოლაში, შინ, ქუჩასა და საზოგადოებრივ ადგილებში, მომთხოვნია თავისი თავისადმი, მტკიცე ხასიათისაა, დისციპლინიანი და ზრდილობიანია, ებრძვის წესრიგის დამრღვევებს, უხეშობას, გულგრილობას, კონტროლს უწევს საკუთარ საქციელს, ყურადღებით ეკიდება ამხანაგების რჩევას, სანიმუშოდ ასრულებს ყოველ პიონერულ დავალებას, უფრთხილდება რაზმის ღირსებას, იცავს მის ინტერესებს, ახსოვს პიონერული ცხოვრების კანონი — ყოველი პიონერი იბრძვის რაზმის სახელისათვის, რაზმი ზრუნავს თითოეულ პიონერზე. საკმარისია თუ არა ყველაფერი ეს, რომ სამაგალითო იყო სხვებისათვის? რა თქმა უნდა, საკმარისია. თანაც, ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქტიურ მონაწილეობას მიიღებ რაზმის შეკრებებსა და „პიონერული ფარნის" რეიდებში, ამხანაგებს დაეხმარები ქუჩაში მოძრაობის წესების შესწავლასა და დაცვაში. აი, ამ შემთხვევაში შეგეძლება იმის თქმა, რომ შენც სიკეთეს ემსახურები.

მარშრუტი „სსრ კავშირი ჩემი სამშობლოა" ძალიან ბევრ საინტერესო მოგზაურობას გპირდება. მხოლოდ ნუ დასჯერდები იმას, რაც აქ არის აღწერილი, ეს ხომ ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც შენ და შენმა მეგობრებმა უნდა გააკეთოთ!

„ცოდნის საშყაროში"

ამ რამდენიმე წლის წინათ ეგვიპტის ერთ-ერთ პირამიდაში ძველისძველი ქიმიური ლაბორატორია აღმოჩნდა. როცა მეცნიერებმა შეისწავლეს იგი, გამოირკვა, რომ ძველ ეგვიპტეშიც კარგად სცოდნიათ საწარმოო ქიმიის ბევრი საიდუმლო.

უხსოვარი დროიდან ვითარდება ასტრონომია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცის სხეულებს. ჯერ კიდევ ჩვენი შორეული წინაპრები იკვლევდნენ გზას ვარსკვლავების მეოხებით უცხო მხარეში. ძველ საბერძნეთში შეეძლოთ წინასწარ განესაზღვრათ მზისა თუ მთვარის დაბნელების დრო.

მათემატიკურმა მეცნიერებამაც განვითარების ათასწლოვანი გზა გაიარა, სანამ უმარტივესი ანგარიში უმაღლესი მათემატიკის კანონებამდე მიაღწევდა. დღეს ხომ ამ კანონების გარეშე შენობასაც ვერ ააგებ, ახალ მანქანასაც ვერ შექმნი.

ასევე ითქმის კიდევ ბევრ სხვა მეცნიერებაზე, ასწლობითა და ათასწლეულობით რომ ვითარდებოდა. მთელ ამ ცოდნას, კაცობრიობა ათასწლეულობით რომ იძენდა, შენ სკოლაში სწავლის ათი

წლის მანძილზე დაეუფლები. ასე რომ, სკოლაში გატარებული ეს ათი წელი მრავალი ასეული წლის ტოლია.

პითაგორას თეორემის შესწავლას ორი საათიც არ სჭირდება, მისი სახელგანთქმული ავტორი კი, ვინ იცის, რამდენ წელიწადს ფიქრობდა მასზე. საკმარისია გავეცნოთ მენდელეევის პერიოდულ სისტემას, რომ გავიგოთ, რომელი ქიმიური ელემენტებისაგან შედგება ჩვენი სამყარო. ამ სისტემის შექმნამდე კი რამდენი შრომა, გარჯა და ძიება დასჭირდათ მსოფლიოს ქიმიკოსებს. მენდელეევმაც ხომ ამ საქმეს შესწირა მთელი სიცოცხლე!

რა იოლია ახლა აფრიკისა თუ ამერიკის გაცნობა. რუკები და სახელმძღვანელოები დაწვრილებით გვიამბობენ შორეული ქვეყნებისა და კონტინენტების კლიმატზე, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროზე, მოსახლეობაზე. მაგრამ რა დიდი შრომა, აურაცხელი საფრთხის გადალახვა და ხშირად თავგანწირვაც სჭირდებოდათ მოგზაურებსა და მკვლევარებს, რომ ასე ბევრი რამ გვცოდნოდა დღეს.

ცოდნამ, მართლაც, ზღაპრულად გარდაქმნა ჩვენი ცხოვრება. ყველამ კარგად იცის, როგორ ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები ჯადოსნურ სარკესა თუ მფრინავ ხალიჩაზე. ამ ოცნებათა ახდენა კი მხოლოდ ცოდნას შეეძლო. ადამიანს ახლა აქვს საშუალება დააკვირდეს ბალახის ზრდას, მოუსმინოს თევზების ლაპარაკს, ჩაეშვას ოკეანის ფსკერზე, აფრინდეს კოსმოსში, ქვანახშირისაგან მიიღოს ლამაზი ქსოვილი, ხისგან — ბეწვის ქურქი, საამქროს განაგებს კიბერნეტიკული მანქანა, ერთი მანქანა ას და ათას მუშას ცვლის, — ეს უკვე აღარ არის ფანტასტიკა. ეს სინამდვილეა!

რა თქმა უნდა, ყველაფერი ერთბაშად არ გაკეთდება, მაგრამ არაფერია ისეთი, რის შესწავლა და ახსნაც არ ხერხდებოდეს. ამ ასი წლის წინათ ერთი ფრანგი მეცნიერი ამბობდა, კაცობრიობა ვერ შეიტყობს, რა ნივთიერებებისაგან შედგება მზე, რადგან მფრინავი აპარატი ამ მნათობის ზედაპირს ვერასდროს ვერ მიუახლოვდებაო. მაგრამ მას შემდეგ ასი წელიც არ გასულა და, აი, ადამიანმა შეძლო მზის ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრა. თურმე ციური სხეულები დიდად არ განსხვავდებიან დედამიწისაგან. სხვაგვარად არც შეიძლება, დედამიწაც ხომ ციური სხეულია, როგორც მარსი, და ვენერა, მზე და მთვარე.

ცოდნა ძალაა! პირველად ეს სიტყვები ოთხასი წლის წინათ ითქვა. მეცნიერება კიდევ უფრო ძირფესვიანად გარდაქმნის ჩვენს

ცხოვრებას — ჩვენს სახლებს, ქარხნებსა და ფაბრიკებს, სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს. ამისათვის საჭიროა ცოდნა, ახლის შესწავლა და განვითარება.

შენ დიდი და ნათელი გზა მიგიძღვის ცოდნის სამყაროში. შენს ყველაზე მთავარ პიონერულ დავალებას ცოდნის სამყაროში მოგზაურობა ჰქვია. რაც უფრო მეტს ივლი წინ, მით უფრო მომხიბვლელ და საინტერესო სივრცეებს გადაშლის შენ წინ მეცნიერება. ეს ისეთი მოგზაურობაა, საიდანაც უკან დაბრუნება არ სურს ადამიანს, რადგან იგი სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრება ცოდნის წარმტაცსა და უსაზღვრო სამყაროში.

რას მოითხოვენ შენგან?

რას ნიშნავს შენთვის მოგზაურობა ცოდნის სამყაროში? ამ კითხვაზე თითქოს დაუფიქრებლადაც შეიძლება პასუხის გაცემა:

— ბევრით სწავლას!

მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი, და, აი, რატომ: არ იფიქრო, თითქოს სწავლა შენი პირადი საქმეა, როგორც გინდა, ისე ისწავლი. მოგწონს გეოგრაფია — ფრიადზე სწავლობ, არითმეტიკას კი რატომღაც გული ვერ დაუდე და — საშუალოც საკმარისია. იქნებ, მართლაც, ასე ფიქრობდი ადრე? ახლა პიონერი ხარ, ახლა ამ საქმეს უფრო სერიოზულად უნდა მოეკიდო. ცოდნის შეძენა განა უბრალო მიზანია! ცოდნა საჭიროა, როგორც შაშხანა ბრძოლაში! — ამბობდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია. შენ და შენმა მეგობრებმა სწორედ მისი დახმარებით უნდა აშენოთ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე.

ამიტომ არ არის საკმარისი, რომ მხოლოდ შენს თავზე და შენს ნიშნებზე იზრუნო, შენი წიგნების მეტს არაფერს ხედავდე. ახლა თვითონაც უნდა იბევრითო და სხვასაც დაეხმარო სწავლაში, — აი, ეს არის მთავარი.

დაეხმარე შენი რაზმის პიონერებს საყოველთაო სწავლების საგუშაგოს მოწყობაში, რომ თქვენი კოლექტივის ყველა წევრი სერიოზულად ეკიდებოდეს სწავლას, უმიზეზოდ არ აცდენდეს გაკვეთილებს, არ არღვევდეს დღის რეჟიმს, არ დაიწყოს ქუჩა-ქუჩა უქმად ხეტიალი. პირველკლასელებზედაც უნდა იფიქრო. გააცანი მათ შენი მშობლიური სკოლის ტრადიციები, წაუკითხე ახალი წიგნები, ასწავლე ოქტომბრელთა წესები და თამაშები. იქნებ თქვენს სკოლაში გახანგრძლივებული დღის ჯგუფებიც არის? ჰოდა, თუ არის, მაშინ ამ ჯგუფების მეცადინეობაზედაც შეიხედე,

დაეხმარე უმცროსი კლასის მოსწავლეებს საშინაო დავალების შესრულებაში. იქნება საინტერესო ექსკურსიაც მოაწყოთ მათთვის?

გაკვეთილი მხოლოდ ორმოცდახუთ წუთს გრძელდება, მაგრამ განა ეს ორმოცდახუთი წუთი ყველაფრისათვის საკმარისია? რა თქმა უნდა, არა. აი, ამიტომაც გამოიგონეს სხვადასხვა სასკოლო წრეები, სამეცნიერო კლუბები, ოლიმპიადები, კონკურსები, კონფერენციები. შენს სკოლაშიც არის ბევრი ასეთი წრე. იქნებ საცდელი ნაკვეთი ან სათბურიც იყოს, სადაც საინტერესო ცდების ჩატარება და ახალი ჯიშების გამოყვანაც შეიძლება? ჩაეწერე ერთ ასეთ წრეში. მეგობრებსაც ურჩიე, რომ მხოლოდ გაკვეთილზე მიღებული ცოდნით არ დაკმაყოფილდნენ. ეს თქვენს მოგზაურობას ცოდნის სამყაროში კიდვ უფრო საინტერესოს და მიმზიდველს გახდის.

პატარა რომ იყავი, ალბათ, შენც ოცნებობდი თვითმფრინავებსა და ავტომანქანებზე, გემებსა და კოსმოსურ რაკეტებზე. ახლა ყველა ქალაქში და რაიონში არის პიონერთა სახლი, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგური, სადაც თვითმფრინავებისა და გემების მოდელებს აკეთებენ, ამუშავებენ პიონერულ რადიოსადგურებს, აკვირდებიან მცენარეებსა და ცხოველებს, აწყობენ არქეოლოგიურ ექსპედიციებსა და ტურისტულ ლაშქრობებს. ახლა ეს ექსპედიციები და ლაშქრობები შენც გელიან, რომ თვითონაც ისწავლო და სხვასაც დაეხმარო იმის შესწავლაში, რაც შენს სასკოლო სახელმძღვანელოებში არ წერია.

ეცადეთ, რომ თქვენს რაზმშიც შექმნათ ცნობისმოყვარეთა კლუბი, ჩაატაროთ ნორჩი მათემატიკოსების, ისტორიკოსებისა და ლიტერატორების კონკურსები. რაზმის შეკრებებზე მოიწვიეთ მეცნიერები, ინჟინრები, აგრონომები, ექიმები. დაინტერესდი, კითხულობენ თუ არა შენი ამხანაგები ჟურნალებს და გაზეთებს, შენი რგოლიდან რამდენი პიონერია ჩაწერილი ბიბლიოთეკაში, როგორ უვლიან წიგნებს, ვინ არის მათი საყვარელი ლიტერატური გმირი. ეს რომ გეცოდინება, შენი ინიციატივით შეიძლება რაზმში ჩაატაროთ საბავშვო წიგნის კვირეული, იმოგზაუროთ საინტერესო ამბების ქვეყანაში, გამართოთ პატარა საკლასო ბიბლიოთეკაც, შეხვდეთ მწერლებსა და პოეტებს. ესეც ხომ ცოდნის სამყაროში მოგზაურობაა!

შენც იბეჯითე და სხვასაც დაეხმარე უკეთ სწავლაში, — აი, რას მოითხოვს შენგან საკავშირო პიონერული მარში.

შენი „პიონერ-მშენი“

„ვ. ი. ლენინი. ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები“, — აწერია ყდაზე. ეს სიტყვა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა კომკავშირის მესამე ყრილობაზე წარმოთქვა 1920 წლის 2 ოქტომბერს. შენ ამ წიგნში წაიკითხავ: ახალგაზრდა თაობამ „თავისი სწავლის ყველა ამოცანა ისე უნდა დააყენოს, რომ ყოველდღე, ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდეს საზოგადო შრომის ამა თუ იმ, თუნდაც სულ მცირე, სულ უბრალო ამოცანას“. იცი, ეს რას ნიშნავს?

იმას, რომ მარტო წიგნებით ცხოვრება არ შეიძლება. ცოდნას თავისთავად არავითარი ფასი არა აქვს, თუ მას ადამიანი პრაქტიკულად არ იყენებს ცხოვრებაში. აბა, წარმოიდგინე, რას გვარგია მიწაში ჩამარხული ოქრო? სწავლაში ხომ უნდა იბეჯითო, მაგრამ შრომაშიც და პიონერულ საქმეებშიც პირველი უნდა იყო. ეცადე, შენი ცოდნა საზოგადო შრომაში გამოიყენო, — აი, მაშინ იქნები ნამდვილი პიონერი.

შენ უკვე იცი, როგორ ეხმარებოდნენ პირველი პიონერები მაგნიტკის მშენებლებს და სოფლის მშრომელებს. „პიონერმშენს“ სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი, იგი ახლა ახალი საქმეებისაკენ მოუწოდებს სამოცდაათიანი წლების პიონერებს: შენ უნდა იცოდე, როგორია მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანები, როგორ ასრულებენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, როგორ შეიცვლება ჩვენი სამშობლოს რუკა ამ ხუთი წლის მანძილზე. რაზმსაც ხომ აქვს თავისი ხუთწლედი — პიონერული საქმეების მატიანე. ესაა პიონერული ფოლადი, ტრაქტორები და ელმავლები, შენი ამხანაგების მიერ შეგროვებული ჯართისაგან რომ არის აგებული; პიონერთა სასახლე შორეულ ჩუკოტკაზე, მთელი პიონერეთი რომ აშენებს; ოპერაცია „თეთრი ფარი“ — პიონერული მაკულატურისაგან დამზადებული წიგნები და რვეულები; „მწვანე საგუშაგო“ — საცხოვრებელი კვარტალების, ქუჩებისა და ხეივნების გამწვანება; მუშაობა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში, ახალი სახლების მშენებლობაზე, ჩაის პლანტაციებში, ბაღებსა და ვენახებში, ყველგან, სადაც შენი მარჯვენა საჭიროა.

მშობლიური სკოლაც არ უნდა დაივიწყო, ახლა შენ ხარ მისი ბატონ-პატრონი. თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე შენს საკლასო ოთახს, შენს მერხს, სასკოლო ქონებას, სახელმძღვანელოებს. ამხანაგებთან ერთად სასკოლო სახელოსნოში შეაკეთე ხოლმე დაზიანებული მერხები და დაფები, დაამზადე სასწავლო ხელ-

საწყოები, იზრუნე სკოლის ეზოს გამწვანებასა და კეთილმოწყობაზე, იმაზე, რომ ზაფხულში სკოლის შენობის შეკეთებაზე თქვენი რაზმის პიონერებმაც იმუშაონ. მოაწყვეთ შეხვედრები სოციალისტური შრომის გმირებთან, სახელოვან ადამიანებთან, ჩაატარეთ ხელმარჯვე ოსტატების კონკურსები, „შრომის დიდების" შეკრებები. შეადგინეთ „პიონერმშენის" რუკა და მატიანე, სადაც თქვენი რაზმის საქმეებს აღწერთ, შეიტანთ მოწინავე პიონერების გვარებს.

და თუ შენც მოხვდები რაზმის მატიანეში, მაშინ შეგიძლია თქვა, რომ „პიონერმშენის" აქტიური მონაწილე ხარ.

მხოლოდ ერთი რამ გახსოვდეს:

რასაც უნდა აკეთებდე, რა უმნიშვნელო საქმესაც უნდა მოჰკიდო ხელი, ყველაფერი კეთილსინდისიერად გააკეთე, საქმე აუცილებლად ბოლომდე მიიყვანე. ბოლომდე პირნათლად მოიხადე შენი ვალი. მარტო ის არ არის საკმარისი, რომ რადაცას აკეთებ. მთავარია, როგორ აკეთებ!

„მშვიდობა და სოლიდარობა"

ინტერნაციონალიზმი, — ეს სიტყვა ძვირფასია ყველა პატიოსანი ადამიანისათვის. დაეხმარე მეგობარს, მხარი შეაშველე გაჭირვების დროს, — ასეთია ჩვენი ცხოვრების კანონი.

ოციან წლებში კავკასიელი მუშები თავის ჰურსა და მარილს უნაწილებდნენ ვოლგისპირეთის დამშეულ მოსახლეობას. ათას კილომეტრზე, შორეულ ტაიგაში მიდიოდნენ სამუშაოდ რუსები და ყირგიზები, აზერბაიჯანელები და უკრაინელები, რომ აეშენებინათ ამურის კომკავშირული ქალაქი.

საბჭოთა მთვარემავალი, ოქროსფრად მოლივლივე პურის ყანები ყამირზე, ტაშკენტის აღდგენილი პროსპექტები, შენი ახალი სკოლა, ახალი მერხები, — ყოველ საქმეში, ყოველ დიდ და პატარა გამარჯვებაში სხვადასხვა ეროვნების ხალხის შრომაა ჩაქსოვილი.

ჩვენი ძალა ერთობაშია. მოძმე რესპუბლიკებმა იმიტომ უწოდეს თავის გაერთიანებას კავშირი, რომ ერთად ებრძოლათ და ერთად ეშენებინათ მომავალი. მაგრამ ნამდვილი ინტერნაციონალისტი მშვიდად ვერ იქნება, თუ მსოფლიოს ომის საშიშროება ემუქრება.

და მიცურავს ვიეტნამისაკენ ხომალდი. მას ჩანთები და წიგნები მიაქვს ვიეტნამელი ბავშვებისათვის. მიფრინავენ შორეული

პერუსაკენ თვითმფრინავები, წამლები მიაქვს მიწისძვრისაგან დაზარალებულთა გადასარჩენად. ნილოსის ტალღები ლენინგრადში დამზადებულ ტურბინებს აბრუნებენ. ეს ჩანთები და წიგნები პიონერებმა შეაგროვეს; ეს წამლებიც პიონერების მიერ შეგროვებული სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადდა; ამ ტურბინების ზოგიერთი დეტალიც პიონერული ჯართისაგან გააკეთეს. აი, ეს არის პიონერული სოლიდარობა, შენი წვლილი მსოფლიოს უკეთ გარდაქმნის საქმეში.

ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი, მიმოწერა სხვადასხვა ქვეყნების პიონერებთან, დაუსწრებელი ვიქტორინები, საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებები, კონკურსები, მეგობრობა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ქვეყნების ბავშვებთან, მეგობრობის პიონერული ამანათები, — ყველაფერი ეს ჩვეულებრივი ამბავია ყველა რაზმეულისათვის. ახლა ამ საქმეებში შენც უნდა შეიტანო წვლილი. ჩაეწერე ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბში, გაეცანი უცხოელი თანატოლების ცხოვრებას, მათი ორგანიზაციების საქმიანობას, მონაწილეობა მიიღე ნორჩი მხატვრების საერთაშორისო კონკურსებში და პიონერულ თამაშებში. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბავშვები ახლა სურათებს აგროვებენ წიგნისათვის „დაე, მუდამ იყოს მზე!" თუ იყოჩაღებ, ამ წიგნში შენი ნახატებიც დაიბეჭდება.

რაც ყველაზე მთავარია, ყველგან, ყველა საქმეში გახსოვდეს სიტყვები: „წითელი დროშა მშვიდობისა და პროლეტარული სოლიდარობის დროშაა!"

თემურელი ყველა პიონერი თემურელია. წაიკითხე არკადი გაიდარის მოთხრობა „თემური და მისი რაზმი". წაიკითხე და მიხვდები, რატომ აირჩიეს თემურელებმა ასეთი დევიზი: „აჩუქე ადამიანებს სიხარული".

თემურელს მახვილი თვალი აქვს, ყურადღებით აკვირდება ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, და მუდამ იქ არის, სადაც საჭიროა მისი დახმარება. თემურელი სხვის მითითებას და თხოვნას არ ელოდება, ზრუნავს ინვალიდებზე, შრომისა და ბრძოლის ვეტერანებზე, ომში დაღუპულთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე, შინაც საქმიანობს, მშობლებს ეხმარება, უმცროს და-ძმებს უვლის. ამ გამრჯე ხელებისათვის საქმეს რა გამოლევს: სისუფ-

თავისა და წესრიგის საგუშაგოები პიონერული მოქმედების ზონაში, სათამაშო და სპორტული მოედნები, კლუბები და ბიბლიოთეკები ეზოებში, თამაშობები და კონკურსები პატარებისათვის, — ასეთია თემურელების ყოველდღიური საზრუნავი.

„ვარსკვლავი“ პიონერს მუდამ ახსოვს, რომ ოქტომბრელები მომავალი პიონერები არიან, მუდამ ეხმარება რაზმს ოქტომბრელთა ჯგუფთან მუშაობაში: ოქტომბრელებს ამზადებს პიონერთა ორგანიზაციის რიგებში შესასვლელად, აცნობს მათ ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, პიონერთა ორგანიზაციის ისტორიას, ეხმარება სწავლასა და შრომაში, ზრუნავს მათზე, თვალყურს ადევნებს, რომ არავინ დაჩაგროს, ხელმძღვანელობს ოქტომბრელთა მუშაობას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აქტიურად მონაწილეობს ოქტომბრელთა კვირეულის მომზადებასა და ჩატარებაში, პიონერულ რაზმებთან ოქტომბრელთა ჯგუფების შექმნის 50 წლისთავის ზეიმისათვის სამზადისში. ახლა შენც გეხება ეს პიონერული დავალება.

გავა დრო, შენი რაზმი უკანასკნელად დადგება საზეიმო ხაზზე. მერე მის ადგილს სხვა რაზმი დაიკავებს. სხვა პიონერი მოვა შენს ადგილზე. რაზმის დროშასაც სხვა მედროშე ჩაიბარებს. მაგრამ ვინ იქნება ეს „სხვა“? აი, სწორედ ის, დღევანდელი ოქტომბრელი, პირველი კლასიდანვე შენ რომ ასწავლიდი პიონერული ცხოვრების კანონს.

აღზარდე შენი ცვლა, შენს ადგილს რომ დაიკავებს პიონერულ მწყობრში, — ასეთია ამ კანონის ერთი ყველაზე მთავარი მოთხოვნა.

ახლა კი, მოდით, პიონერთა საკავშირო მარშის კიდევ ერთ საინტერესო მარშრუტზე ვისაუბროთ. ეს არის „მშვენიერების სამყარო“.

„მშვენიერების სამყარო“ რა ხშირად გვესმის ეს სიტყვები! ზოგიერთს, ალბათ, ისეთი წარმოდგენა აქვს, თითქოს ეს სამყარო სადღაც ჩვენგან განცალკევებულად არსებობს. როცა გვინდა — ვეწვევით, როცა გვინდა — დავტოვებთ. მაგრამ სულაც არ არის ასე. მშვენიერების სამყარო, ეს საოცარი და საინტერესო სამყარო, შეიძლება არსებობდეს თვით ადამიანში. ეს კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი თვა-

ლით ვუცქერით ცხოვრების მოვლენებს, ხელოვნების ნაწარმოებებს, როგორ აღვიქვამთ მუსიკას, ფერებს, გულისხმიერნი ვართ თუ არა ადამიანთა მიმართ...

ხელოვნება, წიგნები აუცილებელია ადამიანისათვის, მისი სულიერი ზრდისათვის. ისინი ავსებენ და ამდიდრებენ ჩვენს ცხოვრებას. ამიტომ უნდა ეცადოთ, რომ თქვენთვის განკუთვნილი არც ერთი წიგნი არ დატოვოთ უყურადღებოდ. ძალიან კარგია, როცა ამხანაგებთან ერთად ესწრებით საგასტროლოდ ჩამოსული თეატრის სპექტაკლებს, გაინტერესებთ სიმფონიური ორკესტრის ახალი პროგრამა, კითხულობთ ახალ წიგნებს და ერთმანეთს უზიარებთ შთაბეჭდილებებს.

მარშრუტი „მშვენიერების სამყაროში", პირველ რიგში, იმას უწყობს ხელს, რომ ეს მშვენიერი სამყარო ჩასახლდეს თქვენთან— თქვენს კლასებში, თქვენი სკოლის დერეფნებში, თქვენს პიონერთა ოთახში.

კარგ სასკოლო თეატრსაც კი დაეკარგება ფასი, თუ დარბაზი უხეიროდ გამოიყურება. აბა, რა სასიამოვნოა მოსწავლეთა ანსამბლის გამოსვლა, თუ სცენა უსუფთაოა? უყვავილოდ სიცოცხლე ეკარგება სკოლის სარკმლებსა და დერეფნებს.

თქვენს რაზმშიც შექმენით „სილამაზის საბჭო", მარჯვე და გამრჯე ხელებისათვის ყველგან მოიძებნება შესაფერისი საქმე. ხატვის მასწავლებელს სთხოვეთ და გირჩევთ, როგორ უნდა მოაწყოთ საკლასო ოთახი და დერეფანი. ეცადეთ, რომ ამ საქმეში ყველა პიონერმა მიიღოს მონაწილეობა. ნახავთ, რა თავდაჭერილად მოიქცევიან მაშინ ყველაზე ცელქებიც კი. თავისი ხელით გალამაზებულ ოთახსა და დერეფანს ხომ ყველა განსაკუთრებით მოუფრთხილდება!

რა თქმა უნდა, მარტო თქვენ ყველაფერს ვერ გააკეთებთ. დაუმეგობრდით საინტერესო ადამიანებს, რაზმის შეკრებებზე მიიწვიეთ. უფროსები არ დაგზარდებიან, სიამოვნებით უხელმძღვანელებენ თვითმოქმედების წრეებს, დაგეხმარებიან სპექტაკლების მომზადებაში, თქვენთან ერთად ეწვევიან თეატრებსა და მუზეუმებს.

ერთი რამ გახსოვდეთ: ზოგი ტრაბახით ამბობს ხოლმე, უკვე შვიდი წიგნი წავიკითხეო, ან კიდევ — ამ კვირაში სამჯერ ვიყავიო კინოში. აბა, რაოდენობას რა აზრი აქვს! მთავარი ის არის, რა გაიგე ამ წიგნიდან ან სპექტაკლიდან, რა შეგმატა წაკითხულმა ან ნანახმა. ყველა წიგნი და ყველა სპექტაკლი ხომ რაღაცას

გვასწავლის, რაღაცით გვამდიდრებს, რაღაცისკენ მოგვიწოდებს. აი, ეს არის მთავარი, და თქვენი უფროსი მეგობრები ამის გარკვევაში დაგეხმარებიან.

მხატვრული თვითმოქმედების წრეების მუშაობაში ყველა პიონერი უნდა მონაწილეობდეს. რა თქმა უნდა, ყველა მოსწავლეს არ შეუძლია სიმღერა და მსახიობობა, მაგრამ ეს არც არის აუცილებელი. თუ სიმღერა არ შეგიძლია, მაშინ მოხსენება წაიკითხე შენი საყვარელი კომპოზიტორის შემოქმედებაზე. ან იქნებ ვინმეს ცეკვა არ ემარჯვება? კეთილი, მაშინ საცეკვაო კოსტუმების დამზადებაში დაიხმარეთ. ესეც ხომ მშვენიერების სამყაროა? ერთი სიტყვით, მშვენიერების სამყარო ყველას სამყაროა. ადამიანი თუ მოინდომებს, ყოველთვის იპოვის თავის შესაფერის ადგილს ამ უკიდეგანო სამყაროში.

ალბათ, შენც შეამჩნიე, რომ პიონერული მარშის მარშრუტები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. მართლაც, განა შეიძლება „პიონერმშენი" წარმოვიდგინოთ ისე, რომ მასში არ მონაწილეობდნენ ნორჩი არქიტექტორები და მხატვრები? განა შეიძლება მარშრუტზე „საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლოა" ისე გაეცნო მოძმე რესპუბლიკების ცხოვრებას, რომ არ ისწავლო მოძმე ხალხთა სიმღერები, თამაშობანი, ცეკვები? ან ჩვენი პიონერული „ცისკარი" როგორი იქნება ხალისიანი სალაშქრო სიმღერების გარეშე?

დიახ, ყველა მარშრუტის გავლას გაგიადვილებს ხელოვნებასთან მეგობრობა, გაგილამაზებს მთელ ცხოვრებას. ამიტომაც არსად და არასდროს არ უნდა დათმო მშვენიერების სამყარო...

„ძლიერნი. გამბედავნი, მარდნი"

„პიონერი პატივს სცემს დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას და ემზადება, რომ გახდეს სამშობლოს დამცველი". შენ კარგად იცი ეს პიონერული კანონი, მაგრამ თუ იცი, რას გავალებს, რას მოითხოვს იგი შენგან?

...1944 წელი, კარპატები. ასეული შეტევაზე გადადის. სერჟანტი ერონის ინაური პირველი მიდის იერიშზე:

— წინ, არწივებო! კიდევ ერთი ნახტომი და... აბა, მომყევით!

და ასეული გაჰყვა, მაგრამ წინ დანაღმული მავთულხლართებია, ვერც ხელით და ვერც ტყვიით ვერაფერს გახდები. გამოცდილი მესანგრეებია საჭირო, რომ ნაღმები ამოიღონ. დაყოვნება არ შეიძლება, მტერს ახალ-ახალი ძალები ემატება. ესეც რომ არ იყოს,

მტერი მაღლობზეა გამაგრებული, მთის ძირას გაშლილ ასეულს განადგურების საფრთხე ემუქრება.

— მე წავალ...

ასეულის მეთაურის ნებართვა არც კი უთხოვია, სერჟანტი წინ გაეშურა, მკერდით შეეჯახა დანაღმულ მავთულხლართს და ააფეთქა. ასეული ქარიშხალივით აიჭრა მაღლობზე. მტერმა ვერ გაუძლო, გატყდა და მოკურცხლა.

შორეული კარპატების იმ უსახელო მაღლობზე დარჩა წარწერა: „ჩვენ ვიცოცხლებთ! მაგრამ თუ სიკვდილი მოგვიწევს, მოვკვდებით ისე, როგორც მოკვდა კომკავშირელი ინაური!"

ჩვიდმეტი წლისა იყო ერონის ინაური, ფრონტზე მოხალისედ რომ წავიდა. ჯარისკაცურ დროშასთან დასდო ფიცი, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა. ჯარისკაცურ სანგარში მიიღეს კომკავშირში. და მოკვდა ისე, როგორც სამშობლოს ნამდვილ ჯარისკაცს შეეფერის. განა მარტო ერონისი, ჩვენს ხალხს მრავალზე მრავალი ასეთი სასახელო შვილი ჰყავს, ჩვენი მიწის ყოველი მტკაველი მათი წმინდა სისხლით არის მორწყული. ამიტომაც მოითხოვენ შენგან, რომ პატივი სცე დაღუპულ მეომართა ხსოვნას. ამიტომაც გავალებენ, რომ სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგე.

რა უნდა გააკეთო ამისათვის?

ამ კითხვაზე შენ და შენი რაზმის პიონერებს პასუხს გაგცემთ საკავშირო მარშის დებულება. იგი გირჩევთ, რომ თქვენი რაზმი ან რგოლი დაუმეგობრდეს ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ვეტერანებს, გაეცნოს საბჭოთა არმიის ისტორიას, გამოჩენილი მხედართმთავრების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. შეაგროვეთ მასალები გმირ კომკავშირელებზე და პიონერებზე, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ერთგულ დამცველებზე.

რევოლუციური და საბრძოლო დიდების ადგილებიც არ დაივიწყოთ, ასეთი ადგილები ხომ ყველა ქალაქში და რაიონში არის! ჩაიწერეთ ძველი ბოლშევიკებისა და პირველი პიონერების მოგონებები, შეაგროვეთ სამოქალაქო და სამამულო ომების ამსახველი ფოტოსურათები, ძველი გაზეთები და ჟურნალები. ყველაზე საინტერესო მასალები იქნებ თქვენი რაზმეულის რევოლუციური და საბრძოლო დიდების მუზეუმშიც გამოჰფინოთ. აი, ეს, მართლაც, კარგი იქნება!

ჩვენი მწერლები შენთვის და შენი მეგობრებისათვის ბევრ სა-

ინტერესო წიგნს წერენ გმირობასა და მამაცობაზე, თქვენს გმირ თანატოლებზე. ეცადეთ, რომ რაზმში მოაწყოთ ასეთი წიგნების პატარა ბიბლიოთეკა, ჩაატაროთ საზეიმო შეკრება თემაზე — „გმირი პიონერები", გამართოთ შეხვედრები რევოლუციისა და სამამულო ომის ვეტერანებთან, ყოფილ პარტიზანებთან. იქნებ რომელიმე სამხედრო ნაწილის მეომრებსაც დაუმეგობრდეთ? რაზმეულის საბჭო დაგეხმარებათ ამაში. და მაშინ თქვენს რაზმშიც შეიქმნება საბჭოთა არმიის ნორჩ მეგობართა ათეული, ნორჩი სანიტრების, მზვერავების, ტოპოგრაფებისა და მსროლელების წრეები. ამ წრეებში ყველა პიონერისათვის მოიძებნება შესაფერისი საქმე, რაზმი კი სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკარის" მონაწილე გახდება.

„ცისკარი" დაგეხმარება, რომ დაეუფლო ნორჩი არმიელის ერთერთ სპეციალობას, მიიღო სამკერდე სპორტული ნიშანი. ახლა ბევრი სპორტული შეჯიბრება ეწყობა პიონერებისათვის: საერთაშორისო მძლეოსნური ოთხჭიდი გაზეთ „პიონერსკაია პრავდას" პრიზზე „მეგობრობა", ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირი „ტყავის ბურთის" პრიზზე, ნორჩ მოცურავეთა კლუბების პირველობა „ნეპტუნი", ნორჩ მოჭადრაკეთა ტურნირი „თეთრი კუ", პიონერთა საკავშირო სპორტული თამაშები. თქვენს სკოლაშიც ხომ ეწყობა ასეთი ტურნირები და ზეიმები, მუშაობს სპორტული სექციები! ჩაეწერე ერთ ასეთ სექციაში, ბევრი ჩემპიონის გზა სწორედ სკოლის სპორტული სექციიდან დაიწყო.

დიახ, ასპარეზი ძალიან ფართოა. აირჩიე შენი გზა ამ ასპარეზზე, სისტემატურად ივარჯიშე, დაეხმარე რაზმს სპორტული ზეიმებისა და ტურნირების მოწყობაში. დილის გამამხნევებელი ვარჯიშიც არ დაივიწყო. იქნებ სპორტსმენი არც გამოხვიდე, მაგრამ დილის ვარჯიში ორგანიზმის გასაკაჟებლად მაინც აუცილებელია.

ხომ გახსოვს, რით დავიწყეთ საუბარი ამ მარშრუტზე? სულ მალე შენ სამშობლოს დამცველთა რიგებში უნდა ჩადგე, აამუშაო გიგანტური ტურბინები, ახალი არხები გაჭრა უკიდეგანო უდაბნოში, კოსმოსური ხომალდით გაფრინდე შორეული პლანეტებისაკენ. და ამიტომ, მომავლის საჭესთან შენი კუთვნილი ადგილი რომ დაიკავო, განათლებულიც უნდა იყო, ძლიერიც, გამბედავიც და მარდიც.

გისურვებთ, სწორედ ასეთი ყოფილიყავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვდივართ ლაღი სიმღერით

მუსიკა რ. გაბიჩვაძისა
ლექსი ი. ნონეშვილისა

მოვდივართ ლაღი სიმღერით
პიონერები, პიონერები,
და მოგვძახიან მარად მზისფერი
სამშობლოს მინდორ-ველები.

მისამღერი:

წინ მიგვიძღვის ფრენით დროშა ალისფერი,
ყელსახვევიც წითლად გვიმკობს გულს.
მზად ვართ, მარად მზად ვართ,
შევასრულოთ კარგად,
რაც პარტიას და ხალხს ჩვენგან სურს!
შვილნი მრავალ ერის ერთად ვმღერით
და სიმღერა ჩვენი ყველგან ჰქუხს!

დღეს ყველგან შრომა, შეჯიბრი
სიხარულია, სიხარულია.
ჯერ სწავლა გვინდა, შემდეგ ბეჯითი,
ბეჯითი შრომა გვწყურია.

მისამღერი:

მშვიდობის მზის ქვეშ აყვავდა
ჩვენი სამშობლოს მთა-ველი,
მშვიდობა უნდა დიდს და პატარას,
როგორც შუქი და ჰაერი.

მისამღერი:

გადავ-ფურცლოთ პიონერული მატიანე

ნახევარ საუკუნეზე მეტია არსებობს შენი ორგანიზაცია. ჩვენი სამშობლოს დროშების გვერდით ხუთი ათეული წელია ამაყად ფრიალებს პიონერული დროშაც. ამ დროშაზე ახლა ლენინის ორი ორდენია—ბრძოლითა და შრომით გავლილი ორმოცდაათი წლის ღირსეული ჯილდო. მოდი, ერთად გადავფურცლოთ პიონერული მატიანე, იგი შენი თანატოლების სიბეჯითისა და გმირული შემართების მრავალ საინტერესო ამბავს ინახავს.

თავფურცელი

1918, 1919, 1920 წლები...

უცხოეთის თოთხმეტი სახელმწიფო ებრძოდა ახალგაზრდა რესპუბლიკას. აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი თეთრი არმიის ხელში აღმოჩნდა. მაგრამ ეს კიდევ არ იყო ყველა განსაცდელი, რაც იმ მრისხანე წლებში გამოსცადა ჩვენმა ხალხმა. უქმად იდგნენ ფაბრიკები და ქარხნები, მიწა მოუხნავი რჩებოდა, საკმარისი არ იყო პური და სათბობი... მძიმე და გმირული წლები იყო ეს წლები! ქვეყანა შიმშილობდა, მაგრამ მაინც იბრძოდა, აშენებდა, ფიქრობდა მომავალზე, ფიქრობდა იმაზეც, ვისაც ეს მომავალი უნდა ეშენებინა.

ჰკითხე პირველ პიონერებს და ისინი გიამბობენ, როგორ დაიწყო ჩვენი ორგანიზაციის გზა სწორედ იმ მძიმე და გმირულ წლებში. გიამბობენ პირველ პიონერულ რაზმებზე, პირველ შეკრებებზე. პირველ ბანაკებზე, პირველ გმირებზე.

მაშინ ხომ ყველაფერი პირველი და უჩვეულო იყო!

შენ უნდა იცოდე, რომ ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ისტორია ჩვენი საუკუნის პირველივე წლებიდან იწყება, როცა მუშათა გამოსვლებში ბავშვები და მოზარდებიც მონაწილეობდნენ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან იმხანად ფაბრიკა-ქარხნებში ძალიან ბევრი მოზარდი მუშაობდა. ეს იყო ყველაზე იაფი მუშახელი. მაშინდელი წესების მიხედვით, საწარმოების მეპატრონეები არასრულწლოვან მუშებს გაცილებით ნაკლებს უხდიდნენ, ვიდრე ჩვეულებრივ მუშებს. მოზარდები ამიტომაც აწყობდნენ გაფიცვებს, მონაწილეობდნენ მუშათა მიტინგებსა და დემონსტრაციებში, მოითხოვდნენ ხელფასის გათანაბრებას, ბარიკადებზეც კი იბრძოდნენ. მოზარდების ერთი ასეთი მიტინგი 1905 წლის 8 ივლისს მოეწყო ქალაქ ეკატერინოსლავში (ახლა ამ ქალაქს დნეპროპეტროვსკი ჰქვია). ერთი თვით ადრე კი, 1905 წლის 1 მაისს, ღარიბი გლეხების შვილებმა მიტინგი გამართეს ბრიანსკის გუბერნიის

სოფელ ლიუბოხნოში. მიტინგის შემდეგ ბავშვებმა წითელი დროშებითა და სიმღერებით შემოიარეს მთელი სოფელი, შექმნეს უფროსკლასელთა რამდენიმე იატაკქვეშა რევოლუციური წრე. იმავე 1905 წელს გაიფიცნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთისა და სხვა ქალაქების მოსწავლეებიც. ისინი მართავდნენ მიტინგებს, მოითხოვდნენ არსებული სასკოლო რეჟიმის შეცვლას, კედლებიდან ხსნიდნენ და ხევდნენ იმპერატორის სურათებს. დიდი დემონსტრაცია მოეწყო ქუთაისში. პოლიციამ და მეფის კაზაკებმა ტყვია დაუშინეს მოსწავლეებს. ამ შეტაკების დროს მოკლეს და დაჭრეს რამდენიმე კაცი, დააპატიმრეს 70-მდე მოსწავლე, მაგრამ კვლავ მტკიცედ გაისმოდა მათი მოწოდება: „ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ თანამედროვე პოლიტიკურ წყობას და გავიძახით: ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას!“

ასე იყო ადრე, რუსეთის პირველი რევოლუციის დროს. ოქტომბრის დღეებში კი ათასობით ნორჩი გმირი იბრძოდა რევოლუციის ბარიკადებზე, უფროსების მხარდამხარ უტევდა ზამთრის სასახლეს, შოულობდა იარაღს, იყო მზვერავი, მეკავშირე, სანიტარული რაზმის წევრი. მათი წმინდა სისხლით არის დაწერილი ჩვენი პიონერული მატიანის პირველი ფურცლები.

მოსკოვის გავროში

ეს ამბავი მოხდა 1917 წელს მოსკოვში. ოქტომბერი იწურებოდა, მუშათა მოსკოვი აჯანყებისათვის ემზადებოდა. მიხელსონის ქარხნის მუშებს იარაღი დაურიგეს. ქარხანაში ბავშვებიც მუშაობდნენ, მაგრამ მათ იარაღის მიცემაზე უარი უთხრეს. თვრამეტი წლისა ვინც არ არის, იარაღს ვერ მიიღებსო, — განაცხადა მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ. უარი უთხრეს, მაგრამ განა ასე ადვილად მოიშორებდნენ თეთრების დამარცხებაზე მეოცნებე ჭაბუკებს?

ყველაზე მეტად თოთხმეტი წლის ანდრეევი წუხდა. მისი ნამდვილი სახელი არავინ იცოდა, დიდებიც და პატარებიც „არბუზს“ ეძახდნენ. და, აი, „არბუზმა “იმდენი იყოჩაღა, ბოლოს მაინც თავისი გაიტანა — ქარხნის ახალგაზრდებს იარაღი დაურიგეს.

მოსკოვში ოქტომბრის მძიმე დღეები იდგა. ცხარე ბრძოლებით მოქანცულმა წითელარმიელებმა მოკლე შესვენებით ისარგებლეს, სანგრებიდან შეუმჩნევლად ამოვიდნენ და უახლოესი საჩაიესაკენ გაემართნენ. სამედიცინო პუნქტი ახლა ამ საჩაიეში იყო გამართული, საბრძოლო მასალას და სურსათ-სანოვაგესაც იქ ინახავ-

დნენ. სანგარში მარტოდმარტო დარჩენილმა ანდრეევმა გადაწყვიტა ეეშმაკა: სანგრები ცარიელი იყო. მტერი ამას რომ არ მიმხვდარიყო, „არბუზი" დარბოდა და სხვადასხვა თოფიდან იუნკრების სანგრებს ტყვიას ტყვიაზე უშენდა.

ალბათ იუნკრები ვერც მიხვდებოდნენ, რომ მათ წინ მხოლოდ ერთი თოთხმეტი წლის ბიჭი იყო, მაგრამ შემთხვევით სანგრიდან თოფი გადავარდა. „არბუზმა" კარგად იცოდა, ჩვენები როგორი წვალებით შოულობდნენ იარაღს, და თოფის ასაღებად სანგრიდან ამოვიდა. მტრის ტყვიამფრქვევის ჯერმა იგი ძირს დასცა.

ანდრეევი მძიმედ დაიჭრა. სამ დღესა და ღამეს ებრძოდა სიკვდილს. უკანასკნელად გონს რომ მოეგო, მხოლოდ ეს იკითხა:

— დაამარცხეთ იუნკრები?

და როცა უპასუხეს, დავამარცხეთო, გაიღიმა:

— ასეც ვიცოდი.

მეორე დღეს პავლიკ ანდრეევი (მისი ნამდვილი სახელი მხოლოდ დაღუპვის შემდეგ გაიგეს) კრემლის კედელთან დაკრძალეს, საძმო საფლავში. იმ დღეს წითელ მოედანზე იყო მთელი მოსკოვი. აქ იყო ამერიკელი მწერალი ჯონ რიდიც. სწორედ მან შეარქვა პავლიკ ანდრეევს „მოსკოვის გავროში".

ნორჩი აგიტატორი

ლენინგრადში, მარსის მოედანზე, იასამნების ტევრში არის ძმათა სასაფლაო. აქ, რევოლუციის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლთა გვერდით, ერთი პატარა ბიჭუნაც განისვენებს, თეთრ, ქათქათა ფილაზე წარწერაა: „პატარა არტისტ-აგიტატორს, კოტე მღებროვს. 1913—1922".

ვინ იყო კოტე მღებროვი?

კოტე მღებროვი წარმოშობით ქართველი იყო, მღებრიშვილი, მესხეთიდან. მამამისი მეფის არმიის ოფიცრად მსახურობდა, მაგრამ რევოლუციონერებს თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა კიდევაც. მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ მსახიობობა დაიწყო, შექმნა გმირული თეატრი და წარმოდგენებს მართავდა წითელგვარდიელთა ნაწილებში. ამ წარმოდგენებში კოტეც მონაწილეობდა — კითხულობდა ლექსებს, ასრულებდა როლებს, ყველაზე მეტად კი ნეკრასოვის და ბლოკის ლექსების კითხვა უყვარდა. რუსეთში სამოქალაქო ომის მძიმე დღეები იდგა, ხშირად უხდებოდათ ფრონტის წინა საზზე გამოსვლა. სპექტაკლის დროს ზოგჯერ სროლაც

ატეხილა, მაგრამ წარმოდგენის შეწყვეტაზე არც უფიქრიათ, ეს ხომ გმირული თეატრი იყო!

პატარა კოტე პეტროგრადის დამცველებსაც ეხმარებოდა. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ შეპარულა მტრის ბანაკში, რომ დაეზვერა და საჭირო ცნობები მიეწოდებინა ჩვენი ჯარებისათვის, ვინ იცის, რამდენჯერ ამხილა მტრები, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ფარულად რომ მუშაობდნენ. წითელგვარდიელებმა კოტე მღებროვს სიყვარულით „პატარა აგიტატორი" შეარქვეს. მტრებმა ბევრჯერ სცადეს ხელში მისი ჩაგდება, მაგრამ, ამაოდ. ერთხელ კი...

შინ ღამით ბრუნდებოდა. გვიანი იყო, ტრამვაიში მარტოდმარტო იჯდა. სწორედ აქ ჩაიგდეს ხელში ბანდიტებმა. ვატმანიც მათი კაცი აღმოჩნდა. „პატარა აგიტატორი" ტრამვაის ქვეშ ჩააგდეს.

ასე დაიღუპა პეტროგრადის ნორჩი აგიტატორი...

1919 წლის 25 მაისი

წითელ მოედანზე საყოველთაო სწავლების აღლუმი გაიმართა.

აღლუმში მოსკოვის ბაუმანის რაიონის „ახალგაზრდა კომუნისტების რაზმის" წევრებიც მონაწილეობდნენ. იმ ხანებში ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ქალაქში ბავშვთა რამდენიმე ასეთი ორგანიზაცია მუშაობდა. ყველას თავისი სახელწოდება და წესდება ჰქონდა. ტულელმა ბავშვებმა თავის ორგანიზაციას „ბავშვთა კომუნისტური პარტია" შეარქვეს, ორენბურგის ოლქის ერთი სოფლის ბავშვებმა — „წითელი ყვავილი", კიეველები კი თავის რაზმებს „ნორჩ მშრომელთა არმიას" ეძახდნენ. უკრაინელმა ბავშვებმა ეს სახელი იმიტომ აირჩიეს, რომ მუშათა დამკვრელურ შრომითს რაზმებს ეხმარებოდნენ და თვითონაც მათი მაგალითით მუშაობდნენ.

წითელ მოედანზე შეკრებილ ბავშვებს სიტყვით მიმართა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა. რევოლუციას ბავშვებიც და მოზარდი პროლეტარებიც უნდა დაეხმარონ, ბავშვთა ორგანიზაცია კომუნისტების აღზრდის საუკეთესო გზაა, — ამბობდა იგი.

და, აი, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, კომკავშირი შეუდგა ნორჩი პიონერების კომუნისტური ორგანიზაციის შექმნას. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპეციალურმა კომისიამ, ბავშვთა მოძრაობის საკითხებს რომ სწავლობდა, შეადგინა პიონერთა ორგანიზაციის დროებითი წესდება. კომისიის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია 1869 წლის 26 თებერვალს დაიბადა.

ახალგაზრდა იყო, პროფესიული რევოლუციონერის გზას რომ დაადგა. ძნელი იყო ეს გზა, ძნელი და ხიფათიანი. იატაკქვეშეთშიც მოუხდა მუშაობა, ციხეშიც იჯდა, გადასახლებაშიც იყო, ბოლოს იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო ემიგრაციაში. შეურიგებელმა ბრძოლამ ყველაფერთან, რაც ძველ რუსეთში ადამიანებს თავისუფლად სუნთქვას უშლიდა, კომუნიზმის იდეალებისადმი უანგარო ერთგულებამ მას სიძნელეებით აღსავსე მშფოთვარე ცხოვრება არგუნა, მაგრამ რაოდენ კეთილშობილური და ლამაზი იყო ეს ცხოვრება, ღელვითა და საზრუნავით, იმედებითა და გამარჯვებებით, ბრძოლითა და შრომით აღსავსე! ეს იყო უდრეკი ბოლშევიკის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მეუღლის ცხოვრება, ბელადის მიერ პარტიის შექმნისა და პროლეტარული რევოლუციისათვის საბრძოლველად, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შესაქმნელად გაწეულ ტიტანურ შრომას რომ ინაწილებდა.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში მონაწილეობდა, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კი დიდ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა, იყო მთავრობის რამდენიმე კომისიის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა სკოლის მშენებლობაში.

ამ გულთბილსა და კეთილ ადამიანს ნაზი, დედობრივი სიყვარულით უყვარდა ბავშვები, გულთან ახლოს მიჰქონდა მათი სიხარული და სურვილები, ხშირად ხვდებოდა, წერდა მათ შესახებ. 1921 წლის დეკემბერში კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა მისი წერილი ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის აუცილებლობაზე. ჩვენ აქედანვე უნდა ვიზრუნოთ მოზარდ თაობაზე, რადგან მომავალი მას ეკუთვნის, — წერდა ის. და, აი, სულ მალე შეიქმნა პიონერთა ორგანიზაცია. იმ დროიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს არ შეუწყვეტია პიონერებზე ზრუნვა, იმაზე ზრუნვა, რომ ბავშვები შეგნებული და გაბედული, კეთილი და მხიარული ადამიანები გაზრდილიყვნენ. ასეთი ადამიანები ხომ უანგაროდ ემსახურებიან უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საქმეს! თვითონაც ასეთი იყო, — უანგარო მებრძოლი და კეთილი მრჩეველი. ბავშვებთან დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა. ხშირად მის წერილებს „პიონერსკაია პრავდაც“ ბეჭდავდა და მაშინ მთელი ჩვენი ქვეყნის პიონერები კი-

თხულობდნენ მის წერილებს, უფიქრდებოდნენ, პრაქტიკული დასკვნები გამოჰქონდათ.

ყველა პიონერს დასჭირდება და კეთილ სამსახურს გაუწევს მისი რჩევა წერილიდან „ბანაკებში ცხოვრების შესახებ". სრული უსაქმურობა ან განუწყვეტელი გართობა დასვენება არ არისო — წერდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული. — დასვენებას სარგებლობაც უნდა მოჰქონდეს. ბავშვმა უნდა გაიკაჟოს ჯანმრთელობა, ძალ-ღონით აივსოს. ჰაერზე იყოს, რაც შეიძლება მეტი იმოძრაოს, ისეირნოს. ცხოვრებასაც უნდა დააკვირდეს, მუშაობაც აუცილებელია, პიონერმა იმაზედაც უნდა იფიქროს, როგორ დაუმეგობრდება ახლო მცხოვრებ ბავშვებს, მათთან ერთად რით დაეხმარება უფროსებს, რას ასწავლის თავის ახალ ამხანაგებს, რას ისწავლის მათგან.

აი, კიდევ ერთი საინტერესო წერილი — „ჩემი" და„ ჩვენი". ერთ ბიჭუნას შინ კედელზე ლენინის სურათი უკიდია. ეს სურათი მან ბიბლიოთეკის წიგნიდან ამოხია. ასე იწყება ეს წერილი და მთავრდება შეკითხვით ბავშვებისადმი, — რა წყობილებას ემხრობიან ისინი—ძველს, როცა ამბობდნენ, ყველა თავისთვის უნდა იყოსო, თუ ახალს — ლენინურს, საზოგადოებრივი ქონებისა და ცხოვრებისადმი ახლებურ დამოკიდებულებას, მასზე ზრუნვას.

პიონერმა, მიზნად რომ დაუსახავს ძლიერი ნებისყოფის გამო მუშავება, აუცილებლად უნდა წაიკითხოს მისი წერილი „შეგნებული დისციპლინის შესახებ". ეს წერილი უნდა წაიკითხო, რომ მიხვდე, თავზე ხელის აღება გმირობა არ არის, დისციპლინა ყველაზე კარგი საშუალებაა ძლიერი ნებისყოფის გამოსამუშავებლად. ამ წერილიდან იმასაც გაიგებ, როგორ უნდა გაატარო თავისუფალი დრო, რომ მტკიცე ხასიათი გამოიმუშაო.

აუცილებლად წაიკითხეთ ნადეჟდა კონსატნტინეს ასულის წიგნი „წერილები პიონერებს". ამ წიგნში დაბეჭდილია წერილები: „უნდა ვისწავლოთ მუშაობა თავითა და ხელებით", „ყველა ეროვნების ბავშვების მეგობრობის შესახებ", „უნდა გაუფრთხილდეთ საკუთარსა და სხვის დროს". ჯერ შენ წაიკითხე ეს წერილები, ყურადღებით წაიკითხე, შემდეგ რგოლის ან რაზმის წევრებსაც გააცანი. ამ წერილებში იპოვით პასუხს თქვენთვის საინტერესო ბევრ კითხვაზე.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ბევრს სწერდა პიონერებს და პიონერებზედაც ბევრი აქვს დაწერილი. მას უნდოდა, რომ ბავშვები კარგი კომუნისტები გაზრდილიყვნენ, ბევრი ეკითხათ, კარგად

ესწავლათ, ყოფილიყვნენ თავაზიანნი, სუსტებს დახმარებოდნენ, პატივი ეცათ უფროსებისათვის, ოჯახში მშობლებს მიხმარებოდნენ. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას წერილები ქართულ ენაზედაც არის დაბეჭდილი. კარგი იქნება, თუ შენი რგოლის პიონერები თვითონაც გაეცნობიან და სხვასაც გააცნობენ მის ნაშრომებს, ეს თქვენს პიონერულ ცხოვრებას უფრო საინტერესოს და შინაარსიანს გახდის.

1922 წლის დასაწყისი

ახლა კი ისევ ისტორიას დავუბრუნდეთ.

„სპარტაკის" სახელობის ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების ორგანიზაცია „ნორჩი პიონერები", — ასეთი იყო პიონერული ორგანიზაციის ზუსტი სახელწოდება.

1922 წლის 13 თებერვალს მოსკოვში, კრასნაია პრესნიას რაიონში, მეთექვსმეტე სტამბის კომკავშირელებმა ჩაატარეს პირველი პიონერული რაზმის შეკრება. რაზმში 52 პიონერი მიიღეს. პირველი პიონერები წერა-კითხვის უცოდინარ მუშებს ასწავლიდნენ ანბანს, აწყობდნენ მხატვრული თვითმოქმედების კონცერტებს, უფროსებს ეხმარებოდნენ ბავშვთა სახლების მოწყობაში, ფულს აგროვებდნენ სხვა ქვეყნების მუშათა ოჯახების დასახმარებლად. მალე ასეთივე პიონერული რაზმები შეიქმნა ოქტიაბრსკის რკინიგზის სარემონტო სახელოსნოში და სოკოლნიკის რაიონში.

1922 წლის 19 მაისი

კომკავშირის მეორე კონფერენციამ 1922 წლის 19 მაისს მიიღო დადგენილება, რომ მოსკოვის პიონერთა რაზმების მუშაობის გამოცდილება მთელს ჩვენს ქვეყანაში გავრცელებულიყო.

19 მაისი ამიტომაც ითვლება პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღედ.

1924 წლის სექტემბერი

თბილისში შეიქმნა პირველი პიონერული რაზმი, ლენინის რაიონში მალე პიონერთა პირველი კლუბიც გაიხსნა.

— აგვისტო იყო, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტში გამოგვიძახეს და დაგვავალეს, დაგვეწყო პიონერული კოლექტივების ჩამოყალიბება, — ასე იგონებს ახლა იმ დღეებს ძველი კომკავშირელი გიორგი გიგაური, — მალე მუშაობასაც შევუდექით.

თარხნიშვილის ქუჩაზე ერთი სახლის ეზოში ხშირად იკრიბებოდნენ უბნის ბავშვები. სწორედ აქ გადავწყვიტეთ პიონერული ჯგუფის ჩამოყალიბება. ბავშვებიც და მათი მშობლებიც პირველად ამრეზილად გვიცქეროდნენ, მაგრამ ყველაფერი მოგვარდა. ვატარებდით საუბრებს ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის მნიშვნელობაზე, ჩამოვაყალიბეთ სიმღერისა და ცეკვის, ჭრა-კერვის შემსწავლელი წრეები, გამოვუშვით კედლის გაზეთი, ქალაქგარეთ ლაშქრობაც კი მოვაწყეთ. ეს, ალბათ, ერთ-ერთი პირველი ლაშქრობა იყო. მალე მშობლებიც დარწმუნდნენ ჩვენი საქმიანობის სიკეთეში და მხარში ამოგვიდგნენ.

პიონერთა შორის ბევრი ობოლი ბავშვი გვყავდა. მათზე ზრუნვა მშობლებმა ითავეს, შექმნეს ობოლ ბავშვთა დახმარების ფონდი. ჩვენს რაზმს ცნობილი რევოლუციონერის საშა გეგეჭკორის სახელი ვუწოდეთ.

1924 წლის იანვარი

1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, უფროსებთან ერთად პიონერებიც იდგნენ საპატიო ყარაულში. 23 იანვარს გაიმართა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო სხდომა. კომკავშირელებმა გადაწყვიტეს, რომ ბავშვთა კომუნისტური ჯგუფებისათვის ეწოდებინათ ლენინის სახელი. მათ მოწოდებით მიმართეს საბჭოთა კავშირის ყველა პიონერს:

„ილიჩი გვასწავლიდა, რომ არასდროს არ შევჩერებულიყავით, მტკიცედ გვევლო დასახული მიზნისაკენ. და ჩვენ შევასრულებთ ილიჩის ანდერძს. ილიჩი პროლეტარული ბრძოლის უდიდესი პიონერია!

ილიჩი ყველა ქვეყნის მუშათა წინამძღოლია კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე!.. სწავლა, ბრძოლა და ცხოვრება ისე, როგორც ცხოვრობდა და იბრძოდა ილიჩი, — ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე...

მტკიცედ იარეთ ილიჩის გზით!“

1922 წლის 23 მაისი

მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, გაიხსნა კომუნისტური პარტიის XIII ყრილობა. ჩვენი პიონერული მატიანისათვის ეს თარიღი კიდევ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ წითელ მოედანზე დიდი ზეიმი გაიმართა პიონერთა ორგანიზაციისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების აღსანიშნავად.

იმ დღეს წითელ მოედანზე მოსკოვის გუბერნიის ათი ათასი პიონერი შეიკრიბა. აქ იყვნენ პარტიის XIII ყრილობის დელეგატებიც. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ვასიუტინმა გამოაცხადა, რომ ნორჩი პიონერები დღეიდან ატარებენ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელს. ძველმა ბოლშევიკმა ფელიქს კონმა ყრილობის დელეგატების სახელით წაიკითხა საზეიმო დაპირება, და მთელი მოედანი — ათი ათასი პიონერი — მასთან ერთად იმეორებდა პიონერული ფიცის სიტყვებს:

„მე, საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერი, ჩემი ამხანაგების წინაშე საზეიმოდ ვდებ პირობას, რომ მტკიცედ ვიბრძოლებ მთელი მსოფლიოს მუშათა და გლეხთა განთავისუფლებისათვის, პატიოსნად და განუხრელად შევასრულებ ნორჩ პიონერთა კანონებს და ილიჩის ანდერძს“.

გაისმა ბრძანება და პირველ პიონერთა რაზმებმა მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს მავზოლეუმის წინ. აი, სწორედ ეს დღე, 1924 წლის 23 მაისი, ითვლება პიონერული ორგანიზაციისათვის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელის მინიჭების თარიღად.

ოციანი წლები

შენი ორგანიზაცია ოციან წლებში დაიბადა. მაშინ ჩაეყარა საფუძველი მის ტრადიციებს, პიონერული ცხოვრების კანონებს. ახლა ყოველ დილით ჩვეულებრივად იკეთებენ პიონერულ ყელსახვევს, ემზადებიან რაზმის შეკრებისათვის. საკვირველი თითქოს არაფერია, მაგრამ რომ იცოდე, რა ძნელი იყო ყელსახვევის ტარება იმ შორეულ ოციან წლებში! პირველ პიონერებს დასცინოდნენ ყოფილი ჩინოვნიკების შვილები, მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ სკაუტები — მეფის რუსეთის ბავშვთა ბურჟუაზიული ორგანიზაციის წევრები. ბავშვებს პიონერთა ორგანიზაციაში შესვლას უკრძალავდნენ შეუგნებელი და გაუნათლებელი მშობლები... დიახ, შენი ორგანიზაციაც ძველთან და დრომოჭმულთან ჭიდილში იწრთობოდა.

პირველმა პიონერებმა ხომ მოსკოვის მუშებისაგან მიიღეს წითელი დროშა, ასრულებდნენ მათ განაწესს:

— გახსოვდეთ და იცნობდეთ რუსეთის რევოლუციის ბელადებს.

— რესპუბლიკის პირველი დაძახებისთანავე იყავით მზად მის დასაცავად.

— დაეხმარეთ რესპუბლიკას კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

— ისწავლეთ შრომა.

— არასოდეს არ დაეცეთ სულით, ყოველთვის გაბედულად იარეთ წინ.

— თქვენი დევიზი უნდა იყოს: „მზად ვართ!"

ძნელი, მაგრამ ქვეყნისათვის ძალზე საჭირო საქმეები ერგოთ წილად პირველ პიონერებს. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურ ზეიმებში, მოსახლეობაში ავრცელებდნენ წიგნებს, ზრუნავდნენ იმაზე, რომ ყველა მათს თანატოლს ევლო სკოლაში, ქოხ-სამკითხველოებში საუბრებს ატარებდნენ წერა-კითხვის უცოდინარ გლეხებს შორის, სისუფთავის დასაცავად ქმნიდნენ ნორჩ სანიტართა რაზმებს, მუშაობდნენ სამოქალაქო ომის წლებში განადგურებული სახალხო მეურნეობის აღდგენაზე. უკრაინელმა პიონერებმა ნამდვილი ბრძოლა გამოუცხადეს მინდვრის მავნებლებს, ლენინგრადელმა ბავშვებმა დაიწყეს ფულის შეგროვება თვითმფრინავის ასაგებად. პიონერულ ყულაბაში სხვა ქალაქების ბავშვებსაც შეჰქონდათ ფული. და, აი, პირველი ასეთი თვითმფრინავიც ააგეს! პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. „პიონერი", „ლენინური ნაპერწკლები". „პიონერსკაია პრავდა", — ასე ერქვა იმ თვითმფრინავებს. ახლა ამით ველარავის გააკვირვებ, მაგრამ მაშინ ყოველი ასეთი „ჩვეულებრივი ამბავი" ნამდვილ გმირობას ნიშნავდა. გმირობა იყო ისიც, რომ პირველი პიონერები გაბედულად იბრძოდნენ რელიგიისა და ძველი ცხოვრების გადმონაშთების წინააღმდეგ. 1928 წელს აზერბაიჯანის ქალაქ ნუხეში გოგონებმა პირველად მოიხსნეს ჩადრი, შორეული ჩუკოტკის დასახლება უელენის პიონერებმა კი ხელი მოაწერეს სახელმწიფო სესხს. ბერი შამანის წყევლამაც ვერ შეაშინა ისინი, თავისი კაპიკები რესპუბლიკას გადასცეს ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების ასაშენებლად.

კრასნაია პრესნიას ერთ-ერთ პირველ რაზმში მხოლოდ 52 წევრი იყო. გავიდა ათი წელი და ჩვენი ქვეყნის პიონერული რაზმეული თავის რიგებში უკვე ორ მილიონ მოსწავლეს აერთიანებდა. ამ დიდი პიონერული ოჯახის 738 საუკეთესო წარმომადგენელმა 1929 წლის აგვისტოში მოსკოვში მოიყარა თავი ნორჩ ლენინელთა პირველ საკავშირო შეკრებაზე. მის დელეგატებს, ალბათ, ახლაც ახსოვთ ჩირაღდნებით მსვლელობა დედაქალაქის ქუჩებში, ინტერნაციონალური კარნავალი, სპარტაკიადა და საზეიმოდ მორთული „დინამოს" სტადიონი, წითელი ყელსახვევების მღელვარე ზღვაში რომ იყო ჩაკარგული...

1929 წლის 18 აგვისტო

„დინამოს“ სტადიონი დილიდანვე პიონერებით გაივსო. შეკრების დელეგატებთან ერთად ოცი ათასი მოსკოველი აქტივისტი და მსოფლიოს 64 ქვეყნიდან ჩამოსული დელეგატი მოუთმენლად ელოდა შეკრების საზეიმო გახსნას. და, აი, დაფდაფების ხმაც გაისმა, სტადიონზე ექვსასი მედოლე და მესაყვირე შემოვიდა. მათ მედროშეები მოჰყვებოდნენ. ანძაზე შეკრების ალამი აღიმართა...

ასე დაიწყო პირველი საკავშირო შეკრება. შემდეგ კრემლის დიდ სასახლეში ჩატარდა პიონერთა სამდღიანი საკავშირო კონფერენცია, 22 აგვისტოს კი ბავშვთა საერთაშორისო კონგრესის სხდომა გაიმართა. ამ კონგრესზე სიტყვით გამოვიდა ნ. კ. კრუპსკაია. იგი პიონერებს ესაუბრა წიგნის სიყვარულსა და ერთმანეთისადმი მეგობრულ დამოკიდებულებაზე, იმაზე, როგორ უნდა იბეჯითონ, როგორ უნდა შეასრულონ ილიჩის ანდერძი. პიონერთა ორგანიზაცია ბავშვთა პოლიტიკური ორგანიზაციაა, ყოველი ნორჩი კომუნისტი აქტიურად უნდა დაეხმაროს უფროსებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, — ამბობდა ნ. კ. კრუპსკაია.

შეკრების დელეგატები და სტუმრები მოსკოვის ფაბრიკებსა და ქარხნებსაც ეწვივნენ, ესაუბრნენ მუშებს, შეხვდნენ სახალხო კომისართა საბჭოს წევრებს, შეკრების საპატიო დელეგაციებს — მაქსიმ გორკის, ემელიან იაროსლავსკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის. სწორედ იმ დღეებში გამოქვეყნდა ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსი „ელვა სიმღერა“.

„ზღვას გადასწვდება,
ლურჯ ტალღას
ხმა ქედებს გადაევლება,
უმღერე, ელვა სიმღერავ,
პიონერების შეკრებას!“

საკავშირო შეკრების დელეგატთა შორის 145 ქართველი პიონერიც იყო. ისინი ამ დიდი პიონერული ზეიმის დელეგატებად აირჩიეს ამიერკავკასიის პიონერთა პირველ შეკრებაზე თბილისში, 1929 წლის 4-6 აგვისტოს.

ოცდაათიანი წლები

ახალი ქვეყნის შენების მართლაც ზღაპრული წლებია ეს წლები. „ხუთწლედი“, „კოლმეურნეობა“, „დამკვრელი“, „სოციალისტური შეჯიბრება“, „საყოველთაო სწავლება“, — ახალი ქალაქების, ფაბრიკებისა და ქარხნების სახელებთან ერთად იბადებოდა ეს ახალი სიტყვებიც. ისტორიის სახელმძღვანელოდან შენ ბევრ ასეთ

ახალ სახელს იცნობ. ეს არის ვოლგა-დონის არხი და დნეპრჰესი, ლეგენდარული მაგნიტკა და ამურის კომსომოლსკი — ოცდაათიანი წლების კომკავშირული ქალაქი. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ციმბირისაკენ კომკავშირული საგზურებით მიეშგზავრებოდნენ ახალგაზრდები, რომ სითბო და სიუხვე დაებრუნებინათ გაყინული მიწებისათვის. მათ გაუვალ ტაიგებში გაჰყავდათ ახალი გზები, მიწის ქვეშ ჭრიდნენ მოსკოვის მეტროპოლიტენის პირველ კილომეტრებს, ებრძოდნენ დნეპრისა და რიონის ტალღებს, რომ მდინარეებიც ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ.

მფრინავი ვალერი ჩკალოვი... ჩელიუსკინელები... პაპანინელები... მთელი მსოფლიო გააოცა ამ ადამიანების სიმამაცემ. ოცდაათიანი წლების შენი თანატოლებიც მათგან სწავლობდნენ სიმამაცეს.

— თქვენ იზრდებით, როგორც უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლები, — სწერდა ალექსი მაქსიმეს ძე გორკი პიონერებს, — თქვენი სწრაფი ზრდა უნდა აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ცხოვრებას სწავლობთ არა მარტო სკოლაში, არამედ თქვენი მამების, დედების, უფროსი დებისა და ძმების ყოველდღიურ შრომითს საქმიანობაში მონაწილეობითაც.

ამ კანონით ცხოვრობდა ოცდაათიანი წლების პიონერეთი. როცა დაიწყო კოლექტივიზაცია — კოლმეურნეობების შექმნა, პიონერები უფროსებთან ერთად გაბედულად იბრძოდნენ სოფლად ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის: ბიბლიოთეკებისათვის აგროვებდნენ წიგნებს, მოსავლისა და საკოლმეურნეო ქონების დასაცავად ქმნიდნენ „მსუბუქი კავალერიის“ რაზმებს, ერთ მილიონ გლეხს შეასწავლეს წერა-კითხვა, საშეფო სოფლებს გაუგზავნეს 20 ათასი რადიომიმღები, პირველ კომუნებს საჩუქრად გადასცეს 4600 ტრაქტორი; 1932 წლის ზაფხულში ყაზახეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ჩატარდა მოსწავლეთა ორი საკავშირო ექსპედიცია. პიონერებმა აქლემებითა და სამოქალაქო ომისდროინდელი ოთხთვალებით გაიარეს ათასობით კილომეტრი, შეაგროვეს გვალვისგამძლე მცენარეებისა და სამკურნალო ბალახების ნიმუშები. 1933 წლის ივლისში, მესამე ექსპედიციის დროს, ბავშვებმა ნავებით იმოგზაურეს ვოლგაზე იაროსლავლიდან კოსტრომამდე, შეისწავლეს ვოლგისპირეთის ფლორა და ფაუნა, საკვები ბალახების ნიმუშები გამოსაკვლევად გადასცეს მეცნიერებს. შემდეგ, ი. ვ. მიჩურინის დავალებით, ასეთი ექსპედიცია ალტაის მხარეშიც მოეწყო.

შენი ორგანიზაციის მატიანეში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი იმ პიონერების სახელები, სიცოცხლე რომ შესწირეს სოციალისტური სოფლის მომავალს. 1932 წლის 7 სექტემბერს კულაკების ხელით დაიღუპა ურალელი პიონერი პავლიკ მოროზოვი. იმავე წელს კულაკებმა მოკლეს ციმბირელი კოლია მიაგოტინი. 1933 წელი... 1934... 1935... კომუნისტებთან ერთად კულაკების წინააღმდეგ იბრძოდა და დაიღუპა ყირგიზი პიონერი კიჩან ჯაგიპოვი, სომეხი გრიშა აკოფიანი, უკრაინელი ვანა ვასილჩენკო, რუსი კოლია იაკოვლევი, გაზეთ „ნორჩი პიონერის" ნორჩი კორესპონდენტი ნიკიტა უნინი. პიონერთა თაობები არ ივიწყებენ ამ სახელებს, რადგან ახალი ცხოვრების გამარჯვება მათი სახელების გამარჯვებაც არის.

შენდებოდა ახალი ფაბრიკები და ქარხნები. კომკავშირული ბრიგადების გვერდით პიონერული რაზმებიც მუშაობდნენ. მეფოლადე მაკარ მაზაი, მჭედელი ალექსანდრე ბუსიგინი, ფეიქარი მარია ვინოგრადოვა, ტრაქტორისტი პაშა ანგელინა, — შენც უნდა იცოდე ეს სახელები. პირველი ხუთწლედების ამ გმირების გვერდით, ჩვეულებრივ, პიონერ მამლაქათ ნახანგოვასაც ასახელებენ ხოლმე. თორმეტი წლის გოგონა იყო მამლაქათი, როცა 1935 წლის დეკემბერში ლენინის ორდენით დააჯილდოვეს ბამბის უხვი მოსავლის მოყვანისათვის. ორი ათეული წლის შემდეგ შეკითხვაზე — როგორ მოიყვანა სარეკორდო მოსავალი, — მამლაქათ ნახანგოვამ ასე უპასუხა:

— ჩვენ, ოცდაათიანი წლების პიონერებს, ცხოვრება ვერ წარმოგვედგინა შრომის გარეშე. მეც სხვებთან ერთად ვმუშაობდი...

ქვეყანა სწავლობდა, ეუფლებოდა ახალ ტექნიკას, ზრუნავდა თავდაცვის ძლიერებაზე. სწავლობდა და იზრდებოდა პიონერეთიც. „ყოველ სკოლას, ყოველ პიონერულ რაზმს — ავიამოდელისტთა წრე!" — ასეთი იყო მისი დევიზი ოცდაათიან წლებში. მოსკოველმა პიონერებმა მოტორიანი ავიამოდელების პირველი ესკადრილია ააგეს. უკრაინელი პიონერი გიორგი ბერეგოვოი პირველად მოვიდა ნორჩ ავტომოდელისტთა წრეში და თავისი პირველი მოდელიც მალე გამართა. აბა, ჰკითხე ჩვენს მამაც მფრინავებს და კოსმონავტებს, სად დაიწყეს მათ ავიატორის გზა, ისინი ასე გიპასუხებენ: „პიონერულ წრეში". ჩკალოვი, ბაიდუკოვი, ბელიაკოვი, კამანინი იყვნენ მათი სიმამაცის მასწავლებელნი.

ოცდაათიანი წლები... ეს არის შენი ორგანიზაციის ზრდისა და დავაჟკაცების წლები. თავის რიგებში იგი უკვე 10 მილიონამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე პიონერსა და 4 მილიონ ოქტომბრელს აერთიანებდა. ასე გაიზარდა შენი პიონერული ოჯახი 1940 წლისათვის. ეს, მართლაც, დიდი ოჯახი იყო თავისი მომავლით, თავისი საქმეებით.

1931 წლის 6 ივნისი

გამოვიდა გაზეთ „ნორჩი ლენინელის" პირველი ნომერი. ქართული პიონერული გაზეთი ჯერ კიდევ 1924 წლის 1 ოქტომბერს გამოვიდა, მაშინ მას „ახალგაზრდა პიონერი "ერქვა. 1926 წლიდან დროებით შეწყდა მისი გამოცემა. „ნორჩი ლენინელი" იმხანად მცირე ფორმატის ერთ ფურცელზე იბეჭდებოდა, მაგრამ ამ ორ გვერდსაც ბევრი სიხარული და საინტერესო ამბავი მოჰქონდა ქართველი ბავშვებისათვის.

1931 წლის 20 ნოემბერი

თბილისში გაიხსნა საქართველოს პიონერთა პირველი რესპუბლიკური შეკრება, შეაჯამეს საკოლმეურნეო ესტაფეტის შედეგები. ეს ესტაფეტა 1931 წლის გაზაფხულზე ჩატარდა, რომ ყველა პიონერს აქტიური მონაწილეობა მიეღო საგაზაფხულო სამუშაოებში. ესტაფეტის დროს პიონერებმა ბუჩქნარებისაგან გაწმინდეს 1434 ჰექტარი მიწა, 137 ჰექტარზე დათესეს შაქრის ჭარხალი, დარგეს 26 ათასზე მეტი ხის ნერგი და ვაზი, თვითმფრინავ „საქართველოს პიონერის" ასაგებად შეაგროვეს 25 ათასი მანეთი.

1935 წლის 24 იანვარი

თბილისელ პიონერებს ამ დღეს დიდი ზეიმი ჰქონდათ—ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა. მოსწავლეები მთელ წელიწადს მუშაობდნენ რკინიგზის მშენებლობაზე: ლიანდაგებიც თვითონ დააგეს, სადგურებიც თვითონ ააშენეს, ვაგონებიც თავისი ხელით გამართეს. პიონერებს ამიერკავკასიის ლენინის სახელობის რკინიგზის საქარხნო სასწავლებლის მოწაფეებიც ეხმარებოდნენ. მათ შეაკეთეს პატარა ორთქლმავალიც, ჯართთან ერთად გადასადნობად რომ იყო გამზადებული. ნორჩ რკინიგზელებს შეასწავლეს მემანქანის, სადგურის მორიგის, დისპეტჩერის და მეკავშირის სპეციალობა. საბავშვო რკინიგზაზე ხომ ყველაფერი პიონერებს უნდა გაეკეთებინათ!

საბავშვო რკინიგზას თავდაპირველად ორი სადგური ჰქონდა —

„პიონერი“ და „სიხარული“, მოგვიანებით მესამეც შეემატა — „მზიური“. მალე თბილისელი პიონერების მაგალითზე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც დაიწყეს საბავშვო რკინიგზის მშენებლობა.

1937 წლის მარტი

ყველა პიონერულმა რაზმმა და რაზმეულმა დაიწყო ფულის შეგროვება ესპანელი თანატოლების დასახმარებლად. ესპანელმა პიონერებმა საბჭოთა ბავშვებს საჩუქრად გამოუგზავნეს ბარსელონის პიონერთა დროშა, რომელმაც მებრძოლი რესპუბლიკის მრავალი ბარიკადა მოიარა.

1938 წლის სექტემბერი

ხასანის ტბასთან იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში პიონერებიც მონაწილეობდნენ: ისინი ექიმებს ეხმარებოდნენ დაჭრილი მეომრების მოვლაში, მუშაობდნენ ჰოსპიტლებში, სამხედრო ნაწილებში მიჰქონდათ პიონერული ამანათები, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან რომ უგზავნიდნენ მებრძოლებს. რამდენიმე პიონერი ამიტომაც დააჯილდოვეს მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

1939 წლის 23 მაისი

ჩვენს ქვეყანაში ზეიმით აღნიშნეს პიონერული ორგანიზაციისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 15 წლისთავი. აგვისტოში კი მოსკოვში გაიხსნა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ნორჩი ნატურალისტების პავილიონში ქართველი პიონერების ექსპონატებსაც უჩვენებდნენ მნახველებს. ეს იყო მანდარინის, ლიმონისა და ვაზის უხვმოსავლიანი ჯიშები, მოსწავლეებმა რომ გამოიყვანეს სასკოლო სათბურებში.

ორმოციანი წლები

ჩვეულებრივი საახალწლო ზეიმით დაიწყო ეს წლები: ნაძვის ხე, სიმღერა, საზამთრო არდადეგები. ჩვენი ხალხი ახალი გეგმებით ხვდებოდა 1941 წელს. პიონერებსაც თავისი გეგმები ჰქონდათ, — ზოგმა ბანაკს მიაშურა, ზოგიც სამხედრო ფიზკულტურული შეჯიბრებისათვის ემზადებოდა. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო მოსწავლეთა გასამხედროებული ლაშქრობა. მოლაშქრენი ხაშურიდან ფეხით ავიდნენ ბაკურიანში და იქ ხუთ დღეს დარჩნენ. სწავლობდნენ თხილამურებით

სრიალს, ეუფლებოდნენ სამხედრო საქმეს, ჩაატარეს სამხედრო თამაში, ეს იყო იანვარში, საზამთრო არდადეგების დროს. სამაისოდ კი თბილისელმა პიონერებმა დიდი საჩუქარი მიიღეს — 2 მაისს გაიხსნა პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე.

ასე იყო ყველგან. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში იგრძნობოდა მშვიდობის დღეების რიტმი, მხოლოდ ... 22 ივნისის განთიადამდე...

და შემდეგ, ათას ოთხას თვრამეტი დღის ბრძოლა დასჭირდა ამ მშვიდობიანი დღეების დაცვას. ეს იყო გმირობა ფრონტის ხაზზე და ღრმა ზურგში, მთელი ხალხის გმირობა, მილიონთა გმირობა, ათას ოთხას თვრამეტი დღე რომ გრძელდებოდა და სჭედდა გამარჯვებას. შენ იცი, რაც უღირს ჩვენს ხალხს ეს გამარჯვება — ომმა ოცი მილიონი საბჭოთა მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა. შენ ისიც იცი, რომ მათ შორის ძალზე ბევრი შენი თანატოლიც იყო.

— გაივლის წლები, — მიმართავდა პიონერებს არკადი გაიდარი 1941 წლის აგვისტოში, — თქვენ გაიზრდებით და დიდი და მშვიდობიანი შრომის შემდეგ დასვენების დროს სიამოვნებით მოიგონებთ, რომ ოდესღაც, სამშობლოსათვის მრისხანე დღეებში, გულხელდაკრეფილნი კი არ ისხედით, რითაც შეგეძლოთ, ეხმარებოდით თქვენს ქვეყანას ვერაგ მტერზე გამარჯვებაში.

უკვე ომის პირველსავე დღეს ბრესტის ციხესიმაგრის ნორჩ დამცველებს მებრძოლებისათვის მიჰქონდათ საბრძოლო მასალა და წყალი, წინა ხაზიდან გამოჰყავდათ დაჭრილები. რამდენი მამაცი ნორჩი მზვერავი, მეკავშირე და სანიტარი გამოჩნდა მოქმედ არმიაში ომის პირველი დღეებიდანვე! ჯარისკაცები მათ „პოლკის შვილობილებს“ ეძახდნენ სიყვარულით. ცივი ჯარისკაცური სანგარი იყო მათი სახლი და სკოლა; მათი ხელმძღვანელი — ბევრისმნახველი სერჟანტი და მებრძოლი გენერალი; მათი პიონერული კანონი — სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

ჩვენ დღესაც მებრძოლთა მწყობრში ვახსენებთ მათ, ვინც გამარჯვებისათვის იბრძოდა და გამარჯვების დღეს ვერ მოესწრო — საბჭოთა კავშირის გმირებს, პიონერებს: ვალენტინ კოტიკს, მარატ კაზეის, ზინა პორტნოვას, ლიონია გოლიკოვს; პარტიზანების ნორჩ მზვერავებს: ვალოდია დუბინინს და ვიტია კორობკოვს, მამაც მეომარს ერონის ინაურს... მათ გმირობაზე წიგნები დაიწერა, შეიქმნა სიმღერები, კინოფილმებიც გადაიღეს. ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი კოტიკი და ინაური ჰყავს ჩვენს ხალხს,

მათ ასახელეს გმირობით

მათ ასახელეს გმირობით

სამშობლო სახელოვანი!

სამშობლო სახელოვანი!

აქამდე უცნობი რამდენი გმირის სახელს გავიგონებთ კიდევ და კიდევ!

მტრის ზურგში პიონერთა რამდენიმე ფარული რაზმი მოქმედებდა. ისინი ასრულებდნენ კომუნისტებისა და იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციების დავალებებს, მოსახლეობაში ავრცელებდნენ ფურცლებს, მწყობრიდან გამოჰყავდათ მტრის ტექნიკა, პარტიზანებისათვის აგროვებდნენ იარაღს და წამლებს. ერთი ასეთი რაზმი დონის ოლქის სოფელ პოკროვკაშიც იყო, მას ვასია ნოსაკოვი მეთაურობდა. პიონერებს ერთი გამოქვაბული ჰქონდათ, სადაც თავისი რაზმეულის დროშას ინახავდნენ და რაზმის შეკრებებს აწყობდნენ ხოლმე. გამოქვაბულში მალავდნენ იმასაც, ვისაც ფაშისტები გერმანიაში გაგზავნას დაუპირებდნენ. დონიდან გერმანელების განდევნის შემდეგ ამ იატაკქვეშა პიონერული რაზმის ყველა წევრი დააჯილდოვეს მედლით „დიდი სამამულო ომის პარტიზანი“.

ყველგან — მოსკოვის მისადგომებთან, ალყაშემორტყმულ ლენინგრადში, ბელორუსიაში, ოდესის კატაკომბებში, ბრიანსკის ტყეებში და სტალინგრადთან, — ყველგან მამაცურად იბრძოდნენ სამშობლოს ნორჩი დამცველები. მოსკოველმა პიონერებმა ხანძარსაწინააღმდეგო რაზმები შექმნეს, დღედაღამ მორიგეობდნენ ქალაქში და ახლა ორმოციანი წლების 20 ათასი მოსკოველი პიონერი ატარებს მედალს „მოსკოვის დაცვისათვის“. ბლოკადის პირველი დღეებიდანვე იბრძოდნენ ლენინგრადელი პიონერებიც, იბრძოდნენ და სწავლობდნენ კიდევაც. მტერი ქალაქს ბომბავდა, ინგრეოდა სახლები, არ იყო საკმარისი სანოვაგე, ისინი კი ჩვეულებრივად დადიოდნენ სკოლაში, სწავლობდნენ, ეხმარებოდნენ ქალაქის დამცველებს. ამიტომ იყო, რომ გმირული ქალაქის 15249 ნორჩი მოქალაქე დააჯილდოვეს მედლით „ლენინგრადის დაცვისათვის“.

სამამულო ომი მძიმე იყო იმისთვისაც, ვინც ფრონტზე იბრძოდა და იმისთვისაც, ვინც ზურგში დარჩა, ვინც ფრონტს ამარაგებდა საბრძოლო აღჭურვილობითა და სურსათით. ბავშვებმა შეცვალეს ფრონტზე წასული მამები და უფროსი ძმები, მუშაობდნენ ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში, ყველგან, სადაც სარგებლობის მოტანა შეეძლოთ. მაშინ ხომ უმნიშვნელო საქმეები არ არსებობდა! ადამიანები ცხოვრობდნენ მხოლოდ ერთი აზრით: „ყველაფერი ფრონტისათვის! ყველაფერი მტერზე გამარჯ-

ვებისათვის!" 1942 წლის ნოემბერში სწორედ ამ დევიზით ჩატარდა საკავშირო პიონერული კვირეული.

პიონერთა დელეგაციები პირდაპირ ფრონტზე მიდიოდნენ, რომ საბჭოთა არმიის ნაწილებისათვის გადაეცათ თავისი სახსრებით აგებული თვითმფრინავები და ტანკები. მტერს თავზარს სცემდნენ ესკადრილიების — „ციმბირის პიონერის", „ტაშკენტის პიონერიას", „უზბეკეთის პიონერის" — მამაცი მფრინავები. მტრის მრავალზე მრავალი ზღუდე გადაულახავთ სატანკო კოლონებს: „მოსკოვის პიონერს", „კუიბიშევის პიონერს", „ურალის პიონერს", „საქართველოს პიონერს". ამ სატანკო კოლონის ასაგებად ქართველმა პიონერებმა 1943 წელს 11000000 მანეთი შეაგროვეს.

იმ წლების პიონერული მატიანე ბევრ ასეთ საინტერესო ფურცელს ინახავს. არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული: არც ის პატარა პიონერული ალამი, სამშობლოდან გერმანიაში გარეკილმა უცნობმა ბიჭუნებმა უბით რომ ჩაიტანეს ბერლინში... არც ის ოცი ვაგონი ვაშლი, უზბეკეთის პიონერებმა რომ გაუგზავნეს ბლოკადაში მყოფ ლენინგრადის დამცველებს... არც ის ქართული ოჯახები, ევაკუირებული ბავშვები რომ შეიფარეს... არც ის სახელები, ნანგრევებად ქცეული რაიხსტაგის კედლებზე რომ წააწერეს დაღუპულ ჯარისკაცთა მაგიერ... არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული, რადგან გმირობის დავიწყება არ შეიძლება.

1941 წლის ივლისი-ნოემბერი

სამამულო ომის დღეებში ფრონტის დაკვეთით მუშაობდა თბილისის საბავშვო რკინიგზაც. ნორჩმა რკინიგზელებმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის დავალებით, თავიანთ სახელოსნოში კავალერიისათვის 10 ათას ნალს გაუკეთეს ნასვრეტი. ამ სამუშაოსათვის მიღებული ფული — 10 ათასი მანეთი მათ ჯავშნიანი მატარებლის ასაშენებლად გაგზავნეს უმაღლესი მთავარსარდლის სახელზე. რამდენიმე თვის შემდეგ საბავშვო რკინიგზაზე ასეთი დეპეშა მოვიდა:

„ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა საბავშვო რკინიგზაზე მომუშავე რკინიგზელებს, რომელთაც 10 ათასი მანეთი შეაგროვეს ჯავშნოსანი მატარებლის ასაგებად. ი. ბ. სტალინი".

1942 წლის 12 აპრილი

პიონერთა სასახლეში თბილისის მოსწავლეთა აქტივის კრება გაიმართა. კრების მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს გმირი ქალაქის სევასტოპოლის ბავშვებს.

„ძვირფასო მეგობრებო, ისევე, როგორც თქვენ, ჩვენც ვიქნებით მამების ღირსეული შვილები; ისევე, როგორც თქვენი, ჩვენი ლოზუნგია — „ყველაფერი ფრონტისათვის! ვერაგ მტერზე, ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებისათვის". გმირი პარტიზანი გოგონას ტანიას ხსოვნის ნიშნად, მისი სახელობის ტანკის ასაგებად უკვე შევაგროვეთ რამდენიმე ათეული ათასი მანეთი. დაე, ტანკმა „ზოია კოსმოდემიანსკაიამ" ისევე გმირულად იბრძოლოს ფაშისტების წინააღმდეგ, როგორც „ტანია" იბრძოდა!".

1943 წლის 2 იანვარი

გაზეთ „პრავდაში" დაიბეჭდა გორელი პიონერის ლეილა კიკნაძის წერილი ი. ბ. სტალინისადმი. იგი სწერდა უმაღლეს მთავარსარდალს, რომ სატანკო კოლონის „ნორჩი პიონერის" ასაგებად შეაგროვა 1200 მანეთი. გაზეთის იმავე ნომერში დაიბეჭდა უმაღლესი მთავარსარდლის პასუხი, ლეილასა და კიდევ სამი სხვა მოსწავლის სახელზე გამოგზავნილი: „გმადლობთ, ნორჩო ამხანაგებო, წითელ არმიაზე თქვენი ზრუნვისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში".

1943 წლის ნოემბერი

თბილისელმა პიონერებმა შეფობა აიღეს კრასნოდარის მხარის სკოლებზე, ოკუპაციაში რომ იმყოფებოდნენ ორი წლის მანძილზე. ჩვენი პიონერები თავის კრასნოდარელ თანატოლებს უგზავნიდნენ ტანსაცმელს, ხილს, წიგნებს, გეოგრაფიულ რუკებს და სხვა სასწავლო მოწყობილობას.

1945 წლის 9 მაისი

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე.

ერთი თვის შემდეგ, 1945 წლის 9 ივნისს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დაარსების ოც წლისთავთან დაკავშირებით, გაზეთი „პიონერსკაია პრავდა" დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. ეს იყო იმ ნაყოფიერი მუშაობის ჯილდო, გაზეთმა რომ გასწია ბავშვთა აღზრდისა და სასარგებლო შრომითს საქმიანობაში მათი აქტიური ჩაბმისათვის.

1948 წლის 28 მარტი

ქალაქ ვლადიმირში გაიხსნა ნორჩ მებაღეთა პირველი საკავშირო შეჯიბრება, შეჯამდა საკავშირო შეჯიბრების შედეგები. გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა მახარაძის საბავშვო სახლის პიონერთა რაზმეულიც. ამ რაზმეულის პიონერებმა დარგეს და ახარეს 770 ძირი ხეხილი, 350 ძირი დეკორატიული მცენარე.

1948 წლის 14 ივლისი

ტაჯიკ პიონერს, ნორჩ მებამბეთა რგოლის ხელმძღვანელს ტურსუნალი მატკაზიმოვს ბამბის უხვი მოსავლის მოყვანისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ერთი წლის შემდეგ, 1949 წლის აგვისტოში, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა კიდევ ერთ პიონერს — ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს ნათელა ჩელებაძეს. მან ეს ჯილდო მიიღო ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავლის მიღებისათვის.

ორმოცდაათიანი წლები

ომის ქარიშხალმა გადაიარა, მის ნანგრევებზე ახალი ქალაქები და სოფლები, ახალი ფაბრიკები და ქარხნები წამოიმართა, ვოლგა-დონის არხში ხომალდების პირველმა ქარავნებმა გაიარეს. მშვიდობიანმა ატომმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად აამუშავა ელექტროსადგურის ტურბინები. აენთო ვოლჟსკის უდიდესი ჰიდრონაგებობის ჩირაღდნები. მსოფლიომ პირველად გაიგონა უბრალო რუსული სიტყვა „სპუტნიკი". ჩვენი ქვეყანა კოსმოსის პიონერი გახდა.

შენი უფროსი ამხანაგები, კომკავშირელები, კვლავ მშენებელთა პირველ რიგებში მიაბიჯებდნენ. ეს ხომ წლობით განმტკიცებული ტრადიციაა. დონბასის შახტები, ყამირი, ციმბირი, უკიდურესი ჩრდილოეთი... შენმა მშობლებმა კარგად იციან ორმოცდაათიანი წლების კომკავშირის დამკვრელური შენების მისამართები. იმ წლებს ხომ მათი კომკავშირული გულის მდუღარებაც ატყვია.

რით ცხოვრობდა იმხანად პიონერეთი? რას აკეთებდა?

სწავლობდა, შრომობდა, იძენდა ახალ მეგობრებს მსოფლიოს ყველა კუთხეში. ორმოცდაათიანი წლები — ეს არის პირველი სასკოლო პლანეტარიუმი და ყამირელებისათვის გაგზავნილი „პიონერული ბიბლიოთეკები", სამზადისი მსოფლიოს სტუდენტობისა და ახალგაზრდობის VI ფესტივალისათვის, საერთაშორისო პიო-

მათ ასახელეს გმირობით

მათ ასახელეს გმირობით

სამშობლო სახელოვანი!

შენი პიონერული ორგანიზაციის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ეს ორი სახელი—ნათელა ჩელებაძე და ტურსუნალი მატკაზიმოვი. თითქმის სამი ათეული წლის წინათ, როცა დიდი სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო და ქვეყანა ჭრილობებს იშუშებდა, ომგადახდილი ქვეყნის მშრომელებს მხარში ედგა მილიონობით შენი თანატოლი. უფროსებთან ერთად ჭრიდა კალოს, კრეფდა ჩაის, ომის შემდეგ დარჩენილ სანგრებში ახალი სახლების საძირკველს ყრიდა... ასე შრომობდნენ ნათელა და ტურსუნალი, ერთი ჩვენთან, საქართველოში, ჩაის პლანტაციებში, მეორე კი შორეულ ტაჯიკეთში. უხვი მოსავლის მიღებისათვის მათ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

პიონერი — სოციალისტური შრომის გმირი! რა ამაყად ჟღერს ეს სიტყვები, ამაყად და მომწოდებლურად — უსწორდე ბრძოლისა და შრომის გმირებს, სწავლის გმირებს, ჩვენი დღეების საუკეთესო ადამიანებს!

სწორება გმირებზე! — იმედი გვაქვს, რომ ასეთი იქნება შენი ცხოვრების დევიზი!

სამშობლო სახელოვანი!

ნერული ოთხჭიდი მძლეოსნობაში, პიონერული ელმავლებისა და ტრაქტორების ასაგებად შეგროვებული ათასობით ტონა ჯართი, ქაღალდის მაკულატურა, სამკურნალო მცენარეები, და, რა თქმა უნდა, ბეჯითი სწავლა. იქმნებოდა ნორჩი მათემატიკოსებისა და ფიზიკოსების სასკოლო საზოგადოებები, ტარდებოდა ტურნირები და ოლიმპიადები, ეწყობოდა მოგზაურობა მეცნიერებათა ჯადოსნურ სამყაროში. როსტოველმა პიონერებმა წამოიწყეს შეჯიბრება „შვიდწლედის თანამგზავრი რაზმის" წოდებაზე. მთელი რაზმი ბეჯითად სწავლობს, გადადის კლასიდან კლასში, მეგობრობს კომუნისტური შრომის ბრიგადებთან, აქტიურად ეხმარება უფროსებს, — ასეთი იყო ამ შეჯიბრების მოთხოვნები. სულ მალე ბევრ რაზმეულს ჰყავდა შვიდწლედის თანამგზავრი რაზმები, უკვე თვით რაზმეულებიც იბრძოდნენ ამ საპატიო წოდების მოსაპოვებლად.

ჩვენმა ქვეყანამ ორმოცდაათიან წლებში არაერთხელ გააოცა მსოფლიო ახალი მეცნიერული აღმოჩენებით, არნახული ტექნიკური მიღწევებით, მომავლის გრანდიოზული გეგმებით. წლითიწლობით ძლიერდებოდა ომგადახდილი ქვეყანა. იზრდებოდა და ძლიერდებოდა შენი ორგანიზაციაც. იგი თავის რიგებში ახლა თოთხმეტ მილიონზე მეტ წევრს აერთიანებდა, ცხოვრობდა თავისი კანონებით, აგრძელებდა პიონერთა წინა თაობების სახელოვან ტრადიციებს.

1950 წლის 14 ივნისი

გაზეთი „პიონერსკაია პრავდა", დაარსების ოცდახუთ წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. ორი თვის შემდეგ სწორედ ამ გაზეთში გამოქვეყნდა ნორჩ მებაღეთა საკავშირო კონკურსის შედეგები. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 7 მილიონ 142 ათასმა პიონერმა და მოსწავლემ. მარტო ერთი წლის მანძილზე ნორჩმა მებაღეებმა დარგეს 30 მილიონ 500 ათასი ხე და დეკორატიული მცენარე. ჩვენი რესპუბლიკის მწვანე სამოსელს იმ წელს მილიონამდე ახალი ნერგი შეემატა.

1953 წლის ოქტომბერი

ფოლადის მაგისტრალებზე პირველად გამოჩნდა რამდენიმე თბომავალი და ელმავალი, წარწერით „პიონერული". ეს თბომავლები და ელმავლები პიონერების მიერ შეგროვებული ჯართისაგან იყო აგებული. „ლითონის ჯართი — სამშობლოს!" — ყველა რაზმეულს თავისი წვლილი შეჰქონდა ამ მოწოდების განხორციელებაში.

1955 წლის დეკემბერი

ვ .ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის საპატიო წიგნში შევიდა გმირ პიონერების სახელები: პავლიკ მოროზოვი, კოლია მიაგოტინი, ლიონია გოლიკოვი, ვალოდია დუბინინი, ვალია კოტიკი, ვიტია კორობკოვი, მარატ კაზეი, კოლია ზვერევი, ვალოდია პავლოვი, ვიტია ხომენკო, შურა კობერი.

შენი ორგანიზაციის ყველაზე მთავარ საპატიო წიგნში რამდენიმე ქართველი პიონერის სახელიც არის შეტანილი. აი, ისინიც: ბათუმელი პიონერი ჰასან ნინიძე, იგი მესაზღვრეებს დაეხმარა საზღვრის დამრღვევის დაჭერაში.

გალის რაიონის სოფელ აჩიგვარის საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე მაყვალა გეგეჭკორი. მისი ხელმძღვანელობით რაზმეულმა მოაწყო მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმა, მოაშენა 8 ოჯახი ფუტკარი, დარგო 10.000 აკაცია, რომ ფუტკარს საჭირო საკვები ჰქონოდა.

გალის რაიონის სოფელ აჩიგვარის საშუალო სკოლის პიონერი ნანული ლილუაშვილი. იგი აქტიურად ეხმარებოდა კოლმეურნეობას, მოკრიფა 2346 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის პიონერები ტრისტან კიკოლაშვილი და კვირია ჯინჭარაული. 1959 წლის ზაფხულში კომბაინზე მუშაობის დროს ჩააქრეს ხანძარი და დაწვას გადაარჩინეს 200 ჰექტარი პურის ყანა.

გარდაბნის რაიონის სოფელ შინდისის სკოლის პიონერები იზაბელა ჯიჯიაშვილი და ლალი ტოტოლაშვილი. მათი თაოსნობით რაზმეულის პიონერებმა გამოკვებეს აბრეშუმის ჭია და სახელმწიფოს ჩააბარეს 60 კილოგრამი პარკი, კოლმეურნეობას გაუმარგლეს 10 ჰექტარი ყანა, 13 ჰექტარზე აიღეს სიმინდის მოსავალი.

1959 წლის 10 ივლისი

ბორჯომის ხეობაში, კარვების პიონერულ ქალაქ „მზიანეთში", გაიხსნა საქართველოს პიონერთა მეექვსე რესპუბლიკური შეკრება. ამ შეკრებას წინ უძღოდა საინტერესო თამაში „ვაშენებთ პიონერულ ქალაქს". მოსწავლეები მთელი წლის მანძილზე სწავლობდნენ კარვების გაშლას, ელექტროგაყვანილობის მოწყობას, სადილის მომზადებას, ქუჩაში მოძრაობის წესებს. ასრულებდნენ მშენებლობის სამმართველოს დავალებებს, გაზეთ „ნორჩ ლენინელში" რომ იბეჭდებოდა სისტემატურად. ასეთი იყო თამაშის

პირველი ეტაპი. მეორე ეტაპზე კი თამაშში გამარჯვებული 500 მოსწავლე შეიკრიბა ბორჯომის ხეობაში, მდინარე ნეძურას პირას, და შეუდგა პიონერული ქალაქის მშენებლობას.

თორმეტ დღეს შენდებოდა კარვების ქალაქი. პიონერებმა თავისი ხელით გაიყვანეს ქუჩები, მოაწყვეს მწვანე თეატრი, მუზეუმი, სახელოსნო, ფოსტა, სასადილო... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ნამდვილი ქალაქისათვის არის საჭირო. აი, სწორედ ამ ქალაქში ჩატარდა რესპუბლიკური შეკრება. პიონერები შეხვდნენ ძველ რევოლუციონერებს, ჩაატარეს სპარტაკიადა და ტყის კარნავალი, მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადა.

სამოციანი წლები

„ვისწავლოთ, ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ ლენინურად", — ამ სიტყვებით უნდა გადავშალოთ სამოციანი წლების პიონერული მატიანე, რადგან მისი დასაწყისიც და დასასრულიც ვ. ი ლენინის სახელთან არის დაკავშირებული. დასაწყისი — მისი დაბადების 90 წლისთავის ზეიმთან, ხოლო დასასრული — 100 წლისთავის იუბილესათვის საწზადისთან. ამ ორ თარიღს შორის მოქცეული ათეული ჩვენი წინსვლის ისტორიაში გიგანტური კოსმოსური სიჩქარეებით არის ჩაწერილი. ესაა იური გაგარინი, კოსმოფრენის პიონერი დედამიწის მკვიდრთა შორისაა მთვარის პირველი საბჭოური თანამგზავრები და მრავალადგილიანი კოსმოსური ხომალდები; ესაა მსოფლიოში უდიდესი ბრატსკის ჰიდროელექტროსადგური და გაზსადენი ურალი-ბუხარა, უდაბნოებს, მთებსა და მდინარეებს რომ გადასწვდა ათასობით კილომეტრზე; ესაა ახალი ქალაქები, ქარხნები და ფაბრიკები, ატომური ელექტროსადგურები და ახალი საბადოები... თაობათა ესტაფეტა გრძელდება და იგი, ეს ესტაფეტა, ახლა შენ უნდა გააგრძელო, სწორედ შენ და შენმა თანატოლებმა, იმათ, ვინც სამოციან წლებში დაიბადა, ვინც სამოცდაათიანი წლების ნორჩ ლენინელთა თაობას შეადგენს.

სამოციანი წლების პიონერეთი კი თავისი ჩვეულებრივი საქმეებით ცხოვრობდა, თუ ჩვეულებრივი ეთქმის იმას, რასაც 180 ათასი რაზმი აკეთებდა. სამოციანი წლების პიონერული ქრონიკა შეიძლებოდა დაგვეწყო პირველი საკავშირო რადიოხაზით, 1960 წლის 2 ოქტომბერს რომ გაიმართა. ეს თარიღი შემთხვევით არ აურჩევიათ: ორმოცი წლის წინ, 1920 წლის 2 ოქტომბერს,

ვ. ი. ლენინი სიტყვით გამოვიდა კომკავშირის მესამე ყრილობის დელეგატების წინაშე. და, აი, ორმოცი წლის შემდეგ მთელი პიონერეთი შეიკრიბა საკავშირო რადიოხაზზე, რომ თავისი სწავლისა და შრომის შესახებ პატაკი ჩაებარებინა პარტიისათვის, ხალხისათვის, კომკავშირისათვის. პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავის იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით გამოცხადდა ორწლედი „პიონერი სამშობლოს".

ასე ჩაეყარა საფუძველი კიდევ ერთ კარგ ტრადიციას — საკავშირო რადიოხაზი ჩატარებული მუშაობის ანგარიშიც არის და ახალ პიონერულ საქმეთა დასაწყისიც.

18 მაისი 1962 წელი

ეს დღე განსაკუთრებით საზეიმო და დაუვიწყარია ყველასათვის, ვინც ოდესმე მდგარა პიონერულ მწყობრში, ვისაც პიონერული კანონებით უცხოვრია. კრემლის ყრილობათა სასახლეში, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი სხდომები ტარდება ხოლმე, იმ დღეს შეიკრიბნენ პიონერთა ყველა თაობის წარმომადგენლები. აქ იყვნენ ისინიც, ვინც ოციან წლებში ქმნიდნენ პირველ რაზმებს, და ისინიც, ვინც ოცდაათიან წლებში ებრძოდნენ კულაკებს, კომკავშირელთა მხარდამხარ აშენებდნენ დნეპრჰესს და ამურის კომკავშირულ ქალაქს; აქ იყვნენ ისინიც, ვინც სამამულო ომის ქარცეცხლში გამოატარეს პიონერული დროშები და შემდეგ ყუმბარებისაგან გადათხრილ სანგრებში ახალი სახლების საძირკველი ჩაყარეს; აქ იყვნენ ორმოცდაათიანი წლების ყამირელებიც და სამოციანი წლების პიონერებიც, ბეჯითი სწავლითა და შრომით რომ ემზადებოდნენ ამ დღისათვის. და, აი, სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა მათ საქმიანობას: პიონერეთის ყველაზე მთავარ დროშაზე — საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დროშაზე — აკიაფდა უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ჩვენი ქვეყნის კომუნისტების სახელით ასე მიმართა პიონერებს:

— ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მონაპოვართა დაცვა და გამრავლება თქვენი უმთავრესი ამოცანაა. დღეს თქვენ ბავშვები ხართ, გავა სულ რამდენიმე წელი და თქვენ ჩადგებით კომუნიზმის აქტიურ მშენებელთა რიგებში.

მაშ, ემზადეთ, ბავშვებო, ამ კეთილშობილური საქმისათვის. უკვე ახლა უნდა შეითვისოთ ყოველივე ის, რაც შექმნილია უფროსი თაობების მიერ, რომ გახდეთ ნამდვილი კომუნისტები. იყა-

ვით მზად, აქტიურად მონაწილეობდეთ კომუნისტური პარტიის დიადი საქმისათვის ბრძოლაში.

მეორე დღეს, 19 მაისს, წითელ მოედანზე გაიმართა დედაქალაქის პიონერთა დიდი საზეიმო აღლუმი. იმ დღეს მავზოლეუმის წინ მწყობრი ნაბიჯით ჩაიარა ათი ათასზე მეტმა პიონერმა. მოსკოველი მოსწავლეების მწყობრში მიაბიჯებდნენ საზეიმო სხდომაზე მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული პიონერული დელეგაციების წევრებიც. მავზოლეუმის შესასვლელთან კი, იქ, სადაც ჩვეულებრივად დგას სოლმე ორი ჯარისკაცი, ექვსი ნორჩი ლენინელი იდგა საპატიო ყარაულში, ჩვენი ქვეყნის № 1 საგუშაგოზე.

ასე იყო მოსკოვში, თბილისი კი იმ დღეს პიონერთა საიუბილეო შეკრების დელეგატებს მასპინძლობდა.

1962 წლის 10 ივლისი „არტეკში" გაიხსნა პიონერთა მეორე საკავშირო შეკრება, იგი პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავს მიეძღვნა. შეკრების დელეგატებმა მოწოდებით მიმართეს ყველა პიონერს, რომ 2 ოქტომბერს — საკავშირო რადიოხაზზე — დაეწყოთ რაზმების შეჯიბრება „ვისი რაზმია უკეთესი?"

1966 წლის 30 სექტემბერი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დაარსების ოცდახუთ წლისთავთან დაკავშირებით თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

1967 წლის 15 ივნისი „არტეკის" მთავარ ანძებზე კიდევ ერთხელ აფრიალდა თხუთმეტი მოძმე რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები — გაიხსნა პიონერთა მესამე საკავშირო შეკრება. იგი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა. ნორჩმა კვალისმაძიებლებმა შეკრებაზე შეაჯამეს იმ დიდი მუშაობის შედეგები, რაზმებმა რომ გასწიეს საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების შესასწავლად. შეკრებაზე მოეწყო შეხვედრები ინტერესების მიხედვით: თავის მუშაობაზე ერთმანეთს ესაუბრებოდნენ პიონერთა რაიონული და საქალაქო შტატების წევრები, ოქტომბრელთა ხელმძღვანელები, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეები, საცხოვრებელი ადგილის

მიხედვით მუშაობის ორგანიზატორები, ნორჩი არმიელები, მესაზღვრეთა და მილიციელთა ნორჩი მეგობრები, სპორტული გუნდების კაპიტნები და მსაჯები, ინტერნაციონალური მეგობრობის კაბინეტების სელმძღვანელები. შეკრების ერთი დღე დაეთმო პიონერთა სოლიდარობას მსოფლიოს ხალხებთან, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის რომ იბრძვიან.

ახლოვდებოდა კომკავშირის 50 წლისთავის იუბილე. და, აი, ამ თარიღთან დაკავშირებით, მესამე საკავშირო შეკრების გადაწყვეტილებით, დაიწყო დათვალიერება „იკაშკაშეთ, ლენინურო ვარსკვლავებო!"

1969 წლის 19 მაისი

ნოვოროსიისკისა და ვლადივოსტოკის საზღვაო ნავსადგურებიდან გავიდა ორი ხომალდი — „ბერეზოვკი" და „მონგუჩაი". კურსი — ვიეტნამი. მათ საბჭოთა პიონერების საჩუქრები წაუღეს მებრძოლი ვიეტნამის ბავშვებს. ასე დაიწყო პიონერული სოლიდარობის დიდი კამპანია „საბჭოთა კავშირის პიონერები — ვიეტნამს!"

სამოცდაათიანი წლები

არც ისე დიდი დრო გვაშორებს ამ ათწლეულის დასაწყისიდან — სულ რაღაც ექვსი წელიწადი. მთელი ქვეყანა — მუშები და კოლმეურნეები, ინჟინრები და მეცნიერები, პოეტები და კომპოზიტორები, — ყველა ახალ შრომითს ნობათს ამზადებდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. ემზადებოდა პიონერეთიც — ნორჩ ლენინელთა სამოცდაათიანი წლების თაობა.

ყველა რაზმეული მონაწილეობდა საკავშირო ექსპედიციაში „ილიჩის ანდერძის ერთგულნი ვართ". „წითელი კვალისმაძიებლები" მოგზაურობდნენ ლენინურ ადგილებში, სწავლობდნენ ლენინის სახელობის ქალაქების, ფაბრიკებისა და ქარხნების ისტორიას, ხვდებოდნენ ლენინის ორდენოსან ადამიანებს, აქტიურად მონაწილეობდნენ კომკავშირულ ორწლიურში „კომკავშირი — სოფლის სკოლას", მიაბიჯებდნენ სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკრის" საბრძოლო გზებით. სამოცდაათიანი წლების პიონერთა მეგობრობის თავისებურ სიმბოლოდ იქცა ოპერაცია „ჩუკოტკა". ყველა რაზმეული გამოეხმაურა მოსკოველი პიონერების მოწოდებას, შეეგროვებინათ ფული ჩუკოტკაზე მეგობრობის პიონერუ-

ლი სასახლის ასაშენებლად. ყოველწლიურად ათასობით მანეთი ირიცხება სასახლის მშენებლობის ანგარიშზე, მეგობრობის ამანათები მიდის შორეულ ჩუკოტკაზე ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან.

სწორედ ამაზე უპატაკეს პიონერებმა 1970 წლის 26 მაისს ლენინური კომკავშირის XVI ყრილობას. ყრილობამ მიიღო მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა პიონერისადმი, მოუწოდა მათ, დაეწყოთ სამზადისი ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ამ მიმართვის პასუხად პიონერთა IV საკავშირო შეკრების დელეგატებმა, ჩვენი ქვეყნის ოცდასამი მილიონი ნორჩი ლენინელის სახელით, პირობა მისცეს კომკავშირს, რომ ღირსეულად აღნიშნავდნენ პიონერული ორგანიზაციის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. ასე დაიწყო პიონერთა საკავშირო მარში „მზად ვართ!"

მეოთხე საკავშირო შეკრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ჩატარდა ლენინგრადში 1970 წლის 30 ივნისიდან 3 ივლისამდე. შეკრების 24 დელეგატი დააჯილდოეს საიუბილეო მედლით. მათ შორის იყო ქუთაისის III საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე თემურ უკლება.

ტრადიცია გრძელდება

ასე დაიწყო საბჭოთა პიონერებისათვის ეს ათწლეული. რა უნდა გიამბოთ ამ განვლილ ხუთ წელიწადზე? შენი ვარსკვლავიც ხომ მონაწილეობდა საიუბილეო მარშში, ესწრებოდა საშეფო რაზმის შეკრებებს, ხვდებოდით თქვენს უფროს მეგობრებს — კომკავშირელებს, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებს. ალბათ, შენს მეხსიერებაშიც არასდროს არ წაიშლება 1972 წლის მაისის საზეიმო დღეები, როცა შენი ორგანიზაციის დროშაზე ლენინის მეორე ორდენი აკიაფდა; გახსოვს საზეიმოდ მორთული წითელი მოედანიც და პიონერთა V საკავშირო შეკრების საცნობებიც, 1972 წლის აგვისტოში რომ გაისმოდა „არტეკიდან".

მას შემდეგ, 1974-76 წლებში, აქ, ჩვენი ქვეყნის პიონერთა მრავალი თაობისათვის ასე საყვარელ და საოცნებო „არტეკში", საბჭოეთის პიონერების კიდევ ერთი შეკრება გაიმართა.

ოთხ დღეს ფრიალებდა პიონერთა VII საკავშირო შეკრების ალამი, დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის სამზადისისკენ რომ მოუწოდა პიონერებს. „კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს!" ასეთია 70-იანი წლების ნორჩი ლენინელების მოწოდება.

თაობათა ესტაფეტა გრძელდება. ჩვენი პარტიის XXV ყრი-

ლობამ ახალი სიმაღლეები დაუსახა საბჭოთა ხალხს. პარტიის გეგმები ხომ ხალხის გეგმებია. თვალს თუ გადაავლებ მეცხრე ხუთწლედის ციფრებს, დარწმუნდები, რომ, მართლაც, დიდი და საოცარი გეგმებია, წინსვლის გიგანტური ნაბიჯებია. 1980 წლის ბოლოსათვის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკამ უნდა მიიღოს 1340-1380 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია. 620-640 მილიონი ტონა ნავთობი, 160-170 მილიონი ტონა ფოლადი. ამ ხუთი ათეული წლის წინათ ვ. ი. ლენინი ასი ათას ტრაქტორზე ოცნებობდა, მარტო ამ ხუთწლედში კი სოფლის მეურნეობა 600 ათას ტრაქტორს მიიღებს. 1918 წელს საბჭოთა რუსეთის მრეწველობას მხოლოდ 22 დარგი ჰქონდა, ახლა დარგების რაოდენობამ 300-ს გადააჭარბა. მეათე ხუთწლედში ხალხი მიიღებს 540-550 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ ბინებს. ეს ნიშნავს, რომ 60 მილიონი კაცი იზეიმებს ახალმოსახლეობას!

ამ გრანდიოზულ ციფრებში ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღეა. აშენდება ახალი ქალაქები, ფაბრიკები და ქარხნები, სკოლები, პიონერთა სახლები და სასახლეები. გაიყვანენ ახალ გზებსა და არხებს, ახალი კოსმოსური ხომალდები აიჭრებიან ვარსკვლავებით დახუნძლულ ცაში.

ხუთწლედის მთავარი ამოცანა — ეს არის ხალხზე, მის კეთილდღეობაზე, მის მომავალზე ზრუნვა. ჩვენი გეგმები იმით არის ძლიერი და რეალური, რომ ეს ხალხის გეგმებია და ხალხი არაფერს არ დაიშურებს მათი განხორციელებისათვის. ყველგან და ყოველთვის უნდა გახსოვდეს პარტიის XXIV ყრილობის დელეგატების მოწოდება:

„ყველაფერში უსწორდით კომუნისტებს და კომკავშირელებს! ყოველ რაზმეულს — მეცხრე ხუთწლედის დამკვრელური საქმე!“

ეს შენ უნდა გააგრძელო პიონერთა თაობების სწავლისა და შრომის სახელოვანი ტრადიციები. ოდესღაც, ამ ორმოცდაათი წლის წინათ, პირველ რაზმში მხოლოდ 52 პიონერი იყო. ახლა ჩვენი რაზმეული 25 მილიონ წევრს აერთიანებს. მათ შორის ხარ შენც, ერთი რიგითი ჯარისკაცი. უსწორდი პიონერულ დროშას, ბეჯითად ისწავლე და იშრომე, რადგან შენი შრომა ოცდახუთი მილიონი შენი თანატოლის შრომას ერწყმის, ახალი საქმეებით ავსებს თაობათა მატიანეს.

იყავი მათი ღირსეული მემკვიდრე ყველგან და ყველაფერში!

პიონერული

მუსიკა ალ. შავერზაშვილისა
ლექსი ჯ. ნინუასი

ჩვენი მჭექარე სიმღერა
მსოფლიოს ხალხებს ახარებს,
რომ შრომა, მეგობრობა და
მშვიდობა გვინდა პატარებს.

სწავლა და სწავლა! — წინ გვიძღვის
დიდი ლენინის სიტყვები,
ფიცი მივეცით პარტიას,
მისი ერთგულნი ვიქნებით.

მისამღერი:

მან მოგვცა ასეთი
უღრუბლო ბავშვობა,
სამშობლოს მადლობა,
პარტიას მადლობა!

ჩვენია აწმყო ნათელი
და მომავალიც ჩვენია,
სამშობლო — ჩვენი ფიცია,
სამშობლო — თავს გვირჩევნია.

მზის და ლენინის თაობა
ვხარობთ სამშობლოს მაისით,
იმის დაძახილს — „იყავ მზად!“ —
„მზად ვართ!“ — ვპასუხობთ ხალისით.

მისამღერი:

სამუდამოდ მწყობრში

შენ უკვე იცი, როგორ შეიქმნა პიონერთა ორგანიზაცია, იცი, როგორ იზრდებოდა და ვითარდებოდა იგი წლების მანძილზე. ახლა უნდა გიამბოთ მის საუკეთესო წევრებზე, შენს თანატოლ გოგონებსა და ბიჭებზე, აი, იმათზე, ვისი სახელიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი შენი ორგანიზაციის ისტორიაში. პავლიკ ანდრეევის და კოტე მღებრიშვილის ათასობით თანატოლი იბრძოდა რევოლუციის ბარიკადებზე, მერე, ოციან და ოცდაათიან წლებში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობა რომ დაიწყო, მათი საქმე პავლიკ მოროზოვმა და მისმა თანატოლებმა განაგრძეს; შემდეგ — დიდი სამამულო ომი, ნორჩი პატრიოტების ახალი სახელები: ლიონია გოლიკოვი, ვალია კოტიკი, ვალოდია დუბინინი, ზინა პორტნოვა. რუბენ იბარური... ყველას ვერ ჩამოვთვლი, ათასობით ნორჩი გმირი დგას სამარადისო პიონერულ მწყობრში.

სწორედ მათზე გიამბობთ ახლა...

ლიონია გოლიკოვი

ლიონკას არასდროს არ უფიქრია, რომ გერმანელ გენერალს პირისპირ შეხვდებოდა, მაგრამ ომში ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

მზვერავების ჯგუფი მთელ ღამეს გზატკეცილის პირას იყო ჩასაფრებული. ღამის სიმყუდროვეს არაფერი არღვევდა, მხოლოდ დილაადრიან აჟღურტულდნენ ჩიტები. ისინი ხომ ყველაზე ადრე ხვდებიან განთიადს! გზატკეცილზე არავინ ჩანდა, ჯგუფის მეთაურმა მზვერავებს უკან დახევის ნიშანი მისცა. ლიონკა რატომღაც ცოტათი შეყოვნდა და, ის იყო, თავისიანების დასაწევად უნდა გაქცეულიყო, რომ გზატკეცილზე მტვრის ბუღი დაინახა. მსუბუქი მანქანა ახლოვდებოდა. „იქნებ შტაბის მანქანაა? — გაიფიქრა გოლიკოვმა. — მაგრამ ჩვენების გაფრთხილებას რომ ვერ მოვასწრებ?"

ხიდთან ქვების გროვა ეყარა, სწორედ ამ ქვებს ამოეფარა. ღელავდა, წამები უსასრულობად ეჩვენებოდა. აი, მანქანა ხიდს გაუსწორდა. ლიონკამ ძალ-ღონე მოიკრიბა და ხელყუმბარა ისროლა. ხელყუმბარა მანქანის წინა თვლებთან გასკდა. მანქანიდან თეთრკიტელიანი ოფიცერი გადმოხტა და უკანმოუხედავად გაიქცა. „ვერ წამიხვალ", — ჩაილაპარაკა ლიონკამ და ტყვიამფრქვევის ცეცხლი გახსნა, მაგრამ მიზანს ააცდინა. მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ოფიცერს პორტფელი ეკავა. „დოკუმენტები, შტაბის დოკუმენტები!" ვაიფიქრა გახარებულმა და იმწამსვე ფაშისტს დაედევნა. უჩვეულო დუელი გაიმართა. ფაშისტი სროლით ტყისკენ გარბოდა,

ლიონკაც სროლით მისდევდა. ოფიცერმა კიტელი გაიხადა და დააგდო, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ტყისკენ. ლიონკამაც გაიხადა ჩექმები, რომ სირბილი გაადვილებოდა. „თუ ტყემდე მიაღწია, მორჩა, დაიმალება კიდევაც", — გაიფიქრა გოლიკოვმა. არადა ტყეც ახლოვდებოდა, ფაშისტი მართლა თავს უშველიდა. ლიონკამ უცებ მოისაზრა, პარტიზანული წესით, ჩაჩოქილს ესროლა. თოფმა იქუხა, ჰიტლერელი ბალახებში ჩავარდა.

პარტიზანულ ბანაკში ლიონკა გვიან დაბრუნდა, გენერლისსამხრეებიანი თეთრი კიტელი ეცვა, მხარზე ორი ავტომატი მოეგდო — თავისი და ნადავლი, ხელში კი შტაბის დოკუმენტებით სავსე პორტფელი ეკავა.

ნორჩი მზვერავი მაშინვე პარტიზანული ბრიგადის შტაბის უფროსმა ტროფიმ პეტროვმა გამოიძახა.

— გენერლის დოკუმენტები მეტად მნიშვნელოვანია და საიდუმლო, ჩვენ მათ დაუყოვნებლივ მოსკოვს გადავცემთ, — უთხრა შტაბის უფროსმა. — ფაშისტმა გენერალმა ახალი ნაღმის საიდუმლო გვაცნობა. ხომ გესმის?

— მესმის, — გაიღიმა ლიონკამ.

პეტროვი ლიონკასთან მივიდა, ხელი მაგრად ჩამოართვა და გადაეხვია:

— ყოჩაღ, შვილო...

რაზმში ახალი ფორმით დაბრუნდა, გახარებული იყო. მეორე დღეს კი პარტიზანული რაზმის მეთაურმა მებრძოლებს უამბო ნორჩი მზვერავის გმირობის ამბავი. მან ისიც თქვა, რომ ლიონკა გოლიკოვი საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე წარადგინეს.

ლიონკა გოლიკოვი უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა ორმოცდასამი წლის იანვრის დამლევს. არ შემკრთალა, როცა შტაბთან ერთად გარემოცვაში მოხვდა. უკანასკნელ ტყვიამდე ისროდა, რომ პარტიზანული რაზმის დოკუმენტები დაეცვა და მტერს არ ჩავარდნოდა ხელში...

მისი პარტიზანული დოკუმენტები საბრძოლო გადაძახილს წაგავს:

გვარი — გოლიკოვი.

სახელი — ლიონია.

პარტიულობა — პიონერი.

პარტიზანულ რაზმში შესვლის დრო — 1942 წლის მარტი.

საბრძოლო გზა: მონაწილეობა მიიღო 27 ოპერაციაში, გაანადგურა 78 ფაშისტი, ააფეთქა ორი რკინიგზისა და 12 საგზატკე-

ცილო ხიდი, ათი ავტომანქანა და 2 საწყობი, ორთაბრძოლაში დაამარცხა ფაშისტი გენერალი.

ჯილდოები: წითელი დროშის ორდენი, მედალი „მამაცობისათვის“, გმირის „ოქროს ვარსკვლავი“.

მარატ კაზეი

ის-ის იყო კვირტებმა გაშლა იწყო ხეებზე. მარატს გაზაფხული უყვარდა. სტანკოველ ბიჭებთან ერთად ხშირად დადიოდა ტყეში. არყის ხის წვენს სვამდნენ და სუნთქვაშეკრულნი უსმენდნენ როჭოების საგაზაფხულო სიმღერას, ახლა კი ყოველ უბრალო გაფაჩუნებაზედაც ყურადღებად უნდა ქცეულიყო, ყოველ ბუჩქს მიღმა შეიძლებოდა მტერი ყოფილიყო ჩასაფრებული.

ტყეში ცხენებით მიიკვლევდნენ გზას. წინ დაზვერვის უფროსი მიხეილ ლარინი მიდიოდა, მკერდზე ბინოკლი ჰქონდა ჩამოკიდებული, ქამარში ხელყუმბარები გაერჭო. უკან მარატი მიჰყვებოდა, მასაც ავტომატი მოემარჯვებინა. ბნელდებოდა. მარატი ხეზე აძვრა, მოშორებით პატარა სოფელი დაინახა და მეთაურს მოახსენა. ლარინმა გადაწყვიტა, სიბნელეს დალოდებოდნენ და სოფელში გაეთიათ ღამე. პარტიზანები დაიქანცნენ, ცხენებსაც არაქათი გამოეცალათ. ქოხამდე შეუმჩნევლად, ეზო-ეზო მიაღწიეს. დააკაკუნეს. კარი მასპინძელმა გააღო. იგი სიტყვაძვირი, პირქუში კაცი აღმოჩნდა.

— ოდნავ რომ ირიჟრაჟებს, მაშინვე გამაღვიძე, — უთხრა ლარინმა მასპინძელს.

პარტიზანები დასაძინებლად მოეწყვნენ. სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ რა მაცდურია ზოგჯერ სიჩუმე! მარატი მეთაურის შეძახილმა გამოაღვიძა:

— ფაშისტები! სასწრაფოდ ცხენებზე, ტყეს შევაფაროთ თავი!..

მზვერავებმა ცხენებზე შესხდომა მოასწრეს და ტყეს მიაშურეს. ფაშისტებმა ტყვიების სეტყვა დაუშინეს. მარატი სულმოუთქმელად მიაჭენებდა ცხენს. ტყემდე სულ რაღაც ორასი თუ სამასი მეტრი იქნებოდა დარჩენილი, მაგრამ... უცებ ცხენი წაიქცა, თითქოს რაღაც უსილავ დაბრკოლებას გადააწყდაო. მარატი ცხენს თავზე გადაევლო და მიწას დაენარცხა. მან ჯერაც არ იცოდა, რომ მეთაური მოკლული იყო, თვითონაც თითქმის ალყაში იყო მოქცეული. მარატი გარბოდა, ეცენოდა, ისევ გარბოდა, შემდეგ კი, როცა ტყვიები ყოველი მხრიდან წამოვიდა, ბუჩქებისაკენ გაცოცდა. მხოლოდ ახლა გაარჩია ფაშისტების ჯაჭვი, ისინი მისკენ

მოაბიჯებდნენ. „ესეც თქვენ, ქვეწარმავლებო!" — კბილებშუა გამოსცრა და ავტომატის ჯერი გახსნა. ფაშისტები მიწას გაერთხნენ. ალბათ, მიხვდნენ, რომ იქ, ბუჩქებს მიღმა, მხოლოდ ერთი პატიზანი იყო, და ცდილობდნენ ალყაში მოემწყვდიათ. მაგრამ მარატ კაზეი ასე იოლად დანებებას არ აპირებდა. როცა ავტომატი დადუმდა, მან იგი განზე მოისროლა და ორი გრანატა ამოიღო, „ცოცხლად უნდათ ჩამიგდონ ხელში". — გაიფიქრა კაზეიმ. მწვანემაზარიანი ჯარისკაცები ყოველი მხრიდან ფრთხილად უახლოვდებოდნენ. აი, მარატამდე ოცდაათი ნაბიჯიღა დარჩათ, ოცი... ახლოს არიან, მათი მძიმე სუნთქვაც კი ესმის. მარატმა პირველი გრანატა ისროლა. რამდენიმე ფაშისტი ადგილზე დარჩა. შემდეგ მთელი ტანით წამოიმართა, ხელში გრანატა ჩაბღუჯა და ჯიქურ წავიდა მტრებისაკენ....

დაიღუპა, მაგრამ მტერს არ დანებდა. ბელორუსიაში დაიბადა, ბელორუსიაში იბრძოდა, ბელორუსიაში დაიღუპა. ფაშისტებს მკვდარი მარატისაც კი ეშინოდათ.

. დაიღუპა სტანკოველი ბიჭუნა, გმირობაზე რომ ოცნებობდა და ჩაიდინა კიდევაც გმირობა. ჯერ კიდევ მოსწავლე იყო, როცა კითხვაზე — „ვის გინდა მიბაძო?" — ასე უპასუხებდა ხოლმე: ჩაპაევს, ჩკალოვს, პაპანინს. დღეს მისი მშობლიური სოფლის პიონერები იმავე კითხვაზე პასუხის გაცემისას აუცილებლად დაუმატებენ: მარატ კაზეის.

ვალენტინ კოტიკი

...გზატკეცილზე სულიერის ჭაჭანება არ იყო. არც შეპეტოვკაში მიმავალი და არც იქიდან მომავალი მანქანები არ ჩანდა. ნორჩი მზვერავები გზის პირას ჩასაფრებულიყვნენ. ერთი საათი გავიდა, ორი, სამი... უცებ შორს, გზატკეცილის მოსახვევში, მსუბუქი ავტომანქანა გამოჩნდა, ფაშისტი დამსჯელებით სავსე ორი მანქანა ახლდა. ვალია კოტიკმა მაშინვე იცნო მძღოლის გვერდით მჯდარი ოფიცერი. ეს იყო შეპეტოვკის ჟანდარმერიის უფროსი, ობერლეიტენანტი კენიგი. ვინ მოსთვლის, რამდენი საბჭოთა ადამიანი უმსხვერპლია მის სისასტიკეს.

ბიჭები ბუჩქებს ამოეფარნენ. გადაწყვიტეს, მანქანა აეფეთქებინათ და ჟანდარმერიის შეფი მოეკლათ. როცა მანქანამდე რამდენიმე მეტრიღა იყო დარჩენილი, ნორჩი მზვერავები ბუჩქებიდან გამოცვივდნენ და ბორბლებქვეშ ხელყუმბარები ისროლეს. სამი აფეთქება თითქმის ერთდროულად გაისმა. უკან მომავალმა ჯა-

რისკაცებით სავსე ავტომანქანებმა დამუხრუჭებაც კი ვერ მოასწრეს, კენიგის დაზიანებულ მანქანას დაეჯახნენ. ფაშისტებმა მთელი ტყე ტყვიებით დაცხრილეს, მაგრამ ნორჩი მზვერავები უკვე შორს იყვნენ. მეორე დღეს მთელ შეპეტოვკას სალაპარაკოდ ჰქონდა, რომ პარტიზანების რაზმი გაბედულად დაესსა თავს ფაშისტებს და შეპეტოვკას ჯალათმა დამსახურებული სასჯელიც მიიღო.

...ვალია კოტიკი მორიგი დაზვერვიდან ბრუნდებოდა. სადგურ ცვეტახას მახლობლად მისი ყურადღება გზისპირა ფერდობმა მიიპყრო; მიწა გადათხრილი ჩანდა. „ნეტავ რა უნდა იყოს?!"—გაიფიქრა და მიწის გადათხრას შეუდგა. მალე კაბელსაც წააწყდა.

კოტიკმა პარტიზანებისაგან იცოდა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან კავშირს ჰიტლერელები მეტისმეტად გულდასმით ნიღბავდნენ.

— ჰოდა, მეც დავეხმარები ამ ქვეწარმავლებს, — ჩაილაპარაკა და თან დანა ამოიღო.

სწორედ ამ დროს ვარშავიდან ჰიტლერს პირდაპირი სატელეფონო ხაზით მეტად მნიშვნელოვანი საუბარი უნდა დაეწყო აღმოსავლეთის მიწების რაიხსკომისარ როზენბერგთან, სპეციალურად რომ ჩავიდა როვნოდან შეპეტოვკაში. და, აი, ხაზზეა ვარშავა, სადაცაა როზენბერგი ფიურერის ხმას გაიგონებს. იგი სმენაზე დადგა, ხელი წინ გამოსწია და აპარატთან დაიღრიალა: „ჰაილ, ჰიტლერ!" ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, მათ გარდა ჰიტლერს არაფერი გაუგონია. ყურმილი დუმდა. მართლაც, რა არ ხდება ომში! ჰიტლერმა ასობით კილომეტრი გამოიარა, რომ რაიხსკომისარს გასაუბრებოდა, ვალია კოტიკმა კი მშვიდად გადაჭრა კაბელი, გულდასმით ჩაფლა იგი მიწაში და შენიღბა, „ეძიონ, რამდენიც უნდათ", — ჩაიცინა და რაზმში გასწია. მაშინ არც კი იცოდა, რომ ფიურერის მნიშვნელოვანი მოლაპარაკება ჩაშალა, ეს მხოლოდ მოგვიანებით გაიგო.

...რაზმს ადგილი უნდა გამოეცვალა. მებრძოლებმა იარაღს თავი მოუყარეს და გზას დაადგნენ. რაზმის კომისარი და მეთაური ჯერ ისევ მეტყევის ჯიხურში იყვნენ, სავარაუდო მარშრუტს აზუსტებდნენ. ვალია კოტიკიც ჯიხურში იყო, ჩვეულებისამებრ გარემოს აკვირდებოდა, თუმცა საფრთხეს არსაიდან ელოდნენ.

უცებ ფაშისტები თითქოს მიწიდან ამოძვრნენ. მეთაური, კომისარი და ნორჩი მზვერავები საფანგში აღმოჩნდნენ. ბრძოლა უნდა მიეღოთ. ავტომატის ჯერმა ფანჯრის მინები ჩალეწა, სელყუმ-

ბარა შიგ ჯიხურში გასკდა და იქაურობა კვამლით აავსო. მეთაურს კონტუზია მოუვიდა, მისი ავტომატი ვალიამ აიღო. ხან ერთ ფანჯარასთან მიირბენდა, ხან მეორესთან და ორი ავტომატიდან ტყვიას ტყვიაზე უშენდა ფაშისტებს. ამასობაში პარტიზანებიც მობრუნდნენ, — შორს წასვლა ვერ მოესწროთ, სროლის ხმაზე მიხვდნენ, რაც მოხდა, და ზურგიდან შეუტიეს ჰიტლერელებს. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა, გერმანელებმა უკან დაიხიეს.

მხოლოდ სამი ეპიზოდი გიამბეთ უკრაინელი პიონერის ვალია კოტიკის ცხოვრებიდან, მხოლოდ სამი ეპიზოდი... რაზმში მისი ცხოვრების ყოველი დღე კი ნამდვილი გმირობა იყო: მიდიოდა მტრის ზურგში დაზვერვაზე, მოჰყავდა მოენე, ნაღმავდა რკინიგზებს, აფეთქებდა ხიდებს. ვალია კოტიკი იბრძოდა და სიცოცხლეს არ იშურებდა მშობლიური შეპეტოვკისათვის, მისი საყვარელი მწერლის — ნიკოლოზ ოსტროვსკის — დანგრეული სახლისათვის, თავისი თანამებრძოლების, იატაკქვეშელი მეგობრების სიკვდილისათვის.

ვალია კოტიკმა 14 წელს იცოცხლა, მაგრამ ეს უბრალო, ხანმოკლე სიცოცხლე არ იყო. ეს იყო ნამდვილი გმირის სიცოცხლე. იგი გმირულად იბრძოდა და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

1965 წელს, გამარჯვების ოცი წლისთავის ზეიმის დღეებში პიონერ ვალენტინ კოტიკს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ზინა პორტნოვა

გესტაპოს კაპიტანმა კრაუზემ გაოცება ვერ დაფარა, როცა კაბინეტში ტანმორჩილი გოგონა შემოუყვანეს. „ნუთუ ამან მოწამლა ჩვენი ოფიცრები!.. ნუთუ ეს აგროვებდა სადაზვერვო ცნობებს!.. პარტიზანების მეკავშირეც ეს პატარა გოგონა იყო? თუმცა, ამ იდუმალებით მოცულ ქვეყანაში შეიძლება ყველა პარტიზანი იყოს“, — გაიფიქრა მან.

დაჯექიო, — დამტვრეული რუსულით შესთავაზა გოგონას, მერე ალერსიანი ხმით დაუწყო დაკითხვა. სად არიან პარტიზანები? რამდენი არიან? მეთაური ვინ არის? რა პროლები გაქვთ? შეხვედრებს საღ უნიშნავთ ერთმანეთს? — აი, რა აინტერესებდა კრაუზეს, მაგრამ პასუხი ვერც ერთ კითხვაზე ვერ მიიღო. კრაუზე კვლავ ღიმილით განაგრძობდა დაკითხვას, მტკიცედ სწამდა, რომ გოგონა ალაპარაკდებოდა. დღეს თუ არა, ხვალ მაინც იტყოდა ყველაფერს. გესტაპოში იციან, როგორ ამოადგმევინონ ენა დამუნ-

ჯებულებს! კაპიტანი კრაუზე იღიმებოდა, არც კი დამუქრებია ზინას, მაგრამ... გოგონა საიდუმლოს გამსელას მაინც არ აპირებდა. იმ დღეს ყველაფერი ამით დამთავრდა. კრაუზეს ბრძანებით, ზინა გესტაპოს ერთ ოთახში შეიყვანეს. მაგიდაზე საღილი იყო გაშლილი. კანფეტებიც არ დავიწყებიათ.

დრო ნელა მიიზლაზნებოდა, გოგონას კი არ ეძინებოდა. ფანჯრის მიღმა გუშაგი დააბიჯებდა. ფანჯარაში მთვარემ შემოიხედა, მთელი ოთახი ვერცხლისფრად აელვარდა. ზინას ლენინგრადის თეთრი ღამეები და ნარვის კარიბჭე გაახსენდა. თანაკლასელებთან ერთად რამდენჯერ უხეტიალია ლენინგრადის წყნარ ქუჩაში. ნეტავ როგორ არის ახლა მშობლიური ლენინგრადი? როგორ ცხოვრობენ ლენიგრადელები? მას შემდეგ, რაც არდადეგებზე ბებიასთან გაემგზავრა, მშობლებისა აღარაფერი გაუგია. იცოდა მხოლოდ ერთი რამ: ლენინგრადი ბლოკადაში იყო მოქცეული, ლენინგრადს უჭირდა და მშობლიურ ქალაქს ისიც რამით უნდა დახმარებოდა. ასე გახდა ზინა პორტნოვა იატაკქვეშელი, დადიოდა დაზვერვაზე, ავრცელებდა პროკლამაციებს.

მოღალატემ გასცა და, აი, ახლა გესტაპოშია. გამომძიებელი სცემდა, მაგრამ დაკითხვაზე ხმა არ ამოუღია. ეს კრაუზე კი უფრო ეშმაკი ჩანს, უფრო ეშმაკი და უფრო საშიშიც...

მეორე დღეს ისევ გაიყვანეს დაკითხვაზე. ისევ კაპიტანი კრაუზე, შემპარავი ხმა, მზაკვრული ღიმილი...

— სად ხვდებოდით? რა პაროლები გქონდათ? პარტიზანები რამდენი არიან?

ისევ დუმილი.

— ამაოდ დუმხარ... თუ არ იჯიუტებ, მშობლებსაც მალე ნახავ. ომი ხომ წაგებული გაქვთ! ლენინგრადი ჩვენია.

— სიცრუეა, — მშვიდად თქვა ზინამ, — ლენინგრადი ჩვენია!

და, აი, კრაუზეს ნერვებმა უმტყუნა. უცებ აყვირდა, ისე აყვირდა, რომ რკინისცსაურებიან ფანჯრებში მინები აზანზარდა. კაპიტანმა ბუდიდან დამბაჩა ამოიღო.

— მიპასუხებ თუ არა?

ზინა დუმდა.

— ერთი გასროლა და ნაწნავებიანი გოგონა აღარ იქნება, — ისევ შემპარავად დაიწყო კრაუზემ, დამბაჩა მაგიდაზე დადო.

დაკითხვა გრძელდებოდა. ამ დროს გესტაპოს შენობას მანქანა მიუახლოვდა. კრაუზე ფანჯარასთან მივიდა. უფროსობას ელოდა. და როცა უკან მიბრუნებულმა მისკენ მიშვერილი დამბაჩის ლულა

სამარადისო

სამარადისო

მწყობრში!

მწყობრში!

სამარადისო მწყობრში!

სამარადისო მწყობრში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინახა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რა ძალა შესწევდა ნაწნავებიან გოგონას.

მეორე გასროლით ზინამ სმაურზე კაბინეტში შემოვარდნილი ოფიცერი მოკლა, მერე ბაღში გადახტა და მდინარისკენ გაიქცა მდინარის მეორე ნაპირზე ტყეა, ტყეში ჩვენები არიან.

ამ დროს გამცემლურად დადუმდა დამბაჩა, ვაზნები გამოილია...

ზინა პორტნოვას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

...გადის წლები. სკოლაში, სადაც ზინა სწავლობდა, პიონერულ ორგანიზაციაში შესვლისას ოქტომბრელები ფიცს დებენ, რომ ისე იცხოვრებენ, როგორც ზინა ცხოვრობდა, და სამშობლოც ისე ეყვარებათ, როგორც თხუთმეტი წლის ზინა პორტნოვას უყვარდა.

რუბენ იბარური

ყირიმი, გაიდარის კლდე. კლდის ქიმზე შავგვრემანი ჭაბუკი დგას, შავ თმას ქარი უწეწავს. ჭაბუკი ზღვას გადაჰყურებს. რა უჩვეულო ცხოვრებაა არტეკში, რა უცნაურად ეფერებიან ტალღები ნაპირს... სადღაც შორს, ზღვის მიღმა კი მისი სამშობლოა, ესპანეთი. დედა ესპანეთში დარჩა. ტუჩები თავისით იმეორებენ ამას წინათ აქ გაგონილ სიმღერას:

ის მტერს უტევდა გაშმაგებული,
რათა დაეცვა ამ ქვეყნის ჩერო,
და სიკვდილის წინ ასე მღეროდა:
გრენადა, გრენადა, გრენადა ჩემო.

ეს ჭაბუკი რუბენ იბარურია, ესპანელი კომუნისტების ბელადის დოლორეს იბარურის ვაჟი.

...რუბენს ბავშვობაში წითელი ყელსახვევი არ უტარებია, მაგრამ მეშასტეთა დასასლებაში, მეგობარ პიონერებთან ერთად, მთელ ორ წელს დადიოდა მიტინგებზე, პროკლამაციებსაც ავრცელებდა. ერთხელ მეშასტეებმა გაფიცვა მოაწყვეს. მაშინ დუქნის პატრონმა გადაწყვიტა, მუშებისათვის პური არ მიეყიდა. რუბენმა და მისმა მეგობრებმა ეს რომ გაიგეს, დილაადრიან გზის პირას პურის ფურგონს ჩაუსაფრდნენ. პურით სავსე ფურგონი სახლს რომ გაუსწორდა, რუბენმა ამხანაგებს ხელით რაღაც ანიშნა. სანამ მე-

დუქნის შვილი გონს მოსვლას მოასწრებდა, პიონერებმა მარჯვედ ჩამოაცვეს თავზე ტომარა. მერე რამდენიმე წუთში ოთხი ტომარა ახლად გამომცხვარი პურით გაავსეს, ერთი საათის შემდეგ კი მეშახტეთა ოჯახებს დაურიგეს თავისი „ნადავლი“.

რუბენის დედა საცხოვრებლად მადრიდში გადავიდა. ასე იყო საჭირო პარტიის საქმისათვის. რუბენიც თან გაჰყვა და მაშინვე დაუახლოვდა მადრიდელ პიონერებს. მათთან ერთად იყო მეკავშირედ, ფულს აგროვებდა პოლიტიკური პატიმრებისათვის, ავრცელებდა პროკლამაციებს. პიონერები ყოველ დილას მიდიოდნენ გალილეის ქუჩაზე და სტამბიდან ახალი გაზეთების დასტა მიჰქონდათ. მადრიდის ქუჩებში რუბენის წკრიალა ხმაც ისმოდა:

— იყიდეთ მუშათა გაზეთი „მუნდო ობრერო“! იყიდეთ მუშათა გაზეთი...

ერთხელ რუბენმა მუშათა დემონსტრაციის მონაწილეებს დაურიგა გაზეთები, შემდეგ მათ რიგებში ჩადგა და მათთან ერთად მღეროდა „ინტერნაციონალს“.

უეცრად სროლის ხმა გაისმა. რუბენის გვერდით მიმავალი მეშახტე ქვაფენილზე დაეცა...

...რესპუბლიკელების ბევრი ბავშვი ომის დროს ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა. საბჭოთა კავშირი მათთვის მეორე სამშობლოდ იქცა. და როცა ჩვენს ქვეყანას ფაშისტები დაესხნენ თავს, სამშობლოს დამცველთა რიგებში ესპანელი პატრიოტებიც ჩადგნენ. მათ შორის პირველი იყო რუბენ იბარური.

იმ დღეებში დედამისმა რუბენისაგან ასეთი წერილი მიიღო:

„განსაცვიფრებელი ხალხია. მართალი გითხრა, სულის სიღრმემდე შეძრული ვარ გაოცებისაგან. ასეთი ხალხის დამარცხება შეუძლებელია“.

ამ რწმენით იბრძოდა და იმარჯვებდა, მაგრამ გამარჯვების დღეს ვერ მოესწრო. 22 წლისა იყო, როცა სტალინგრადის მისადგომებთან დაეცა გმირთა სიკვდილით.

ხუთჯერ მიიტანეს ფაშისტებმა იერიში მეტყვიამფრქვევეთა იმ ასეულის პოზიციაზე, რომელშიც რუბენ იბარური იბრძოდა, და ხუთჯერვე უკუიქცნენ. ბატალიონის მეთაური დაიღუპა, უფროსმა ლეიტენანტმა იბარურიმ შეცვალა იგი. შუა ბრძოლაში მტრის ტყვიამ ისიც სასიკვდილოდ დაჭრა...

...არტეკში, ზღვის სანაპიროსთან, გრანიტის მემორიალური დაფაა აღმართული. მასზე ამოკვეთილია არტეკელი გმირების სახელები. მათ შორის რუბენ იბარურის სახელიც არის. გმირის და-

ღუპვის დღეს — სამ სექტემბერს — გაიდარის კლდეზე კვლავ გაისმის მისი საყვარელი სიმღერა:

ის მტერს უტევდა გაშმაგებული,
რათა დაეცვა ამ ქვეყნის ჩერო,
და სიკვდილის წინ ასე მღეროდა:
რუსეთო, რუსეთო, რუსეთო ჩემო.

მიტკო პალაუზოვი

მიტკო პალაუზოვი გაბროვოს პარტიზანული რაზმის სული და გული იყო. დასვენების ხანმოკლე საათებში, როცა მებრძოლები იარაღს წმენდდნენ, მიტკო შურით შესცქეროდა ხოლმე პარტიზანებს, სულ იმაზე ოცნებობდა, რომ ავტომატით ხელში მათთან ერთად ებრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ.

— შეიძლება მეც ავაწყო? მინდა ვისწავლო, — სთხოვდა მიტკო თავის მეგობარს მლადენს და ფრთხილად იღებდა ნადავლ „ვალტერს".

—შენთვის ჯერ ადრეა... გაიზრდები და მერე ვნახოთ...—იღიმებოდა მლადენი. — უმჯობესია, ლექსები წაგვიკითხო.

მიტკომ ბევრი ლექსი იცოდა ზეპირად, ყველაზე მეტად კი უყვარდა „სიმღერა წითელ ესკადრონზე". ხმლები მზეზე ლაპლაპებენ, ისმის ვაშას გრიალი, მტერი გარბის, წითელი არმიის კავალერისტებთან ერთად ფეხმარდ ცხენს მიაჭენებს მიტკო, ბულგარელი პარტიზანი.

— ყოჩაღ, მიტკო! კარგად კითხულობ, — აქებდა მლადენი. — ომი რომ დამთავრდება, ალბათ, მსახიობობა არ აგცდება.

შესვენება ბრძოლის დროს ისე ხანმოკლეა, როგორც ზაფხულის ღამე ბალკანეთის მთებში. პარტიზანები სალაშქროდ წასვლას მზის პირველ სხივებს ასწრებენ. მოლაშქრეთა მწყობრში ყველაზე პატარაა მიტკო პალაუზოვი. იგი მამის გვერდით მიაბიჯებს. მწკრივის ბოლოს კი დაჭრილების აღალს დედამისი მიჰყვება.

მთებში უცებ ტყვიამფრქვევი აკაკანდა. პოლიციელები გამოჩნდნენ.

— ბრძოლისათვის მოემზადეთ! — ისმის ბრძანება.

მიტკომ ახლაც მლადენის გვერდით დაიკავა პოზიცია. მლადენი აუჩქარებლად ისროდა კარაბინიდან, მიტკო მეორე კარაბინში ვაზნებს აწყობდა და მეგობარს აწვდიდა. უცებ მლადენმა დაიკვნესა და ხელიდან კარაბინი გაუვარდა: მარცხენა მხარში ტყვია

მოხვედროდა. მიტკომ ორი პოლიციელი დაინახა, ხეებს ეფარებოდნენ და ისე უახლოვდებოდნენ.

— გამომართვი, — მლადენმა მიტკოს „ვალტერი" გაუწოდა: — ზუსტად აიღე მიზანი და ისე ესროლე...

მიტკომ პოლიციელებს ახლოს მოსვლა აცალა და ცეცხლი დაუშინა, ისროდა, სანამ ვაზნები არ გამოელია. ამ ბრძოლის სახსოვრად მიტკოს საჩუქრად დარჩა მეგობრის „ვალტერი"...

ერთხელ რაზმი მთებში უნდა წასულიყო, მძიმე ბრძოლები ელოდათ. მეთაურმა გადაწყვიტა, დაჭრილები პარტიზანთა ჰოსპიტალში გაეგზავნათ. ეს ჰოსპიტალი მთებში ჰქონდათ, ოსენკოვოს ველზე, ერთ მყუდრო მიწურში.

— მიტკო, დაჭრილებს წაჰყვები.

ძალიან უჭირდა რაზმთან დაშორება, მაგრამ ბრძანება ბრძანებაა. რამდენიმე დაჭრილი პარტიზანი, მიტკო და დედამისი, — ასეთი იყო მათი საბრძოლო ჯგუფი. მთელი ზამთარი მიწურში ცხოვრობდნენ, ჭრილობებს იშუშებდნენ და გაზაფხულს ელოდნენ, რომ კვლავ რაზმში დაბრუნებულიყვნენ.

ერთხელ მიტკომ მიწურის მახლობლად ყვავილები შეამჩნია.

— ენძელა! ენძელა აყვავებულა! — ამ შეძახილით შევარდა იგი მიწურში.

მან არ იცოდა, რომ პარტიზანთა ჰოსპიტალი ალყაშემორტყმული იყო. ყველაზე ადრე პოლიციელები მიტკოს დედამ დაინახა, როცა თეთრეულს გასაშრობად ფენდა.

— მიტკო, პოლიციელები! — ამის დაძახებაღა მოასწრო დედამ. პარტიზანებმა ბრძოლა მიიღეს. მათი რაზმი ძალზე მცირე იყო, პოლიციელები კი ყოველი მხრიდან უტევდნენ. ერთი ხელყუმბარა ზედ მიწურთან გასკდა, საიდანაც მიტკო ისროდა.

ირგვლივ კი ენძელები ყვაოდნენ, გაზაფხულის მაუწყებელი თეთრი ენძელები...

ლეპა რადიჩი

ლეპა სოფლის ქუჩაში მიაბიჯებდა და შორს იყურებოდა. იქ ეგულებოდა კოზარა — საუკუნოვანი ნაძვებით დაფარული მიუვალი მთები, მისი მეგობრები — პარტიზანები — ალბათ, ბრძოლას განაგრძობდნენ. ის კი... ამომავალი მზის სხივებზე ბადრაგის ხიშტები ელავდა, — ლეპა დასასჯელად მიჰყავდათ. ყოველი ნაბიჯი თითქოს ცხოვრების განვლილი წელი იყო, მას კი არც ისე გრძელი გზა ჰქონდა გავლილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღეს გრძელდება პარტიზანთა მეწინავე რაზმებისა და ჰიტლერელთა შეტაკება. ფაშისტების თვითმფრინავები ბომბებს უშენენ პარტიზანთა ბაზებს, აფეთქებათა ხმა ხეობას აზანზარებს. თითქოს მთებიც კვნესიან, მაგრამ ადამიანები მტკიცედ დგანან.

ასეა საღამომდე, მთებში კი ადრე ღამდება ხოლმე. ირგვლივ სიჩუმე დაისადგურებს, მხოლოდ პარტიზანთა კოცონის ტკაცანი თუ დაარღვევს ამ მოჩვენებითს მყუდროებას.

ცეცხლის პირას ზის ლეპა რადიჩიც. მთელ ღამეს დაჭრილებს ჭრილობას უხვევს, უვლის, წიწვების სასთუმალს უსწორებს. ო, როგორ უნდა თვითონაც რბილ წიწვებზე დაწვეს და სიზმარი ნახოს, აი, ის სიზმარი, ბავშვობაში რომ ნახულობდა ხოლმე. რა უცებ დამთავრდა ბავშვობა! განა სულ ახლახან არ იყო, მეგობარ გოგონებთან ერთად რომ დადიოდა სკოლაში და მთებშიც დარბოდნენ ენძელების დასაკრეფად? ყველაზე ლამაზ თაიგულს დედას მიართმევდა ხოლმე. რა უეცრად შეიცვალა ყველაფერი! ომი დაიწყო და თხუთმეტი წლის გოგონამ მამასა და ძმებთან ერთად მთებს მიაშურა, პარტიზანებთან წავიდა.

ლეპას ისევ მოულოდნელად გამოელვიძა, როგორც ჩაეძინა. ხმელი ფიჩხი ისევ ტკაცუნობდა. ისევ ისე ციმციმებდნენ ვარსკვლავები. ალბათ, ერთი საათიც არ ეძინა, თითქოს არაფერი შეცვლილა, მაგრამ პარტიზანების დაძაბულმა სახეებმა მიახვედრა, რომ რაღაც მოხდა.

— გერმანელებმა ჩვენი თავდაცვა გაარღვიეს, საბრძოლო განგაშს ვაცხადებ. ყველა, ვისაც სიარული და თოფის დაჭერა შეუძლია, ათ წუთში იქითკენ უნდა დაიძრას. სადაც მეწინავე რაზმებია განლაგებული, — ყველას გასაგონად ლაპარაკობდა მეთაური.

— ქალები, ბავშვები და მძიმედ დაჭრილები ბოსანსკუ კრუპაში გადაინაცვლებენ.

ამ სიტყვებით ლეპასთან მივიდა, მამაშვილურად გადაეხვია და უთხრა:

— მათ ხელმძღვანელად შენ გნიშნავთ, ლეპა. გზას ახლავე უნდა დაადგეთ.

შუაღამე იყო, გზას რომ დაადგნენ. წინ ლეპა მიდიოდა. მალე მზეც ამოვიდა. სოფლამდე რამდენიმე კილომეტრიღა რჩებოდა. უცებ სიჩუმე ავტომატის ჯერმა დაარღვია. ლეპა დაჭრილებთან ერთად კლდეს ამოეფარა. გარკვევით ხედავდა, როგორ ელავდა ნაძვის ხეებს შორის ჰიტლერელთა ჩაჩქანები.

— ცეცხლი! — გაისმა ლეპას ბრძანება.

რამდენიმე საათს იგერიებდნენ მტერს, მაგრამ ძალები უთანაბრო იყო, გარემოცვის რკალი სულ ვიწროვდებოდა და ვიწროვდებოდა.

მტრებმა ლეპა ხელთ იგდეს და აწამეს. უნდოდათ გაეგოთ, რამდენი პარტიზანი იყო რაზმში, რამდენი იარაღი ჰქონდათ, რა გზით დაიხიეს უკან, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიაღწიეს...

სანამ უკანასკნელ ნაბიჯს გადადგამდა ლეპა, ამაყად ასწია თავი და სახეში ესროლა ჯალათებს:

— იუგოსლავია თავისუფალი იქნება! სიკვდილი ფაშისტებს!

ქარმა აიტაცა გოგონას სიტყვები და მთებისაკენ წაიღო. იქ კი, კოზარაზე, კვლავ გრძელდებოდა ცხარე ბრძოლა. პარტიზანები ახლა მისი სახელით იბრძოდნენ, იბრძოდნენ, რომ გამარჯვებულ მთებს სამუდამოდ შეენახათ პიონერი გოგონას ხსოვნა...

ელენი პაპაგეორგიუ

საბერძნეთს მზის, მთებისა და აყვავებული ბარის ქვეყანას ეძახიან. ამ ქვეყნის დედაქალაქი კი, ათენი, მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც უძველესი ქალაქი-მუზეუმი. ელენი პაპაგეორგიუ ამ ზღაპრულ ქალაქში დაიბადა. მეგობარ გოგონებთან ერთად დადიოდა ზღვაზე, მთაში გარბოდა ზეთისხილის დასაკრეფად, უყვარდა დიდებული აკროპოლის ცქერა.

1941 წლის გაზაფხულზე ათენის ქუჩები გერმანულმა ჩექმებმა გადათელეს. ძველი აკროპოლის გვერდით სვასტიკიანი დროშა გამოჩნდა. ელენი პაპაგეორგიუ წინააღმდეგობის მოძრაობის ახალგაზრდული ორგანიზაციის რიგებში შევიდა.

მძიმეა იატაკქვეშელის ცხოვრება, ყოველ ნაბიჯზე ჯაშუშები უდარაჯებდნენ, ყოველღამ ალყაში მოქცევის საშიშროება ელის. ელენი სახიფათო დავალებებს ასრულებდა: აფიშებს აკრავდა ქალაქის ქუჩებში, მალულად გადაჰქონდა იარაღი, იატაკქვეშელებს ერთმანეთთან კავშირის დამყარებაში შველოდა. არავის აზრად არ მოსდიოდა, რომ ეს მუდამ მოღიმარი და მხიარული გოგონა ხილის კალათით ავტომატის ვაზნებს დაატარებდა.

1944 წელს საბჭოთა არმიამ ფაშისტებს ბალკანეთის ნახევარკუნძულზედაც შეუტია. განთავისუფლების დღე ახლოვდებოდა. 25 ივნისს ათენელები დემონსტრაციაზე გავიდნენ. მზიანი დღე იყო, ცხელოდა, მაგრამ სიცხეს თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ.

— სირცხვილი მოღალატეებს და ოკუპანტებს!

— ძირს ფაშიზმი!

— გაუმარჯოს თავისუფალ საბერძნეთს!

ელენი დემონსტრანტთა რიგებში მიაბიჯებდა. ერთ-ერთ ქუჩაზე მათ ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს. ათენელები შეკრთნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა. ტყვიების შესახვედრად ელენი გამოვარდა.

—მკვლელებო! ლაჩრებო! — ამის დაძახებაღა მოასწრო და სიცხისაგან გავარვარებულ ქვაფენილზე დაეცა...

ელენი პაპაგეორგიუს დაკრძალვას ძველი ქალაქის ათასობით მცხოვრები დაესწრო. ათენელები უხმოდ მიაცილებდნენ თავის გმირ გოგონას უკანასკნელ გზაზე.

ფრანკო ჩეზანა

მრისხანე ორმოცდაერთი, შემოდგომა. ფაშისტური ტანკები მოსკოვის მახლობელ ველებსა და ჭალებს თელავდნენ. გერმანელი ოფიცრები უკვე წითელ მოედანზე გამართულ პარადზე ოცნებობდნენ...

ამ დროს კი რომის ქუჩებში ანტიფაშისტურ პროკლამაციებს აკრავდა ვიღაცა. იტალიელი პარტიზანები მტერს არ ასვენებდნენ. ერთ რაზმში პატარა მზვერავი ჰყავდათ, სახელად ფრანკო. მხიარული და გულადი ბიჭი იყო, წკრიალა ხმა ჰქონდა, ძალიან უყვარდა სიმღერა. ყოველთვის, როცა შესვენებისას ტყეში გაჩაღებულ კოცონს შემოუსხდებოდნენ, მებრძოლები სთხოვდნენ, ემღერა რამე. და ფრანკო თავის ყველაზე საყვარელ სიმღერას შემოსძახებდა ხოლმე. ეს იყო სიმღერა მშვიდ ზღვაზე, ზღვაში ჩაკარგულ მზეზე, ხმაურიან ტალღებზე. მერე წითელ დროშაზედაც იმღერებდა, იტალიელი პარტიზანების დროშაზე. პარტიზანებს სიმკაცრე აესახებოდათ სახეზე და ყველანი ბანს აძლევდნენ ფრანკო ჩეზანას.

ფრანკო ცამეტი წლისა იყო, მაგრამ ჩინებულად ისროდა, დაზვერვაშიც არაერთხელ ყოფილა. მეთაურმა იმ დღესაც დაზვერვაზე გაგზავნა.

— ცნობა მივიღეთ, გერმანელები დამსჯელ ექსპედიციას ამზადებენო. აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, საით მიდიან, რომელ გზაზე გაივლიან, რამდენი კაცია რაზმში.

— გასაგებია!

— გუშაგებს როგორ გაუძვრები?

— გავძვრები როგორმე, პირველად ხომ არ მაგზავნით...

ყველაფერი კარგად აეწყო, — გუშაგებსაც დაუძვრა, გასაგებიც გაიგო და რაზმშიც დროზე დაბრუნდა. პარტიზანები მტერს თავზე მოულოდნელად წაადგნენ და გაანადგურეს. ყველაფერი კარგად აეწყო, მხოლოდ... ამ ბრძოლაში მტრის ტყვიამ პატარა მზვერავიც იმსხვერპლა...

ომმა რა ხანია გადაიქუხა, რომის ხმაურიანი ქუჩები და პირქუში ალპები კი დღემდე ინახავენ წინააღმდეგობის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას. მათ შორის იყო ისიც — ცამეტი წლის ფრანკო ჩეზანა. სიკვდილის შემდეგ იგი ბრინჯაოს მედლით დააჯილდოეს.

ჟოზე აუგუსტო სილვა

ეს ამბავი ლისაბონში მოხდა, პორტუგალიის დედაქალაქში. გვიანი საღამო იყო. ქალაქის ცენტრში თვალისმოჭრელად ციმციმებდა ათასფერი რეკლამები, ქალაქის განაპირას, მუშათა უბანში, შუქი ჩაექროთ. უცებ ჟოზეს ბინის კარზე ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა. დედამ და შვილმა ერთმანეთს გადახედეს.

— ვინ არის? — იკითხა დედამ.

— ფოსტალიონი ვარ, დეპეშაა, — უპასუხეს გარედან.

კარზე ურდულის გადაწევა ძლივს მოასწრეს, რომ ოთახში პოლიციელები შემოცვივდნენ.

— შენა ხარ ჟოზე აუგუსტო სილვა, პედრო ნუნესის ლიცეუმის მოწაფე? — ჰკითხა ჟანდარმმა.

— მე ვარ, — უპასუხა ჟოზემ.

— ჩაიცვი, დაპატიმრებული ხარ!

— უფლება არა გაქვთ, — გაისმა დედის ხმა, — დაპატიმრების ორდერი გვაჩვენეთ...

— რა ორდერი მოგინდათ! — იყვირა ჟანდარმმა. — თქვენი შვილი სახელმწიფო დამნაშავეა, ლიცეუმში მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა. პროკლამაციების გავრცელებაშიც მისი ხელი ურევია. აბა, ჩაიცვი!

ბიჭს ხელზე ბორკილი დაადეს და ოთახიდან გაიყვანეს.

თხუთმეტი წლის ჟოზე ასე მოხვდა მეორედ საპატიმროში. პირველად კი... იგი საპატიმროში დაიბადა. დედამისი კომუნისტი

იყო და სწორედ მაშინ დააპატიმრეს, როცა ბავშვს ელოდა. პატა
რა ჟოზემ მზე პირველად საპატიმროს ფანჯრიდან დაინახა. მა
შემდეგ თხუთმეტი წელი გავიდა და, აი, იგი კვლავ ციხეშია,
კვლავ ამ ვიწრო სარკმლიდან გაჰყურებს ზეცას.

დღეები გადის. მაგრამ რატომღაც დაკითხვაზე არ იძახებენ. მაშინ ჟოზემ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ კანონით აკრძალული იყო არასრულწლოვანი ბავშვის გასამართლება და სალაზარის მოსამართლეები მოუთმენლად ელოდნენ, როდის გახდებოდა თექვსმეტი წლისა. ჟოზემ ისიც არ იცოდა, რომ მისმა დაპატიმრებამ მთელი მსოფლიო აალაპარაკა. პარიზში ჟოზეს დაცვის საერთაშორისო კომიტეტი შეიქმნა. სხვადასხვა ქვეყნებიდან პროტესტის უამრავი წერილი მოდიოდა. იწერებოდნენ ბულგარელი პიონერები, ინგლისელი მეშახტეები, მარსელელი დოკერები. „გულისტკივილი და მრისხანება მოგვგვარა იმის გაგებამ, რომ სალაზარის საპატიმროში ეწამება ჩვენი თანატოლი ჟოზე აუგუსტო სილვა. ჟოზეს ადგილი მერხთანაა, და არა საპატიმროში!“ — მოითხოვდნენ მოსკოველი პიონერები.

რა უნდა ექნათ სალაზარის მსაჯულებს, მთელი მსოფლიო პროტესტს აცხადებდა. იძულებულნი გახდნენ, ჟოზე აუგუსტო სილვა გაეთავისუფლებინათ...

დანიელ ფერი

დანიელი დილაადრიან სენის სანაპიროსკენ მიიჩქაროდა. უყვარდა ეს დრო, როცა სენ-დენის სახურავებს მზის პირველი სხივები ეფინებოდა. სენ-დენი პარიზის ჩრდილოეთ გარეუბანია. მზესთან ერთად იღვიძებდა მუშათა რაიონიც. ლურჯბერეტიანი მუშები საავტომობილო ქარხნისაკენ მიდიოდნენ. დანიელი მათ შორის ბევრს იცნობდა.

— გამარჯობა, დანიელ! ახალი რა არის? — ეკითხებოდნენ მუშები და „იუმანიტეს“ ახალ ნომერს შლიდნენ. დანიელს კომუნისტების გაზეთი მოჰქონდა მათთან, ეს იყო მისი კომკავშირული დავალება.

— ოასელები კვლავ თავხედობენ, ალჟირში ომის გაგრძელება სურთ,—ხმადაბლა ამბობდა დანიელი.—არ დაგავიწყდეთ, დღეს დემონსტრაციაა.

და მიწყნარებულ სენის ნაპირას კვლავ გაისმოდა დანიელის ხმა:

— იყიდეთ „იუმანიტეს“ ახალი ნომერი! სიმართლე ალჟირის ომის შესახებ!

მუშათა პარიზი ბობოქრობდა, მოითხოვდა ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ დაწყებული ომის შეწყვეტას. მთელი ხალხის სურვილიც ასეთი იყო. მხოლოდ ფაშისტური ორგანიზაციის ოასის წევრები მოითხოვდნენ ომის გაგრძელებას.

1962 წლის 8 თებერვალს პარიზის ქუჩები წითელი დროშებით, ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით მოიფინა. „ძირს თასი!“.. „მშვიდობა ალჟირს!“.. „არ გვინდა ომი!“.: დემონსტრანტთა პირველ რიგებში დანიელი მიაბიჯებდა. მის გვერდით ძველი ნაცნობები მიდიოდნენ — ავტოქარხნის მუშები, მელითონეები, ელექტრიკოსები...

გასროლის ხმა არც გაუგონია, ფაშისტური ტყვიით განგმირული ისე დაეცა ქვაფენილზე.

გაზაფხულზე პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, კომუნარების კედელთან, დაისის მზისფერი ტიტები ყვავიან. აქ, პარიზის კომუნის დამცველთა გვერდით, დაკრძალულია გავროშის თანატოლი ფრანგი ბიჭუნა დანიელ ფერი. გრანიტის ფილაზე მოკლე წარწერაა: „საფრანგეთი არასდროს არ დაივიწყებს შენს სახელს!“.

ფადილ ჯამალი

მწვავე ტკივილისაგან გამოეღვიძა. ტკივილმა მთელ სხეულში დაუარა. თვალი გაახილა. საპატიმროს სარდაფის კართან მკრთალად ციმციმებდა პატარა ნათურა. იატაკი სველი იყო.

წამოწევა სცადა, მაგრამ ტკივილისაგან კინაღამ დაიყვირა. იატაკზე დამსხვრეული მინა ეყარა, რამდენიმე ნატეხი ხელისგულში შეერჭო. უცებ რკინის კარები ხრჭიალით გაიღო, საპატიმროს მცველი გამოჩნდა.

„ისევ დაკითხვაზე“, — ამის გაფიქრება მოასწრო, მცველმა ხელი სტაცა და წაათრია.

— გვიპასუხებ თუ არა? — აღარც კი ახსოვდა ფადილს, მერამდენედ ეკითხებოდნენ ერთსა და იმავეს. ეკითხებოდნენ, ის კი ხმას არ იღებდა.

— კომუნისტების მისამართი, შეხვედრის ადგილები! — იმეორებდა მისი სიმტკიცით გაცოფებული გამომძიებელი. გუშინ დაკითხვა ჯერ დარიგებებით დაიწყო, მერე ფულსაც დაჰპირდა, განთავისუფლებასაც, მაგრამ არაფერმა გაჭრა. მერე ჯალათებმა მათ-

რახებით სცემეს, ფეხებით ჭერზე დაჰკიდეს. ფადილს გული წაუვიდა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

გამომძიებელმა ამჯერადაც ვერაფერს მიაღწია.

— გაათრიეთ! რაკი ენა ჩაუყლაპავს, საპატიმროში ამოსძვრეს სული...

მცველმა ისევ სარდაფში წაათრია. კარი ჩაიკეტა, საკანში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ წყლის წვეთების ხმა ისმოდა გარკვევით, ჭერიდან რომ ეცემოდა ქვის იატაკს. თითქოს ამ ხმას ბანს აძლევსო, ისიც გულში მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა: „დუმილი, დუმილი, დუმილი“...

1963 წლის თებერვალში ერაყში ხელისუფლებას რეაქციონერები ჩაუდგნენ სათავეში და კომუნისტების დევნა დაიწყეს. ფადილის მშობლებიც კომუნისტები იყვნენ. ერთ დღეს დედამისი, ძმა და ორი წლის დაიკოც კი დააპატიმრეს. ფადილი შინ არ იყო, შემთხვევით გადარჩა.

რა უნდა ექნა? ზოგიერთი ბაღდადელი კომუნისტის ბინის მისამართი იცოდა და მათი გაფრთხილება დაიწყო, საფრთხე გელითო. მხოლოდ რამდენიმე ოჯახის გაფრთხილება მოასწრო, ერთ-ერთ ბინაში ისიც დააპატიმრეს.

დააპატიმრეს, მაგრამ ვერ გამოტეხეს. იგი ციხის ბნელ საკანში გარდაიცვალა 1963 წელს 8 თებერვალს. ისიც, როგორიც გავროში, და როგორიც დანიელ ფერი, თხუთმეტი წლისა იყო. მხოლოდ თხუთმეტი წლისა...

ფან ვან ბინგი

ჯუნგლები... ჯუნგლები... ჯუნგლები... ათობით კილომეტრზე გაჭიმულა გაუვალი ტყე... აქ გადადგმული ყოველი ნაბიჯი შეიძლება უკანასკნელი იყოს. ოდნავ შესამჩნევი ბილიკი მიიკლაკნება მთებში. შემდეგ ისევ დაბლობში იკარგება. ბილიკზე ბიჭუნა მიაბიჯებს. მას მუქი მწვანე ფერის სამხედრო ქუდი ახურავს, სამხედრო გიმნასტურა აცვია. ნაბიჯზე ეტყობა, რომ ფრთხილობს, დროდადრო ჩერდება ხოლმე, სმენადაა ქცეული. სიფრთხილეა საჭირო, მალე ამერიკელთა საგუშაგოც გამოჩნდება. პატარა მზვერავი ჩერდება და უსტვენს. ბილიკზე მებრძოლთა მთელი ჯგუფი რომ გამოჩნდება, ბიჭუნა ისევ ჯუნგლებში გაუჩინარდება.

ეს ფან ვან ბინგია, სამხრეთ ვიეტნამის პარტიზანთა ნორჩი მზვერავი.

მისი პირველი სათამაშო ავტომატის ვაზნა იყო, პირველი სიმღერა — გულად პარტიზანთა სიმღერა, პირველი პიონერული დავალება — დაზვერვა.

ფან ვან ბინგი სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთ განთავისუფლებულ რაიონში ცხოვრობდა. თხუთმეტი წლისა იყო, სკოლაში დადიოდა, მაგრამ ხშირად წიგნები რამდენიმე დღეს ხელუხლებლად ეწყო. სად იკარგებოდა ფან ვან ბინგი? პარტიზანების ნორჩი მზვერავი მხოლოდ მისთვის ცნობილი ბილიკებით მიიკვლევდა გზას კუანგ ჩის საბრძოლო ჯგუფისაკენ, რომ პარტიზანებისთვის მნიშვნელოვანი ცნობები გადაეცა.

კუანგ ჩის პარტიზანები მოულოდნელად ბევრჯერ დასხმიან თავს მტერს. ხუთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რამდენიმე ხიდი ააფეთქეს. ერთი ასეთი თავდასხმის შემდეგ მეთაური პარტიზანებს მიუბრუნდა:

— დღეს ყველამ თავი გამოიჩინა, მაგრამ განსაკუთრებით პიონერი ფან ვან ბინგი დაგვეხმარა გამარჯვებაში. მან დროზე მოგვაწოდა მნიშვნელოვანი ცნობები. ყოჩაღ!

ამ სიტყვებით მეთაური ფან ვან ბინგს გადაეხვია.

ჯუნგლები... ჯუნგლები... ჯუნგლები... თავი და ბოლო არ უჩანს გაუვალ ტყეს. აქ ყოველ ნაბიჯზე საფრთხე ემუქრება ადამიანს. ბევრი რამ ასსოვთ ამ გაუვალ ტყეებს, ლაპარაკი რომ შეეძლოთ, ისინი ყველას უამბობენ, როგორ იბრძოდნენ პარტიზანები, როგორ გაიმარჯვა ვიეტნამელმა ხალხმა, რა მამაცურად უტევდა მტერს პიონერი ფან ვან ბინგი. ექვსჯერ დაიჭრა ნორჩი მზვერავი და ექვსჯერვე მწყობრში დაბრუნდა, რომ კვლავ დახმარებოდა პარტიზანებს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დროშა

მუსიკა ვ. კურტიდისა
ლექსი ლ. მეგრელიძისა

ჩვენი დროშა ალისფერი
მზის სხივებით ნაფერია,
ვარდ-ყვავილით პირმოხატულს,
ზედ მშვიდობა აწერია.

მისამღერი:

დელი ოდელა დელია,
დელი ოდელი ოდელა, ჰე! ჰე! ჰე!
ვარდ ყვავილით პირმოხატულს
ზედ მშვიდობა აწერია.

ეს თავთავი ლაღად შლილი
ნაყოფია ძმური შრომის,
ეს ჩაქუჩი, ეს ნამგალი
მეგობრობა ხალხთა შორის.

მისამღერი:

ეს ჩაქუჩი, ეს ნამგალი
მეგობრობა ხალხთა შორის.

მიტომ მიყვარს მე ეს დროშა,
მიტომ მიყვარს ასე მტკიცედ,
რომ სამშობლოს ერთგულება,
ამ დროშაზე დავიფიცეთ.

შენ და შენი რაზმი

შენ უკვე ერთიანი პიონერული კოლექტივის წევრი ხარ. ამ კოლექტივის სახელია რაზმი. ახლა ყველგან და ყოველ საქმეში ანგარიში უნდა გაუწიო იმას, რომ კოლექტივის წევრი ხარ, შენი საქციელისათვის პასუხს აგებ თანარაზმელების წინაშე. სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან კოლექტივს ეხმარები, როცა მის დავალებებს ასრულებ, კოლექტივი კი შენ გეხმარება, როცა შენს კეთილდღეობაზე ზრუნავს. რაში გამოიხატება ეს დახმარება? იმაში, რომ მეგობრებთან ერთად მონაწილეობ მრავალფეროვან პიონერულ საქმიანობაში, რაც ხელს უწყობს შენს ზრდასა და განვითარებას, შენი ინტერესების ჩამოყალიბებას. ესეც რომ არ იყოს, სწორედ რაზმი დაგიცავს, თუ ვინმე უსამართლოდ მოგექცევა. რაიმე კარგ წამოწყებაში მხარდაჭერა თუ დაგჭირდა, დარწმუნებული იყავი, რომ რაზმი აქაც შენ გვერდით იქნება.

კოლექტივი ლათინური სიტყვაა, იგი ისეთ ადამიანთა ჯგუფს აღნიშნავს, საერთო საქმიანობით, საერთო მიზნებითა და ინტერესებით რომ არიან გაერთიანებული. თქვენი რაზმიც სწორედ ასეთი უნდა იყოს—საერთო მიზნებითა და საქმით შეკავშირებული. შენ, როგორც კოლექტივის წევრმა, ანგარიში უნდა გაუწიო თანარაზმელების აზრს. მაგრამ ხომ შეიძლება, ამხანაგები ცდებოდნენ, შენ კი მართალი იყო? ზოგიერთი ასეთ დროს თავისი სიმართლის დამტკიცებას ხმის ამაღლებით ცდილობს, ცხარობს, ამხანაგებს აბუჩადაც კი იგდებს, აქაოდა, თქვენზე მეტი ვიცი, ჩემი რატომ არა გჯერათო. ასეთი გზა სიმართლის დამტკიცების ყველაზე ცუდი გზაა. მაგრამ არც ის არის კარგი, ზოგიერთი ადვილად რომ დათანხმდება ამხანაგებს, თუმცა შინაგანად მათ აზრს არ იზიარებს. თუ მტკიცედ ხარ დარწმუნებული, რომ ამხანაგები ცდებიან, მშვიდად და მოთმინებით უნდა დაუმტკიცო მათ შენი სიმართლე, დაარწმუნო, რომ მათი გადაწყვეტილება არასწორია. ეს უბრალო სურვილი კი არ არის, ამის გაკეთება აუცილებელია, რადგან მთელი რაზმის საქმიანობა სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორია შენი ამხანაგების მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება.

შენ უკვე იცი, რომ რაზმის საქმიანობას რაზმის საბჭო და პიონერხელმძღვანელი უძღვებიან. მათ მასწავლებლებიც ეხმარებიან. მაგრამ ვერც პიონერხელმძღვანელი და ვერც მასწავლებელი მუდამ ვერ იქნება რაზმთან. ეს არც არის საჭირო, რაზმის ბატონ-პატრონები ხომ თვითონ პიონერები არიან. სადაც ბევრითი და საზრიანი ხალხია, რაზმი საინტერესოდ ცხოვრობს, სასაყვე-

დროც არაფერია. იქ კი, სადაც მხოლოდ უფროსების დახმარების იმედი აქვთ, ბევრი რამ მოუგვარებელია. ასეთი რაზმის პიონერებისაგან ხშირად გაიგონებთ საყვედურს, რა ხანია ექსკურსიაზე არ ვყოფილვართო, ჩვენი შეკრების მომზადებაზე არავინ ზრუნავს, სხვა რაზმები უკეთ მუშაობენო. ის კი ავიწყდებათ, რომ ექსკურსიაზედაც თვითონ უნდა იფიქრონ და შეკრებაზედაც, უფროსები კი ყოველ მათ წამოწყებას სიამოვნებით დაუჭერენ მხარს და დაეხმარებიან.

პიონერული რაზმი ერთიანი კოლექტივია. კოლექტივის თითოეული წევრი ერთნაირად აგებს პასუხს იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს რაზმი, როგორ იქცევიან პიონერები, როგორ ასრულებენ რაზმეულის დროშასთან დადებულ ფიცს. აი, რამდენიმე ასეთი პიონერული კოლექტივისაგან შედგება რაზმეული, ყოველი რაზმეული კი პიონერთა რაიონულ ან საქალაქო ორგანიზაციაშია გაერთიანებული. თავის მხრივ რაიონული და საქალაქო ორგანიზაციები საოლქო ან რესპუბლიკურ ორგანიზაციაში შედიან, მათ მუშაობას პიონერთა რაიონული და საქალაქო საბჭოები ხელმძღვანელობენ. ასეთი საბჭო კომკავშირის რაიკომთან ან ქალაქკომთან იქმნება.

ჩვენი ქვეყნის პიონერული ორგანიზაციის საქმიანობასაც საბჭო წარმართავს ლენინური კომკავშირის ხელმძღვანელობით. მისი სრული სახელწოდება ასეთია: ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭო. მისამართი: მოსკოვი, ახალი მოედანი, 6/8, ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭო.

რაზმის სახელწოდება

პიონერებს შეუძლიათ თხოვნით მიმართონ პიონერთა რაიონულ ან საქალაქო საბჭოს, რომ მათ რაზმს მიაკუთვნონ ძველი რევოლუციონერის, საბჭოთა კავშირის გმირის, სოციალისტური შრომის გმირის ან ისეთი ცნობილი ადამიანის სახელი, რომლის ცხოვრებაც სამაგალითო და მისაბაძია ყოველი ნორჩი ლენინელისათვის. საქვეყნოდ ცნობილი ადამიანის სახელის ტარება საპატიოა ყველა კოლექტივისათვის. ამიტომ ასეთ მოთხოვნას უნდა ჰქონდეს თავისი საფუძველი — ბეჯითი სწავლა და სასახელო პიონერული საქმეები.

რაზმის საბჭო

რაზმში 30 პიონერია, სხვადასხვა ხასიათისა და მისწრაფების ადამიანი. ზოგს ავიამოდელიზმი იტაცებს, ზოგი მუსიკითაა გატაცებული, ზოგსაც სპორტულ სექციებში მეცადინეობა ურჩევნია. კარგია ეს თუ ცუდი? რა თქმა უნდა, კარგია.

სწორედ ისეთი კოლექტივის ცხოვრებაა საინტერესო და მრავალფეროვანი, სადაც სხვადასხვა გატაცების ადამიანები ცხოვრობენ, მხოლოდ საქმე იმგვარად უნდა აიწყოს, რომ ყველას თავისი წვლილი შეჰქონდეს საერთო მუშაობაში. აი, ისე, როგორც ზოგიერთ რაზმში აკეთებენ. ნორჩი სპორტსმენები სპორტულ შეჯიბრებებს ატარებენ, მუსიკოსები მუსიკალური დღესასწაულებისათვის ემზადებიან, წითელი კვალისმაძიებლები ახალ მასალებს აგროვებენ სასკოლო მუზეუმისათვის. ერთი სიტყვით, ყველა პიონერს უნდა გამოეძებნოს საინტერესო საქმე. ყველა სანიმუშოდ უნდა ასრულებდეს რაზმის საბჭოს დავალებებს.

რაზმის საბჭო აქ იმიტომ ვახსენეთ, რომ სწორედ მან უნდა იფიქროს იმაზე, როგორ გაანაწილოს დავალებები რაზმის წევრებს შორის, საერთო საქმის წარმატებისათვის როგორ გამოიყენოს თითოეული პიონერის ცოდნა და გატაცება. რაზმის საბჭო პიონერული საქმეების საბრძოლო შტაბია, სადაც რაზმის ცხოვრების ყველაზე მთავარი და საჭირბოროტო საკითხები წყდება. საბჭოს ყოველთვის ბევრი საქმე აქვს: ზოგი რგოლის პიონერები რატომღაც კარგად ვერ ემზადებიან რაზმის შეკრებისათვის, ვიღაც ავადმყოფობის გამო ფიზიკაში ჩამორჩა, უნდა დაეხმარონ, დროზე უნდა გამოვიდეს კედლის გაზეთის მორიგი ნომერი. ახლოვდება ყვავილების სარაზმეულო დღესასწაული, ვიღაც უმიზეზოდ აცდენს გაკვეთილებს, ზოგი წესრიგს და სისუფთავეს არ იცავს საკლასო ოთახში, მერხი მზესუმზირას ჩენჩოთი გამოუვსია... საბჭომ ხომ ყველაფერზე უნდა იფიქროს: იმაზედაც, რომ ყველა პიონერი იცავდეს საზეიმო დაპირებას, და იმაზედაც, რომ საზაფხულო არდადეგებზე ყველას ჰქონდეს მისთვის შესაფერისი დავალება. პიონერები ამიტომაც ირჩევენ მას რაზმის შეკრებაზე, ამიტომაც ანდობენ ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობას.

ვის ირჩევენ რაზმის საბჭოში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თითქოს ადვილია: ვის ირჩევენ და, ყველაზე საქმიან, ყველაზე ბეჯით, ყველაზე საზრიან პიონერებს. მაგრამ თუ იცი, როგორია ამ საზრიანობის საზომი, როგორ უნდა გაერკვე ადამიანებში? აი, შენ გვერდით მერხზე ზის

გოგონა, ფრიადოსანია, თავაზიანი, საქმიანიც ჩანს, მართლაც, მუყაითი მოსწავლეა, თითით საჩვენებელი. მასწავლებლები ასეც ამბობენ, თითით საჩვენებელი მოსწავლეაო. ყველაფერი ეს საკმარისია იმისათვის, რომ ასეთი პიონერი რაზმის საბჭოში ავირჩიოთ? ნუ ვიჩქარებთ. აბა, გაიხსენეთ, როგორ ასრულებს იგი პიონერულ დავალებებს? გოგონა ამბობს, რომ თავისუფალი დრო არა აქვს, ხან უცხო ენაში მეცადინეობს კერძო მასწავლებელთან, ხან მუსიკაზე დადის, ამიტომ რაზმის დავალების შესასრულებლად დრო არ რჩება. ესეც თქვენი თითით საჩვენებელი მოსწავლე! არა, ასეთი პიონერი რაზმს ვერ გაუძღვება, ის თავის ხუთიანებზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე კოლექტივის საქმეებზე.

აი, კიდევ ერთი გოგონა. ისიც კარგად სწავლობს, მუსიკაზედაც დადის, მაგრამ ამხანაგებსაც არ ივიწყებს. ის კი არა, მუსიკის კვირეულიც კი ჩაატარა რაზმში, ამხანაგები მუსიკალურ სკოლაშიც მიიწვია. სწორედ ასეთი პიონერები სჭირდება რაზმს. რაზმის საბჭო მხოლოდ ფრიადოსანთა და კარგოსანთა საპატიო დაფა კი არ არის, ეს რაზმის საქმეების წარმმართველი ორგანოა. მის შემადგენლობაში ისეთი პიონერები უნდა ავირჩიოთ, ვისიც ყველაზე მეტად სჯერათ რაზმში, ვინც კოლექტივს არ უღალატებს, ეცდება კარგად იმუშაოს, ვისაც სიძნელეებისა არ ეშინია, შეუძლია კარგი წამოწყებით ამხანაგებიც აიყოლიოს. რა თქმა უნდა, შენს რაზმშიც იქნებიან ასეთი საქმიანი და საზრიანი პიონერები.

საბჭოს შემადგენლობა

რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს და წევრებს რაზმის შეკრებაზე ირჩევენ სასწავლო წლის დასაწყისში. პიონერები ჯერ გასულ წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიშს ისმენენ, მერე იმათ გვარებს ასახელებენ, ვისი არჩევაც უნდათ საბჭოს ახალ შემადგენლობაში. შემდეგ კენჭს უყრიან. ვისაც უმრავლესობა მხარს დაუჭერს, არჩეულადაც ის ითვლება. საერთოდ, საბჭოში 5 ან 7 პიონერს ირჩევენ. 9 კაცის არჩევაც შეიძლება, თუ რაზმში ორმოცზე მეტი პიონერია. საბჭოს ყოველი წევრი მუშაობის ერთ უბანს ხელმძღვანელობს. საბჭოს შემადგენლობაში შედის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, მედროშე, რაზმის გაზეთის რედაქტორი, ოქტომბრელთა ვარსკვლავების მეგობართა საბჭოს თავმჯდომარე, პიონერული შრომითი საქმეების საგუშაგოს უფროსი, საყოველთაო სწავლების საგუშაგოს და პიონერული მოქმედების ზონის

რგოლის ხელმძღვანელი ან რაზ-
მის საბჭოს წევრი.

რაზმის საბჭოს თავმჯდომარე
ან რაზმეულის საბჭოს წევრი.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდო-
მარე.

პიონერთა რაიონული ან საქა-
ლაქო საბჭოს თავმჯდომარე.

ხელმძღვანელი, სისუფთავისა და სილამაზის საგუშაგოს უფროსი, „ცისკარის“ შტაბის უფროსი და ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზატორი, რაზმის ხელმძღვანელი. შეიძლება, რაზმის საბჭოს შემადგენლობაში რგოლის ხელმძღვანელებიც შეიყვანონ. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რას გადაწყვეტს რაზმის შეკრება.

პიონერული დავალება

შენ მიიღე დავალება შენი ორგანიზაციისაგან. სულ ერთია, ვინ მოგცემს დავალებას — რგოლის ხელმძღვანელი, რაზმის ან რაზმეულის საბჭო, რაზმის შეკრება თუ პიონერთა რაიონული საბჭო. სულ ერთია ისიც, თუ როგორი იქნება ეს დავალება, დიდი თუ მცირე. მთავარია, რომ შენ მიიღე პიონერული დავალება, ეს დიდი პატივიც არის და დიდ პასუხისმგებლობასაც გაკისრებს.

სანამ დავალების შესრულებას შეუდგებოდე, ჯერ კარგად უნდა მოიფიქრო, როგორ იმოქმედო, რა არის საჭირო, რომ თავი არ შეირცხვინო ამხანაგების წინაშე, სანიმუშოდ შეასრულო მინდობილი საქმე. უფროსებიდან ვის ვკითხო რჩევა? ბავშვებიდან ვისი დახმარება დამჭირდება? რა წავიკითხო, რა მოვამზადო? — ჯერ ამ კითხვებზე უნდა გასცე პასუხი, შემდეგ კი, მოქმედების გეგმას რომ შეადგენ, დავალების შესრულებაც არ გაგიძნელდება. სახვალიოდ საქმეს ნუ გადადებ, დღესვე გააკეთე ის, რის გაკეთებაც დღეს არის შესაძლებელი. თუ ხედავ, რომ დათქმულ ვადებში საქმეს თავს ვერ გაართმევ, მიმართე იმას, ვისგანაც დავალება მიიღე, იქნებ უფრო მეტი დრო მოგცენ, — ასეთია პიონერული ცხოვრების კანონი.

შენ და შენი მეგობრები თუ ასე სერიოზულად მოჰკიდებთ ხელს ყოველი დავალების შესრულებას, მაშინ რაზმის საქმეებიც წინ წავა და რაზმეულსაც ბევრ რამეში დაეხმარებით. პიონერიც ხომ იმაზე ოცნებობს, რომ თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში!

თუ დაგვავალეს...

დავალება დავალებაა, მაგრამ ხომ შეიძლება, შენც აგირჩიონ რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ, გაზეთის რედაქტორად ან რგოლის ხელმძღვანელად? ახლა შენ სხვას უნდა უხელმძღვანელო, ამხანაგების ნდობა გაამართლო, მაგრამ როგორ?

რაზმის საბჭოს თავმჯდომარე

ეს იმას ნიშნავს, რომ შენ პასუხს აგებ რაზმის საერთო საქმეებზე, იმაზე, რომ ყველა პიონერი იცავდეს საზეიმო დაპირებას და საბჭოთა კავშირის პიონერთა კანონებს.

შენ რაზმის ხელმძღვანელთან და საბჭოს წევრებთან ერთად უნდა წარმართო რაზმის მთელი საქმიანობა როგორც სკოლაში, ისე პიონერული მოქმედების ზონაში. ამისათვის კი კარგად მოფიქრებული და შედგენილი სამუშაო გეგმაა საჭირო. გეგმას რაზმის საბჭოს წევრები და რგოლის ხელმძღვანელები ადგენენ. ზოგიერთ რაზმში კონკურსსაც კი აცხადებენ რაზმის სამუშაო გეგმაში შესატან ყველაზე საინტერესო წინადადებაზე. მაგრამ გეგმის შედგენა მხოლოდ საქმის დასაწყისია, მთავარი ის არის, რომ მის განხორციელებაში ყველა პიონერი აქტიურად მონაწილეობდეს.

სადაც რაზმია, იქ უნდა იყო შენც, — ასეთია პიონერული ცხოვრების კანონი. თუ საჭიროა, რაზმის სახელით დახმარებისათვის უნდა მიმართო შენი სკოლის კომუნისტებსა და კომკავშირელებს, მასწავლებელს, რაზმეულის საბჭოს. შენ რაზმის საბჭოს წევრებთან ერთად იმაზედაც უნდა იფიქრო, რომ რაზმს მჭიდრო კავშირი ჰქონდეს საშეფო კოლმეურნეობის თუ ფაბრიკის კომკავშირულ ორგანიზაციასთან, ასრულებდეს მის დავალებებს.

რაზმის საბჭოს წევრები თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებენ თავმჯდომარეს, თავმჯდომარე კი — რაზმის შეკრებას და რაზმეულის საბჭოს. რაზმის საბჭომ როდის და რამდენჯერ ჩააბაროს ანგარიში პიონერებს, — ეს საკითხიც რაზმის შეკრებამ უნდა გადაწყვიტოს.

რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ კარგად უნდა იცოდეს ხაზისა და სხვა საზეიმო რიტუალების ჩატარება.

ყოველ პიონერს შეუძლია თხოვნით მიმართოს რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს, შესთავაზოს დახმარება, გაუზიაროს თავისი აზრი რაზმის საბჭოს მუშაობაზე, სთხოვოს რაიმე სადავო საკითხის გარკვევა. გულისყურით მოუსმინე ყველას, ვინც მოგმართავს და დახმარებას გთხოვს. თუ საკითხის გადაწყვეტა მარტო შენ არ შეგიძლია, დახმარებისათვის უფროსებს მიმართე. ისინი თავიდან აგაცილებენ მოსალოდნელ შეცდომას.

შენ, როგორც რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, უნდა ეცადო, რომ საბჭოს მუშაობაში აქტიურად ჩააბა რგოლის ხელმძღვანელები და აქტივისტი პიონერები. ისინი დაგეხმარებიან, რომ პიო-

ნერებს გააცნოთ რაზმის საბჭოს გადაწყვეტილებები, რაზმის ყოველ წევრს მისცეთ მისთვის საინტერესო დავალებები, თვალყური ადევნოთ მათ შესრულებას.

რაზმის მედროშე

რაზმის მედროშის ყველაზე მთავარი მოვალეობა ის არის. რომ თვალისჩინივით გაუფრთხილდეს რაზმის დროშას, გამოიტანოს იგი ზეიმებზე და სხვა რიტუალების დროს. მედროშე ყველგან და ყოველთვის წინ მიუძღვის რაზმს, ამიტომ მან კარგად უნდა იცოდეს მწყობრში სიარული. არაფერს ვამბობთ წითელი რევოლუციური დროშის ისტორიაზე, დროშის გამოტანის წესზე, მამაც მედროშეთა გმირობაზე, — რაზმის მედროშისათვის ამის ცოდნა ისევე აუცილებელია, როგორც ჯარისკაცისათვის შაშხანის მოხერხებულად ხმარება.

რაზმის გაზეთის რედაქტორი

რედაქტორი კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის მუშაობას ხელმძღვანელობს. კოლეგიაში რამდენიმე მხატვარი და კორესპონდენტია, მაგრამ თქვენ არ იფიქროთ, თითქოს სარედაქციო კოლეგიამ მხოლოდ კედლის გაზეთის გამოშვებაზე უნდა იზრუნოს. ეს რომ ასე იყოს, კოლეგიაც არ იქნებოდა საჭირო, ამ საქმეს ორი პიონერიც ჩინებულად გაუძღვებოდა. სარედაქციო კოლეგიამ უნდა გააფორმოს რაზმის სამუშაო გეგმა, პატაკები, დღიურები და ალბომები, რაზმის მატიანე, პიონერული ზეიმებისათვის საჭირო პლაკატები და მოწოდებები, რაზმის კუთხე პიონერთა ოთახში.

რედაქტორმა უნდა იფიქროს იმაზე, რომ სარედაქციო კოლეგიის ყოველ წევრს კონკრეტული დავალება ჰქონდეს და აქტიურად მონაწილეობდეს რაზმის საქმეებში. თუ საჭიროდ ჩასთვლის, რედაქტორმა რაზმის საბჭოს სასწრაფო დავალების შესასრულებლად ოპერატიული ჯგუფიც უნდა შექმნას. გარდა ამისა, რედაქტორთან ინახება რედკოლეგიის მუშაობისათვის საჭირო ყველა მასალა: საღებავები, შრიფტების ნიმუშები, ფანქრები, სახაზავები, ქაღალდი და ა. შ.

ოქტომბრელებთან მუშაობის ორგანიზატორი

ყოველ რაზმში არის ოქტომბრელთა ვარსკვლავების მეგობართა საბჭო. მისი თავმჯდომარე რაზმის საბჭოს წევრია, მან უნდა იზრუნოს, რომ რაზმის ყველა პიონერი დაუმეგობრდეს ოქტომბრელთა ვარსკვლავებს.

ყოველ რაზმში არიან ხელმარჯვე პიონერები. მათ შეუძლიათ სათამაშოები დაუმზადონ ოქტომბრელებს, ასწავლონ მარტივი მოდელებისა და სათამაშოების დამზადება. რაზმში, ალბათ, მასიური მუშაობისა და პიონერული თამაშების ორგანიზატორებიც იქნებიან. მუშაობაში ისინიც უნდა ჩააბათ, ოქტომბრელებს ხომ ყველაზე მეტად სწორედ თამაშისაკენ მიუწევთ გული!

სამუშაო გეგმის შედგენის დროს რაზმის საბჭომ ისიც უნდა გაითვალისწინოს, როგორი საზოგადოებრივი დავალება უნდა მისცეს ოქტომბრელებს. რაზმის რომელ ზეიმში მიიღებენ მონაწილეობას, როგორ მოემზადებიან პიონერთა რიგებში შესასვლელად. ოქტომბრელებთან მუშაობის ორგანიზატორი კი ვარსკვლავთა ხელმძღვანელებთან ერთად დაეხმარება მომავალ პიონერებს ამ დავალების შესრულებაში.

როგორი ხელმძღვანელი სჭირდება რგოლს

ერთხელ ასეთ ამბავს შევესწარი: პიონერთა ოთახში რამდენიმე რგოლის ხელმძღვანელი გამოიძახეს. რაზმეული ყვავილების დღესასწაულისათვის ემზადებოდა, დავალებები უნდა გაენაწილებინათ. დავალება მრავალგვარი იყო, ვისაც რა მოეწონებოდა, თავის რგოლისათვის იმას აირჩევდა. მაგრამ ზოგს არჩევანისათვის არც დაუცდია, ეტყობა, შინ წასვლას ეშურებოდა. რაც შესთავაზეს, იმაზე დათანხმდა.

ერთი ბიჭი კი მაგიდას არ მოსცილებია, ორჯერ თუ სამჯერ გადახედა ზეიმის გეგმას, სადაც სხვადასხვა ღონისძიებები იყო ჩამოწერილი, მერე რაზმეულის საბჭოს წევრს სთხოვა:

— ჩვენი რგოლის პიონერები საფოსტო მარკებს აგროვებენ. ძალზე ბევრი მარკა გვაქვს ყვავილების გამოსახულებით. არ შეიძლება, გამოფენა რომ მოვაწყოთ?

— გეგმაში რომ არა გვაქვს? — ცოტა არ იყოს, პასუხის გაცემა გაუჭირდა რაზმეულის საბჭოს წევრს. — საქმე ისედაც ბევრია, რაღა მარკებს ჩააცივდით.

— რგოლში ყველა აგროვებს, საინტერესო გამოფენას მოვაწყობთ. სხვებიც დაგვეხმარებიან.

— გამოფენას მოვაწყობთ, მაგრამ დღესასწაულს ვინღა მოამზადებს? — არ თმობდა რაზმეულის საბჭოს წევრი. — თანაც, გეგმას ხომ ვერ შევცვლი, რაზმეულის საბჭოს უნდა ვთხოვოთ.

— მერე რა, ვთხოვოთ,—არც რგოლის ხელმძღვანელი აპირებდა დათმობას. — არსადაც არ მეჩქარება, დავიცდი...

დაიცადა და თავისიც გაიტანა. მისი რგოლის წევრებიც კმაყოფილნი დარჩნენ და რაზმეულის საბჭოც, რადგან კარგად მოფიქრებულმა გამოფენამ დღესასაწული კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახადა.

ყველა რგოლს უნდა ჰყავდეს ასეთი ხელმძღვანელი: ამხანაგების ინტერესების დამცველი, მომთხოვნი თავისი თავისა და სხვების მიმართ, სამართლიანი და პირდაპირი, რომ გაბედულად უთხრას მეგობარს სიმართლე და თავისი შეცდომაც გულახდილად აღიაროს. სიზუსტე და თავმდაბლობა რგოლის ხელმძღვანელის აუცილებელი თვისებაა. ზოგიერთს უცნაური ჩვევა აქვს: ამხანაგებში თუ გამოარჩიეს, მაშინვე გაამაყდება და თანაკლასელებს ქედმაღლურად უყურებს. ასეთ ადამიანს კეთილი საქმის გაკეთება არ შეუძლია.

კარგია, როცა რგოლის ხელმძღვანელმა ბევრი რამე იცის და ბევრი რამის გაკეთებაც შეუძლია. მაშინ ის ყველაფერში — თამაშშიც, სწავლაშიც და შრომითს საქმიანობაშიც, — ადვილად აიყოლიებს რგოლის წევრებს. მაგრამ მარტო ესეც არ არის საკმარისი: რგოლის ხელმძღვანელი ინიციატივიანი ორგანიზატორიც უნდა იყოს, რომ მხოლოდ რაზმის საბჭოს მითითებებს არ ელოდოს, თანაც, ყველაფერს მარტო კი არ აკეთებდეს, ცდილობდეს, ყველა პიონერი აქტიურად ჩააბას რგოლისა და რაზმის საქმეებში.

აი, სწორედ ასეთი ხელმძღვანელი სჭირდება რგოლს.

სამი რჩევა რგოლის ხელმძღვანელს

პ ი რ ვ ე ლ ი რ ჩ ე ვ ა: აუცილებლად უნდა გქონდეს უბის წიგნაკი, თავისებური პატარა ცნობარი. რუსულ ენაზე ასეთი ცნობარი სტამბური წესით იბეჭდება. ნაწილობრივ, ალბათ, ეს წიგნიც გაგიწევს მის მაგივრობას, მაგრამ მაინც გირჩევთ, რომ ასეთი უბის წიგნაკი შენ თვითონ დაამზადო. პირველ გვერდებზე საზეიმო დაპირება და პიონერთა კანონები ჩამოწერე, შემდეგ — შენი რგოლის წევრების სია, ბინის მისამართები, ტელეფონის ნომრები. რგოლის ყველა წევრის დაბადების დღეც ჩაინიშნე, რომ მილოცვა არ დაგავიწყდეთ. იცი, როგორ გაუხარდება ამხანაგს, როცა მთელი რგოლი მიულოცავს დაბადების დღეს!

შემდეგ უბის წიგნაკი რამდენიმე ნაწილად დაყავი. ყოველ ნაწილს თავისი დანიშნულება უნდა ჰქონდეს. აი, მაგალითად: „რა უნდა გააკეთოს რგოლმა სკოლაში“, „რა უნდა გავაკეთოთ პიონერული მოქმედების ზონაში“, „პიონერთა წინადადებები“, „რაზ-

მის საბჭოს დავალებები“, „პიონერული კალენდარი“, „ვის რა დავალება აქვს?“, „საინტერესო წიგნები“. თუ ყურადღებით იქნები, დარწმუნებულნი ვართ, მალე უბის წიგნაკში არც ერთი ცარიელი გვერდი არ დარჩება.

ალბათ, ადრეც კითხულობდი პიონერულ ჟურნალ-გაზეთებს, ისმენდი სატელევიზიო და რადიოგადაცემებს. იქნებ პიონერული აქტივის შეკრებასაც დასწრებიხარ? ადრე სხვა იყო, მაგრამ როცა რგოლის ხელმძღვანელი ხარ, ყველაფერს სხვაგვარი თვალით უნდა შეხედო და აწონ-დაწონო: „იქნებ ეს ჩვენი რგოლისთვისაც გამოდგეს?“ ცხადია, ჟურნალ-გაზეთებშიც, რადიოგადაცემებშიც და აქტივის შეკრებაზედაც ბევრი რამ იქნება საინტერესო. ამ ბევრიდან ცოტაც რომ მოხვდეს უბის წიგნაკში, მუშაობაში ესეც დაგეხმარება.

ჩვენ ერთხელ უკვე ვახსენეთ რგოლის ხელმძღვანელის თავმდაბლობა. იცი, რას ნიშნავს, იყო თავმდაბალი? იმას, რომ ყურადღებით მოუსმინო თანატოლებს, რგოლის მუშაობაში გაითვალისწინო ის, რასაც ისინი გირჩევენ. კარგი იქნება, თუ ყოველ ორ-სამ კვირაში, სანამ სამუშაო გეგმას შეადგენ, რგოლში პიონერული საქმეების დაზვერვას მოაწყობთ. ყველა პიონერი შემოიტანს თავის წინადადებას — რა გააკეთოთ, სად წახვიდეთ ექსკურსიაზე, ვინ მოიწვიოთ შეხვედრაზე. რაც უფრო მეტი ასეთი წინადადება გაჩნდება უბის წიგნაკში, რგოლის მუშაობაც მით უფრო საინტერესო და სახალისო იქნება.

მ ე ო რ ე რ ჩ ე ვ ა: სამუშაო გეგმას რომ შეადგენ, იმაზედაც უნდა იფიქრო, რას გააკეთებ, რომ რგოლის საერთო საქმეებში ყველა პიონერი მონაწილეობდეს.

ყოველ რგოლში არის შრომის ორგანიზატორი, რგოლის სანიტარი, საყოველთაო სწავლების საგუშაგოს წევრი, „ცისკრის“ ორგანიზატორი, კორესპონდენტი, რგოლის ფიზორგი. შენც სწორედ აქედან უნდა დაიწყო. მაგალითად, რაზმის საბჭოსაგან მიიღეთ დავალება, რომ მომავალ კვირას სკოლის ეზოს გამწვანებაზე იმუშაოთ. შენ შრომის ორგანიზატორთან ერთად უნდა მოიფიქრო ამ ოპერაციის ყველა წვრილმანი, შემდეგ კი საქმეს თვით ორგანიზატორი გაუძღვება: გაიგებ, რამდენი ნერგია გამოყოფილი თქვენი რგოლისათვის, სად უნდა დარგოთ, როდის დაიწყებთ მუშაობას. შრომის ორგანიზატორი ზოგიერთ პიონერს სამუშაო იარაღის მომზადებას დაავალებს, ზოგს სანერგეზე მიამაგრებს,

იმას კი, ვინც კარგად ერკვევა ნატურალისტურ მუშაობაში, სთხოვს, საუბარი ჩაატაროს რგოლის პიონერებთან და საშეფო კლასის ოქტომბრელებთან გამწვანების მნიშვნელობაზე (რგოლის საქმეებში ხომ ოქტომბრელებთან მუშაობაც იგულისხმება). ამის შემდეგ ერთად ნახავთ იმ ადგილს, სადაც ორმოები უნდა ამოიღოთ, და სამუშაოს გაანაწილებთ რგოლის ყველა პიონერს შორის.

შრომით დესანტამდე ორი-სამი დღით ადრე ორგანიზატორი ვალდებულია პატაკი ჩააბაროს რგოლის მზადყოფნაზე.

აი, ასე მიაღწევ იმას, რომ ყველა პიონერმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს რგოლის საერთო საქმეებში.

მ ე ს ა მ ე რ ჩ ე ვ ა: ახლოს უნდა იცნობდე რგოლის ყოველ წევრს, უნდა იცოდე, რით არის გატაცებული, რას აკეთებს თავისუფალ დროს, რა იცის და რის გაკეთება შეუძლია. ამის გაგება არ არის ძნელი, თქვენ ხომ ერთი კოლექტივის წევრები ხართ, თანაკლასელები. ეს რომ გეცოდინება, მაშინ რგოლის წევრებს შორის დავალებებსაც უფრო ადვილად გაანაწილებ და ისინიც მეტი მონდომებით იმუშავებენ.

პიონერებს ერთი კარგი წესი აქვთ: „ისწავლე თვითონ, შეასწავლე ამხანაგებს!" საქმე იმდაგვარად უნდა ააწყო, რომ თქვენი რაზმის ყოველი წევრის ცოდნა მთელ კოლექტივს გამოადგეს. აი, თუნდაც იმ ბიჭის ამბავი გავიხსენოთ, საფოსტო მარკების გამოფენა რომ მოაწყო სკოლაში. იცით, როგორ დაიწყო ყველაფერი? შემთხვევით გაიგო, რომ მისი რგოლის ერთ პიონერს საინტერესო კოლექცია ჰქონდა. ჯერ თვითონ ეწვია შინ, მერე კოლექცია სკოლაში მოიტანეს და ყველამ დაათვალიერა. ეს იყო და ეს, მთელმა რგოლმა დაიწყო საფოსტო მარკების შეგროვება. მალე ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბში ნორჩი ფილატელისტების წრეც გაიხსნა. ალბათ, თქვენს რგოლშიც არიან ასეთი პიონერები. მათ მრავალი საინტერესო სიახლის შეტანა შეუძლიათ რგოლის ცხოვრებაში, თუ ამხანაგების მხარდაჭერას იგრძნობენ.

მხარდაჭერა ყველგან საჭიროა და ყველას სჭირდება. ერთიანი, მეგობრული კოლექტივის ცხოვრება სხვაგვარად წარმოუდგენელია. თანაკლასელი თუ ავად გახდა, იმავე დღეს მიაკითხეთ შინ, აუხსენით საშინაო დავალება. ამ საქმეს მარტო საყოველთაო სწავლების საგუშაგოს წევრს ნუ დაავალებ, ამხანაგისათვის ხელის გამართვა რგოლის ყველა პიონერის ვალია. იქნებ ოქტომ-

ბრელთა ვარსკვლავის ხელმძღვანელმა მინდობილ საქმეს თავი ვერ გაართვა, ცოდნა და გამოცდილება არ ეყო! მასაც მთელი რგოლის მხარდაჭერა სჭირდება: ერთი პატარებს ლექსებს წაუკითხავს, მეორე მუყაოს სათამაშოებს დაუმზადებს, მესამე თამაშობებს შეასწავლის. აი, ეს არის მხარდაჭერა.

რგოლი, თუ მისთვის სულ ერთი არ არის, როგორ ისწავლის ავადმყოფობის შემდეგ მათი ამხანაგი, როგორ იმუშავებს თავის ოქტომბრელებთან მეორე ამხანაგი, ნამდვილად მეგობრული რგოლია. მისმა წევრებმა კარგად იციან, რომ ერთის წარუმატებლობა და სიძნელეები მთელი რგოლის წარუმატებლობაა, ერთის სიხარული ყველას სიხარულია.

ასეთი რგოლის პიონერები თავს არასოდეს შეირცხვენენ.

პიონერული ხაზი

ხაზით იწყება და მთავრდება რაზმისა და რაზმეულის ყოველი შეკრება, — ეს უკვე ტრადიციად იქცა. მაგრამ ხაზი ეწყობა მაშინაც, როცა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა, რაზმეულის ან რაზმის საბჭომ მოსწავლეებს უნდა აცნობოს პიონერული ცხოვრების ახალი ამბები, შეაჯამოს მუშაობის ან შეჯიბრების შედეგები, განიხილოს სამუშაო გეგმა. ხაზზე ოქტომბრელებს იღებენ პიონერთა რიგებში, დოლს და საყვირს გადასცემენ ახალ რაზმებს, აჯილდოებენ პიონერებს. ყველაფერი ეს ჩვეულებრივ ხაზზე ხდება ხოლმე. განსაკუთრებულ შემთხვევაში კი საზეიმო ხაზი ეწყობა. პირველი მაისის დღესასწაული, გამარჯვების ზეიმი, გმირი პიონერის სახელის მინიჭება რაზმისათვის, პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღე, ლენინური კომკავშირის იუბილე, ომის შეწყვეტა ვიეტნამში, ნორჩი გმირი ანტიფაშისტის დღე, — ყოველ ასეთ თარიღს საზეიმო ხაზით აღნიშნავენ. ესეც ტრადიციაა. ამის გარეშე ძნელია პიონერული ცხოვრების წარმოდგენა.

რაზმეულის ხაზი მესაყვირის ნიშანზე იწყება. პირველი ნიშანია „ყურადღება!" მეორე — „ისმინეთ ყველამ!". ამ ნიშანზე რაზმეული მწყობრში უნდა დადგეს ერთ მწკრივად ან ასო „П"-ს მსგავსად. ეს დამოკიდებულია იმ ადგილზე, სადაც ხაზი ტარდება. მედროშეთა ჯგუფი ცალკე დგას. მისთვის წინასწარ მიჩენილ ადგილზე. უფროსი პიონერხელმძღვანელი და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე საერთო მწყობრის წინ დგანან, შუა ადგილზე, რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები — თავისი რაზმის წინ, რგოლის ხელმძღვანელები — რგოლის მარჯვენა ფლანგზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე იძლევა ბრძანებას: „რაზმეულო, სწორდი! სმენა! რაზმის საბჭოს თავმჯდომარეებო, მოემზადეთ და ჩააბარეთ პატაკი! თავისუფლად!“ ბრძანება უნდა გაიცეს სხარტად, ხმამაღლა, შუალედებით, რომ შესაძლებელი იყოს თვალყურის დევნება, ყველა პიონერი ასრულებს თუ არა ბრძანებას. ბრძანებაზე: „თავისუფლად!“ — ყოველი რაზმის საბჭოს თავმჯდომარე თავისი რაზმისაკენ შებრუნდება, დააზუსტებს, რამდენი პიონერია მწყობრში, რამდენი აკლია, არკვევს გაცდენის მიზეზს, შემდეგ რაზმს აძლევს ბრძანებას: „სმენა“! და უმოკლესი გზით მიდის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარისაკენ. რა თქმა უნდა, რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ ხაზზე მოწყობამდეც უნდა გაარკვიოს, რამდენი პიონერი ესწრება შეკრებას, მაგრამ უშუალოდ პატაკის ჩაბარების წინაც აუცილებელია რაზმისათვის თვალის გადავლება.

რაზმის საბჭოს თავმჯდომარე სამი-ოთხი ნაბიჯით მიუახლოვდება რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს, აიღებს სალუტს და როცა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეც აიღებს სალუტს, აბარებს პატაკს: „ამხანაგო რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარევ! თინა იოსებიძის (მაგალითისათვის) სახელობის რაზმი ხაზზე მოეწყო. ორი პიონერი არ ესწრება ავადმყოფობის გამო. რაზმმა შრომითი დესანტის დროს დარგო ორმოცდაათი ნერგი. რაზმის საბჭოს თავმჯდომარე გელა წერეთელი (ესეც მაგალითისათვის!)“.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, პატაკს რომ ჩაიბარებს, თუ დასაზუსტებელი არაფერია, იძლევა ბრძანებას: „თავისუფლად!“ და ხელს ჩამოუშვებს. რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ადგილზე შებრუნდება, ხელს ჩამოუშვებს, გაემართება თავისი რაზმისაკენ, მწყობრის წინ შეჩერდება და რაზმს აძლევს ბრძანებას: „თავისუფლად!“ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე კი ამ დროს უკვე სხვა რაზმის პატაკს იბარებს. რიტუალის წესით, პატაკის ჩაბარება ასაკის მიხედვით ხდება, იწყება უფროსების რაზმიდან.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ყველა რაზმის ანგარიშს რომ მოისმენს, იძლევა ბრძანებას: „რაზმეულო, დროშის შემოსატანად — სმენა! სწორება დროშაზე!“ ყველა პიონერი თავს აბრუნებს დროშის მხარეს და იღებს სალუტს. მედროშე, ასისტენტების თანხლებით, საყვირისა და დოლის ხმაზე, დროშას მთელი მწყობრის გასწვრივ შემოატარებს — მარცხენა ფლანგიდან მარჯვნივ

და რაზმეულის მარჯვენა ფლანგთან შეჩერდება. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე შებრუნდება უფროსი პიონერხელმძღვანელისაკენ, აძლევს მას სალუტს და უპატაკებს დაახლოებით ასე: „ამხანაგო უფროსო პიონერხელმძღვანელო! შოთა გამცემლიძის (მაგალითისათვის) სახელობის პიონერული რაზმეული მოწყობილია შრომითი დესანტის აღსანიშნავ საზეიმო ხაზზე. ხაზზეა სამასი პიონერი, შვიდი მოსწავლე არ ესწრება საპატიო მიზეზის გამო (მაგალითისათვის). რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე პაატა მაღრაძე (მაგალითისათვის)".

რაზმეულის პატაკი მიღებულია, უფროსი პიონერხელმძღვანელი იძლევა ბრძანებას: „თავისუფლად!" რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე მწყობრისაკენ შებრუნდება და რაზმეულს გადასცემს იმავე ბრძანებას.

იწყება პიონერული ხაზი. ამის შემდეგ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე პიონერებს აცნობს ხაზის ჩატარების მიზანს, სიტყვას აძლევს საზეიმო ხაზზე მოწვეულ საპატიო სტუმრებს, კომკავშირელებს, მასწავლებლებს, რამეულის მოიწნავე პიონერებს.

ხაზის დასასრულს უფროსი პიონერხელმძღვანელი ან რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე პიონერებს მიმართავს მოწოდებით: „ნორჩო პიონერებო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!" პიონერები უპასუხებენ: „მზად ვართ!" — და იღებენ სალუტს. შემდეგ გაისმის ბრძანება: „რაზმეულო, დროშის გასატანად — სმენა! სწორება დროშაზე!" დროშას კვლავ მთელი მწყობრის გასწვრივ ჩაატარებენ, პიონერები სალუტით აცილებენ მას. ხაზი მთავრდება, რაზმები მწყობრი ნაბიჯით გადიან ხაზიდან.

საპატიო ყარაული დროშასთან

რაზმეულის შეკრების ან სხვა საზეიმო ღონისძიების დროს რაზმეულის დროშასთან დგას საპატიო ყარაული — მედროშე და ორი ასისტენტი. საპატიო ყარაული ყოველ 5—10 წუთში იცვლება, მის შემადგენლობაში მხოლოდ საუკეთესო პიონერები შეჰყავთ. რაზმეულის დროშასთან შეიძლება რაზმის მედროშეებიც დადგნენ რაზმის ალმებით. საპატიო ყარაულის შეცვლაზე პასუხისმგებელია რაზმეულის მედროშე.

იცით, როგორია საპატიო ყარაულის შეცვლის წესი? მორიგი ცვლა დროშას მწყობრით უახლოვდება. რაზმეულის მედრო-

შის ბრძანებაზე — „ცვლა, სდექ!“ — ყოველი შემცვლელი ზურგში უდგება შესაცვლელ პიონერს, შემცვლელი მედროშე კი ხელს ჰკიდებს დროშის ტარს. ბრძანებაზე — „შეიცვალეთ!“ — ორივე ცვლა ნაბიჯს ადგამს წინ. კიდევ ერთი ბრძანება — „მარცხნივ (ან მარჯვნივ) ნაბიჯით იარ!“ — და შეცვლილი პიონერები მიდიან. ბრძანება უნდა გაიცეს მკაფიოდ, ხმადაბლა, რომ შეკრების მსვლელობას ხელი არ შეეშალოს.

დიდების ყვავილწული

დიდების ყვავილწული უფროსი თაობების საბრძოლო და რევოლუციური ტრადიციებისადმი პიონერული ერთგულების სიმბოლოა.

ყვავილწულს ცოცხალი ყვავილებისაგან, მუხის, ნაძვის ან დაფნის ფოთლებისაგან ამზადებენ, ირგვლივ წითელ ან გვარდიულ ზონარს შემოავლებენ. წითელზონარიანი ყვავილწული მიაქვთ ვ. ი. ლენინისა და რევოლუციის გმირთა ძეგლებთან, ყვავილწული გვარდიული ზონრით — საბჭოთა არმიის მებრძოლთა ობელისკებთან, იმ უცნობი ჯარისკაცის საფლავთან, მილიონებთან ერთად თავი რომ შესწირა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

პიონერული ვარსკვლავები

ფორმის მარცხენა სახელოზე ამოქარგული პიონერული ნიშნის ზემოთ აქტივის განმასხვავებელი ნიშნებია: ერთი ვარსკვლავი — რგოლის ხელმძღვანელი ან რაზმის საბჭოს წევრი, ორი ვარსკვლავი — რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ან რაზმეულის საბჭოს წევრი, სამი ვარსკვლავი — რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე. პიონერთა რაიონული და საქალაქო შტაბის წევრებიც სამ ვარსკვლავს ატარებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲚᲐᲨᲥᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

მუსიკა ა. ჩიმაკაძისა
ლექსი ჯ. ჩარკვიანისა

მოვდივართ პიონერები,
საბჭოთა ქვეყნის შვილები,
ბედნიერებით გამთბარნი,
მოვდივართ ფულგაშლილები!

პიონერებო, მხარი მხარს მივცეთ,
მარად მზად იყოს ჩვენი ლაშქარი,
პიონერებო, ბუკი დაჰკარით!
ჩვენი მჭექარე სიმღერა

გაისმის მთა და ველადა,
ავაყვავილეთ საბჭოს
ყველა ველი და ყველა მთა.

პიონერებო, მხარი მხარს მივცეთ,
მარად მზად იყოს ჩვენი ლაშქარი,
პიონერებო, ბუკი დაჰკარით!
ვინც დიად გზებზე მიგვიძღვის

სიყვარულსა და შრომაში,
მხარში დავუდგეთ ყველანი
დიად ლენინურ კომკავშირს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო მისამართები

თუ იცი, რას ნიშნავს ოპერაცია „თეთრი კუ?“ ვინ ატარებს გონებამახვილთა და საზრიანთა კონკურსს? სად შეიძლება გაეცნო „მეგზურთა საკრებულოს“ მორიგ დავალებებს? ვისთვის აწყობს გადაცემებს რადიოსადგური „ციცინათელა?“ კვირაში რამდენჯერ გამოდის რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“? სად არის „ქამთაბერის დარბაზი“? ცხოვრებაში ბევრი ასეთი „თუ იცი“, „სად შეიძლება“ და „როდის“ შეგხვდება. და ზუსტი, ამომწურავი პასუხი რომ გასცე ყოველ ასეთ კითხვაზე, კარგად უნდა იცნობდე შენს მეგობრებს, — პიონერულ გაზეთებს და ჟურნალებს, რადიოს, ტელევიზიას, საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობას, პიონერთა სახლებსა და სასახლეებს, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურებს, სპორტულ სკოლებს... მეგობარი და კეთილი მრჩეველი მართლაც ბევრია. ყველგან, ყველა საქმეში ურევია მათი ხელი. ვინც მათთან მეგობრობს, სიძნელეებსაც ადვილად სძლევს და ხალისიანადაც ცხოვრობს. სწორედ მათზე გიამბობთ ჩვენი წიგნის ამ გვერდებზე... თქვენთვის საჭირო ყველა მისამართსაც აქვე იპოვით:

პიონერული პრესა

გაზეთი „პიონერსკაია პრავდა“, 101502, გსპ მოსკოვი, კ-30 სუშჩევსკაიას 21. ტელეფონი 251-15-00; დამატებითი 2-38.

გაზეთი „ნორჩი ლენინელი“, 380026, თბილისი, ლენინის ქუჩა, 14, ტელეფონი: 93-97-81.

ჟურნალი „პიონერი“, 380026, თბილისი, ლენინის ქუჩა 14, ტელეფონი: 93-31-81.

ჟურნალი „დილა“, 380026, თბილისი, ლენინის ქუჩა 14, ტელეფონი: 93-41-30.

გაზეთებს ყოველდღიურად ბევრი ახალი ამბავი მოაქვთ, ჟურნალებიც ბევრ საინტერესო სიახლეს გვთავაზობენ. მაგრამ თავისთავად ამ ახალ ამბავსა და სიახლეს რა ფასი აქვს, თუ ადამიანები არ იმსჯელებენ, სათანადო დასკვნებს არ გააკეთებენ, არ გამოიყენებენ მუშაობაში. ყველაფერი, რაზედაც პიონერული ჟურნალ-გაზეთები წერენ, სწორედ იმ მიზნით იბეჭდება, რომ შენც წაიკითხო და შენმა რაზმმაც გამოიყენოს. ამიტომ გირჩევთ, რომ რაზმში მოაწყოთ პრესის კუთხე, სადაც პიონერული გაზეთის ყოველ ახალ ნომერს გამოაკრავთ. რაზმის საბჭოს დავალებით, ნორჩი კორესპონდენტი ან რომელიმე სხვა პიონერი ყველაზე ადრე წაიკითხავს გაზეთს, საინტერესო სტატიებს ფანქრით აღნიშნავს და

მერე გაზეთს პრესის კუთხეში მოათავსებს. კარგი იქნება, თუ პრესის კუთხის გვერდით მსოფლიოს პოლიტიკურ რუკასაც გააკრავთ. გაზეთები ახლა ბევრს წერენ საერთაშორისო ცხოვრებაზე და თქვენს რუკაზე პატარა წითელი დროშებით აღნიშნავთ იმ ადგილებს, სადაც მნიშვნელოვანი ამბები ხდება. ეს წაკითხულის დამახსოვრებაშიც დაგეხმარებათ და იმაშიც, რომ სისტემატურად ადევნოთ თვალი მსოფლიოს ახალ ამბებს. სხვათა შორის, ზოგიერთი რაზმისა და რგოლის პიონერები უცხო სიტყვათა ლექსიკონსაც კი ადგენენ. მართლაც, გაზეთები ყოველ გამოშვებაში ხომ ვერ აგიხსნიან, რას ნიშნავს „გენოციდი", „სუბორდინაცია", „დევალვაცია", „სევი", „პენტაგონი", „რასისტული რეჟიმი", ინფლაცია" და ა. შ. უცნობ სიტყვას თუ შეხვდები გაზეთში, ლექსიკონში ჩაიხედავ და მორჩა, ყველაფერი გასაგებია, უფროსებს აღარ შეაწუხებ. ასეთი ლექსიკონის შედგენა რაზმში ან რგოლში შეიძლება ერთ პიონერსაც დაავალოთ, ეს იქნება მისი მუდმივი პიონერული დავალება.

პიონერული გაზეთები და ჟურნალები, ცხადია, უმთავრესად პიონერულ ცხოვრებაზე წერენ. ამიტომ, როგორც წესი, ყველა რაზმი უნდა კინძავდეს გაზეთის საჭირო ნომრებს ან ადგენდეს ალბომს საგაზეთო რუბრიკების მიხედვით. მაგალითად, გაზეთ „ნორჩ ლენინელში" მთელი წლის მანძილზე ბევრი კარგი მასალა იბეჭდება საერთო სათაურით „ფიქრის გორა", „ქამთაბერის დარბაზი", „წყარო". თქვენთვის ძალზე საჭირო მასალებს ბეჭდავს ჟურნალი „პიონერიც" რუბრიკებით: „ჯადოსნური სარკე", „ბუნების კარი", „საუბრები ხელოვნებაზე", „გამოცანები". ამ მასალების მიხედვით შეიძლება საინტერესო საუბრის მომზადება, შეკრების ჩატარება. იქნებ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილზე რაზმში ან რგოლში დისკუსიაც მოაწყოთ? გაზეთი ხშირად სვამს მწვავე და რთულ კითხვას: ვინ არის რაზმში უფროსი? როგორი უნდა იყოს პიონერი? რას ნიშნავს ნამდვილი მეგობრობა? ვის უშლის ხელს ჩემი ორიანი? ასეთ კითხვებზე მთელმა კოლექტივმა უნდა გასცეს პასუხი. იქნებ რაიმე საკითხზე ვერ შეთანხმდით, ან გაზეთს არ ეთანხმებით, — მისწერეთ ამის შესახებ რედაქციას, საჭირო პასუხსაც მიიღებთ.

გაზეთებში და ჟურნალებში ხშირად იბეჭდება ისეთი მასალებიც, რომელიც სასწრაფოდ უნდა განიხილოთ რაზმში. ეს შეიძლება იყოს საკავშირო სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკარის" ბრძანება, მეგზურთა საკრებულოს მითითება ან რომელიმე ახალი

პიონერული ოპერაციის დებულება. შეიკრიბეთ რგოლში ან რაზმში, იმსჯელეთ, ერთად მოიფიქრეთ, რას გააკეთებთ ახალი ბრძანების შესასრულებლად, ვის რა დავალებას მისცემთ, ვისი დახმარება გჭირდებათ, ვის უნდა მიმართოთ რჩევისათვის!

გაზეთი უქაღალდოდ... **საქართველოს რადიოს საბავშვო გადაცემათა რედაქცია, 380025, თბილისი, ლენინის ქუჩა, 68, ტელეფონი: 36-96-86.**
საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქცია, 380025 თბილისი, ლენინის ქუჩა, 68, ტელეფონი: 36-94-48.

გაზეთმა ასობით კილომეტრი უნდა გაიაროს, სანამ შენამდე მოაღწევს. თუ გზაზე რაიმე სერიოზული შეფერხებაა, გაზეთსაც დააგვიანდება. ამ „გაზეთს" კი ვერც უგზოობა შეაფერხებს და ვერც უამინდობა, ერთი წამიც საკმარისია იმისათვის, რომ მოსკოვის კრემლის კურანტების ხმა მთელ ქვეყანას მოეფინოს. ელვის სისწრაფით მუშაობენ უხილავი დამტარებლები — რადიოტალღები.

შენთვის ნაცნობი პიონერული საყვირის ხმაც ამ რადიოტალღებს გადააქვთ. ამიტომ არის, რომ რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერს" ერთდროულად უსმენენ თბილისშიც და მესტიაშიც, ყაზბეგშიც და ქედაშიც.

რადიოგაზეთს თავისი კორესპონდენტები ჰყავს, ისეთივე პიონერები, როგორიც შენა ხარ. იმედი გვაქვს, რომ მათ რიგებს შენც შეემატები რაზე უნდა დაწერო? ალბათ, იმაზე, როგორ სწავლობთ, რას ფიქრობთ მომავალ პროფესიაზე, მეგობრობთ თუ არა სოფლის პიონერებთან, როგორ ეხმარებით უფროსებს, როგორია თქვენი პიონერმშენის მისამართები... რედაქციას ხომ ყველაფერი აინტერესებს!

ბევრით სწავლაში რადიო-ტელევიზიაც დაგეხმარება. „მოთხრობები მეათე ხუთწლედზე", „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში", „გვეკითხებიან ვუსაპუხებთ", „მეცნიერების გზაჯვარედინებზე", „წიგნის თარო", „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება", — აი, ეს გადაცემები გიამბობენ მეათე ხუთწლედის ახალ მშენებლობებზე, ჩვენი ქვეყნის მომავალზე, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე, საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებზე.

კლასიკური და თანამედროვე მუსიკის კონცერტები, საუბრები მუსიკალურ ხელოვნებაზე დაგეხმარება იმაში, რომ უკეთ გაიგო

მუსიკა, ნათელი წარმოდგენა გქონდეს საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებებზე, ცნობილი კომპოზიტორების შემოქმედებაზე. ერთი სიტყვით, ამ უხილავ დამტარებლებს — რადიოტალღებს — შენთვის ყოველდღე, მართლაც, ბევრი საინტერესო ამბავი მოაქვთ.

ოცნებების სასახლე

ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, 380064, თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი, 6, ტელეფონი: 99-00-94.

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური, 380061, თბილისი, ვახტანგ გორგასალის ქუჩა, 75, ტელეფონი 72-37-27.

ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგური, 380054, თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 1, ტელეფონი: 95-06-39.

ნორჩ ტურისტთა ცენტრალური სადგური, 380052, თბილისი, კამოს ქუჩა, 52, ტელეფონი: 95-48-69.

ამ ორმოცდაათი წლის წინათ თბილისის ერთი რაიონის პიონერებს საჩუქრად გადასცეს ძველი ეკლესიის შენობა. ბნელი და ნესტიანი შენობა იყო, მაგრამ ამას ვინა ჩიოდა, საჩუქარი სიხარულით მიიღეს — წიგნები შეაგროვეს და პატარა ბიბლიოთეკა მოაწყვეს, მერე წრეებიც ჩამოაყალიბეს. ეკლესიის შენობაში წარმოდგენებსაც მართავდნენ ხოლმე. ძველი ეკლესიიდან მოგონებაღა დარჩა, იმ ადგილას ახლა ახალი საცხოვრებელი მასივია გაშენებული, მაგრამ მისი დავიწყება მაინც არ შეიძლება: სწორედ იმ პირველი პიონერული კლუბით იწყება შენი ყველაზე დიდი და ყველაზე ლამაზი სასახლის ისტორია.

ალბათ, ერთი დღეც საკმარისია იმისათვის, მთელი სასახლე რომ შემოიარო, მაგრამ ყველა წრის მეცადინეობას ათი წუთით მაინც რომ დაესწრო, ორი კვირაც არ გეყოფა! თუმცა, თუ ასტრონომებს დავუჯერებთ, ათი წუთი არც ისე ცოტა დრო ყოფილა. ისინი თავიანთ პიონერულ პლანეტარიუმში მიგიწვევენ და ათ წუთში ვარსკვლავთა მთელ საუფლოს შემოგატარებენ. ეს ათი წუთი საკმარისია, რომ პლანეტარიუმი დაათვალიერო და... ნორჩ ასტრონომთა წრეშიც ჩაეწერო. მაგრამ იქნებ ისტორია და არქეოლოგია უფრო გიტაცებს? შორს წასვლა არ არის საჭირო, სიძველეთა მუზეუმი გვერდით ოთახშია. თუმცა, ოთახიც არ ეთქმის, ეს თავისებური ეთნოგრაფიული დარბაზია: საქართველოს რელიეფური რუკა, ძველი ქართული დამწერლობის ძეგლები... რამდენი წლისაა ეს დარბაზი? ალბათ, ათი ან ოცი წლისა, მაგრამ აქ ოცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებული საუკუნე მაინც სუნთქავს. მის სუნთქვას რადიოტალღების სმაური ერთვის — ეს უკვე მეოცე საუკუნეა თავისი კოსმოსური ნაბიჯებით და სიმაღლეებით. ნომავლის საჰაერო ხომალდები, რადიოლოკატორები, მინღებები, გადამცემები, ზესწრაფი სარკინიგზო ტრანსპორტი, — ეს ხომ მართლაც მომავლის საქმეა, მაგრამ მათ მოდელებზე რა ხანია მუშაობენ ნორჩი ტექნიკოსები. იქნებ შენც ასეთი ზღაპრული პროექტების შედგენაზე ოცნებობ? კეთილი, შენთვისაც მზადაა საცდელი პოლიგონი—სამუშაო მაგიდა, დაზგა და ხელსაწყოები. ნორჩ ტექნიკოსთა წრეებში ბევრ ცოდნასა და ჩვევას შეიძენ, ხელს გაიწაფავ და, ალბათ, პიონერულ წესსაც არ დაივიწყებ: „ისწავლე თვითონ, შეასწავლე ამხანაგებს!" ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა, ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოება, ნორჩ ლიტერატორთა სალონი, ხაზვის კაბინეტი... შენ მხოლოდ აირჩიე. პედაგოგები და ცნობილი მეცნიერები კი (ისინი ხშირად არიან სტუმრად სასახლეში) იმაზე იზრუნებენ, რომ ყოველი მეცადინეობა შენთვის აქამდე უცნობ სამყაროში საინტერესო მოგზაურობად გადაიქცეს.

შენც შეამჩნევდი, სასახლეზე რომ ლაპარაკობენ, უნებურად ამბობენ ხოლმე: „ჩვენი სასახლე". ეს არავის უკვირს, რადგან ეს, მართლაც, ჩვენი სასახლეა, ჩვენი პიონერული გაზეთით „გაზაფხულით", კინოსტუდია „პიონერ-ფილმით", ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბით, დიდი საჭადრაკო სარბიელით, სათამაშოების ფაბრიკით და, რა თქმა უნდა, პიონერული აქტივის კაბინეტით. წლების მანძილზე ათასობით შენი თანატოლი სწორედ აქ სწავლობდა პიონერული მუშაობის ანბანს, სწავლობდა ცხოვრებას. მათ ახლა შენ შეცვლი, გავა დრო და მერე შენც მათსავით იტყვი: „ჩვენი სასახლე"; ასე იტყვი, რადგან შენთვის მუდამ ღიაა მისი კარი, შენა ხარ მისი ყველაზე სასურველი სტუმარი, შენ აქ ყოველთვის მოუთმენლად გელიან.

და განა მარტო აქ, ამ სასახლეში, ყველა რაიონსა და ქალაქში მოუთმენლად გელის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი, საბავშვო ბიბლიოთეკა, ნორჩ ტურისტთა, ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგური, კულტურის სახლის თუ სასახლის ბავშვთა სექტორი, მუსიკალური და სპორტული სკოლა, პიონერული პარკი. ეს, მართლაც, დიდი სიმდიდრეა, ხუთი ათეული წელიწადი დასჭირდა მის შექმნას! და თუ ამ სიმდიდრეს შენ და შენი თანატოლები კარგად გამოიყენებთ მომავალი ცხოვრებისათვის, ეს იმის დასტური იქნება, რომ ადამიანებს თქვენამდე ტყუილად არ უშრომიათ.

შენი „ნაკადული“

ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა „ნ ა კ ა დ უ ლ ი“, 380073, თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქუჩა, 5, ტელეფონი 95-19-94.

„ნაკადულის“ წიგნის სასლი, 380173, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 15, ტელეფონი 37-03-18.

რამდენი წიგნი გაქვს წაკითხული?

რამდენი წიგნი დევს შენს წიგნის თაროზე?

რამდენი წიგნი მიგიღია საჩუქრად მეგობრებისაგან შენი დაბადების დღეს, „ზღაპრების გუდა“, საყმაწვილო მოთხრობების კრებული, ლექსების კონა... რომ მოინდომო კიდეც, მაინც ვერ ჩამოთვლი. მართლაც, ზღაპრულ ასფურცელასავითაა: თვლი და მაინც ვერ დაგითვლია, კითხულობ და მაინც ვერ ამოგიწურავს, სულ მოდის და მოდის, და მაინც არ წყდება.

მართლაც, ნაკადულივით ულევია!

იმიტომაც ჰქვია შენს გამომცემლობას „ნაკადული“, რომ იგი არასოდეს არ ილევა, სულ მოეღინება და თავისი ანკარა, კამკამა წიგნებით ავსებს შენი ბავშვობის დღეებს; ნაკადულივით თამაშთამაშაა და წმინდა; ნაკადულივით საჭიროა და დაუზარელი, ყველასთან მივა, ყველას მიუალერსებს, ყველას უზიარებს უკვდავების წყალს — თავის წიგნებს. ნაკადულივით გულმდიდარია, რადგან რაც უფრო მეტი მეგობარი ჰყავს, ძალაც მეტი აქვს და სიკეთეც მეტი მოაქვს. აი, ამიტომაც ჰქვია „ნაკადული“.

იგი თითქმის 40 წელია არსებობს და იცი, რამდენი წიგნი აქვს გამოცემული შენი თანატოლებისათვის? მილიონი!

თუ დაუმეგობრდები „ნაკადულის“ წიგნებს (ჩვენ კი გვჯერა, რომ უკვე ნამდვილი მეგობრები ხართ!), ბევრი საინტერესო მოგზაურობა გელის: ეწვევი და გაეცნობი მსოფლიოს ყველა საოცრებას; შეხვდები მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებს და ბევრ, ძალიან ბევრ საინტერესო ამბავს შეიტყობ მათი ცხოვრებიდან; იმოგზაურებ მეცნიერებისა და ტექნიკის საოცარ სამყაროში, აი იმ ზღაპრულ ქვეყანაში, რომელსაც ჩვენი მომავალი ჰქვია: გაიგებ, რას წარმოადგენენ ციური სხეულები, რატომ გუგუნებენ ვულკანები, როგორ იბადებიან და ქრებიან კუნძულები, რისთვის ჩადიან ადამიანები ოკეანის ფსკერზე და რას ეძებენ მთვარისა თუ მარსის უდაბნოებში... ყველაფერზე გიამბობენ „ნაკადულის“ წიგნები, შენი ერთგული და კეთილი მეგობრები, თუკი შენც ასეთივე ერთგული და კეთილი მეგობარი იქნები მათთვის.


CIMEA

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ!

ჩვენო თანატოლო!

ჩვენ, 39 ქვეყნის ბავშვები, აქედან, „არტეკიდან“, მივმართავთ შენს გულს, შენს გონებას. ჩვენ მეგობრულ ხელს გიწვდით, რადგან ვიცით, რომ ქვეყნად ყველაფერზე ძლიერია უბრალო ადამიანთა სოლიდარობა. ჩვენზეა დამოკიდებული ჩვენი პლანეტის — დედამიწის — მომავალი.

ჩვენ სხვადასხვა კონტინენტებზე ვცხოვრობთ, ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის, გვესმოდეს ერთმანეთისა, ვიყოთ ნამდვილი მეგობრები.

ჩვენ, ჩვენო თანატოლო, გულდამშვიდებით ვერ ვიქნებით, თუ დღეს, აი ამ წუთში, ვიეტნამში ისევ სკდება ბომბები, პორტუგალიელი კოლონიზატორები ტყვიას უშენენ ანგოლისა და მოზამბიკის ბავშვებს, ისრაელი აგრესორები კი მშობლიური სახლებიდან სდევნიან არაბ ყმაწვილებს.

ჩვენ, ჩვენო თანატოლო, გულმშვიდად ვერ ვიქნებით, თუ მზესა და მშვიდობას ატომური ღრუბლები ემუქრებიან!

„არტეკში“ ჩვენ მშვიდობიანი ცა დაგვნათის, მაგრამ არასდროს არ გვავიწყდება, რომ ეს ცა ყველგან არ არის ასეთი სუფთა და მშვიდობიანი; ჩვენ გვახსოვს, რომ მილიონობით ბავშვი სიღატაკეში ცხოვრობს, შიმშილობს; რომ მილიონობით ჩვენმა თანატოლმა წერა-კითხვა არ იცის, მაგრამ ბავშვები არ არიან ამაში დამნაშავენი! ჩვენ ვადანაშაულებთ იმპერიალიზმს!

ჩვენი ამოცანა, ჩვენო თანატოლო და უცნობო მეგობარო, ის არის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა, გავიზარდოთ მამაც და გულმართალ ადამიანებად, ვებრძოლოთ ყოველგვარ სიბოროტეს, ვიყოთ გულისხმიერი სხვისი უბედურების მიმართ!

ჩვენ უნდა გავხდეთ მტკიცე ინტერნაციონალისტები!

39 ქვეყნის პიონერების მიმართვა
მსოფლიოს ბავშვებისადმი.
არტეკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ, უფრო სწორი ის იქნებოდა, ამ განყოფილებას „ნაირფერი ყელსახვევების გამოფენას“ თუ ვუწოდებდით. და იცი რატომ? იმიტომ, რომ იგი შენს საზღვარგარეთელ თანატოლებზე, მათ პიონერულ ორგანიზაციებზე, სწავლასა და შრომაზე გიამბობს. ჩვენს პლანეტაზე ახლა სამოცამდე ბავშვთა პროგრესული ორგანიზაციაა და ყოველ მათგანს თავისებური ყელსახვევი აქვს. ზოგი წითელია, ზოგიც ლურჯი თუ ნარინჯისფერი; ზოგს გარშემო თეთრი არშია აქვს შემოვლებული, ზოგიერთ ყელსახვევზე დიდი ნაცრისფერი სპილოა გამოსახული, ზოგში კი ორი თუ სამი სხვადასხვა ფერია შერწყმული... ერთად რომ შეკრიბო, მართლაც, ნაირფერი ყელსახვევების გამოფენა იქნება.

ლამაზი და უჩვეულო გამოფენა!

გამოფენა, რომელიც მოგითხრობს ბულგარელ „სექტემბრელებზე“, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნორჩ ტელმანელებზე, კიმ დონგის ლაშქარზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, შენს იუგოსლავიელ თანატოლებზე, თავისუფალი კორეისა და კუბის პიონერებზე, ნორჩ სუხებატორელებზე, პოლონელ სარცერებზე და უნგრელ უტიერებზე, რუმინელ და ჩეხოსლოვაკიელ ნორჩ პიონერებზე. მათი პიონერული ორგანიზაციების ცხოვრება და კანონები ძალზე ჰგავს შენი ორგანიზაციის ცხოვრებასა და კანონებს; ისინიც შენსავით დადიან ლაშქრობებში, აწყობენ საზეიმო შეკრებებს, მათაც აქვთ საზეიმო დაპირება, დევიზი და მოწოდება, პიონერთა კანონები — პიონერული ცხოვრების თავისებური წესდება.

ჩვენი გამოფენა მოგითხრობს ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის ბავშვთა პროგრესულ ორგანიზაციაზედაც. ხომ იცი, რას ნიშნავს სიტყვა „პროგრესული“? „პროგრესი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს წინსვლას, აღმავლობას. „პროგრესული“ ამ სიტყვიდან არის ნაწარმოები. ესე იგი, პროგრესული პიონერული ორგანიზაცია ეს ისეთი ორგანიზაციაა, უკეთესი მომავლისათვის, სიკეთისა და სამართლიანობის გამარჯვებისათვის რომ იბრძვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ძმობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით ზრდის შენს თანატოლებს.

აი, ამიტომ არის, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მთავრობა მხარს არ უჭერს, არავითარ მატერიალურ დახმარებას არ უწევს პიონერულ ორგანიზაციებს. მათ მუშაობას კომუნისტები და ახალგაზრდობის დემოკრატიულ კავშირთა წევრები ხელმძღვანელობენ, ეს მათი საზოგადოებრივი დავალებაა. უფროსი მეგობ-

FRIENDS OF THE CANDLE

THE WOODCRAFT FOLK

БИНАГИ ГИТОВ!

ELORE

SAN SANG

J.R.D.A

SAN SANG

VERSO
VITA
A. P. I.

SEIDBEREIT
D

UNION DE PIONEROS DE CUBA
60. GRADO

UJP

J'AIME
TOUS
LES ENFANTS
DU MONDE

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების დახმარებით ბავშვები აწყობენ შეკრებებს და ლაშქრობებს, მონაწილეობენ მუშათა მიტინგებსა და გაფიცვებში; ყიდიან გაზეთებს, თავისი ხელით გაკეთებულ სათამაშოებს, აგროვებენ ქაღალდის მაკულატურას და მერე, თავისი შრომით შეგროვებული ფულით საინტერესო ღონისძიებებს ატარებენ, ეხმარებიან ღარიბთა ოჯახებს. პიონერები — შენი ყველაზე ერთგული და მტკიცე მეგობრები — ახლა ყველა კონტინენტზე ცხოვრობენ, მათ მსოფლიოს ბევრ, ძალზე ბევრ ქვეყანაში შეხვდები. შენს მეგობრებს იმიტომ ვუწოდებთ, რომ მათ მეგობრული ურთიერთობა აქვთ საბჭოეთის პიონერებთან. ყოველ ზაფხულს „არტეკში" მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პიონერები ჩამოდიან და აქ, ინტერნაციონალური მეგობრობის ყველაზე მთავარ კლუბში, თავიანთი მუშაობის გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, მეგობრდებიან.

ავსტრალია, „ევრიკა"

სწორედ მათზე მოგითხრობს ჩვენი უჩვეულო გამოფენა...

ბავშვთა ლიგა „ევრიკა" შეიქმნა 1952 წელს. თავის რიგებში მწვანე კონტინენტის მუშათა შვილებს აერთიანებს, მუშაობს ავსტრალიის კომუნისტური პარტიისა და ახალგაზრდული ორგანიზაციის „ევრიკას" ხელმძღვანელობით. შენ, ალბათ, გაინტერესებს, რატომ ჰქვია პიონერთა ორგანიზაციას ასეთი უცნაური სახელი. ავსტრალიაში, ვიქტორიას შტატში, არის ქვანახშირის საბადოებით მდიდარი კოლონია „ევრიკა", სადაც რამდენიმე ათასი მაღაროელი ცხოვრობს და მუშაობს. XIX საუკუნის მიწურულს მაღაროელები აჯანყდნენ. აჯანყებულთა ცისფერ დროშებზე ხუთი ვერცხლისფერი ვარსკვლავი იყო გამოსახული. აი, მუშათა ამ აჯანყების აღსანიშნავად უწოდეს პიონერებმა თავის ორგანიზაციას „ევრიკა", დროშა და ყელსახვევიც აჯანყებულთა დროშის ფერისა აქვთ — ცისფერი.

„ევრიკას" რიგებში მუშათა შვილებს იღებენ 10-16 წლის ასაკში, ლიგის ჯგუფები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იქმნება. ავსტრალიელი პიონერები ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებთან ერთად აღნიშნავენ პირველი მაისის ზეიმს, ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს, ბავშვთა დაცვის დღეს, მონაწილეობენ მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში, ასრულებენ თავისი ორგანიზაციის წესდებასა და კანონებს. მთავარი კი ამ წესდებაში ის არის, რომ ყოველი პიონერი „...გაიზარდოს იმ ბრძოლის აქტიურ მონაწილედ, რომელსაც მუშები ეწევიან უკეთესი ცხოვრებისათვის, მშრომელი ხალხის უფლებებისათვის".

ავსტრია, „იუნგე გარდე“

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს, ავსტრიაში შეიქმნა ბავშვთა ორგანიზაცია „იუნგე გარდე“, რაც ჩვენებურად „ახალგაზრდა გვარდიას“ ნიშნავს. 10-14 წლის გოგონები და ბიჭები გვარდიაში რომ შედიან, საზეიმო დაპირებას იძლევიან, რომ „იუნგე გარდეს“ კანონებით იცხოვრებენ და იმუშავებენ. აი, როგორია ეს კანონები:

ჩვენ პატივს ვცემთ მშრომელებს.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო.

ჩვენ ვმეგობრობთ მთელი მსოფლიოს ბავშვებთან.

ჩვენ პატივს ვცემთ და ვაფასებთ ჩვენს მშობლებს.

ჩვენ კარგად ვსწავლობთ, რომ მეტი ვიცოდეთ.

ჩვენ ჩვენი კოლექტივის ერთგულნი ვართ და ყოველთვის ვიცავთ მიცემულ სიტყვას.

ჩვენ მამაცები ვართ და მუდამ მზად ვართ დახმარებისათვის.

ჩვენ მივდევთ ტურიზმს და გვიყვარს ბუნება.

ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს ჯანმრთელობაზე, ვიკაჟებთ სხეულს.

ჩვენი სურვილია, გავხდეთ ავსტრიის თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის ღირსეული წევრები.

ახალგაზრდა გვარდიის წევრები ატარებენ სამკერდე ნიშანს და წითელი ფერის ყელსახვევს, რომელსაც ორი მხრიდან თეთრი არშია გასდევს. ორგანიზაციაში შესვლის დროს გვარდიელებს აძლევენ „იუნგე გარდეს“ საწევრო ბილეთს.

ბულგარეთი, „სეპტემვრიიჩე“

პიონერთა ორგანიზაცია „სეპტემვრიიჩე“ შეიქმნა 1944 წლის 23 სექტემბერს, გერმანელი ოკუპანტებისაგან ბულგარეთის განთავისუფლების ორი კვირის შემდეგ. ამიტომაც უწოდეს მას „სეპტემვრიიჩე“ — „სექტემბრელი“. ეს სიტყვა ბულგარეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ მებრძოლთა სინონიმია. 1949 წელს სექტემბრელთა პიონერულ ორგანიზაციას ბულგარელი ხალხის ბელადის გიორგი დიმიტროვის სახელი მიენიჭა.

„სეპტემვრიიჩეს“ პიონერული ფორმა ძალიან ჰგავს შენს პიონერულ ფორმას. რაზმეულის დროშაც და ყელსახვევიც წითელი ფერისაა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბულგარელი პიონერები ძველ ბულგარულ ქუდს ატარებენ. სექტემბრელების დევიზია:

„სოციალიზმის საქმისათვის, ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისათვის იყავ მზად!“

პასუხია:

„მზად ვარ!“

ბელგია, პიონერთა კავშირი

„პირობას ვდებ, რომ ყველგან და ყოველთვის ვიქნები პიონერი“, — ასეთია უფროსი პიონერების საზეიმო დაპირება პიონერთა კავშირში შესვლის დროს.

„პირობას ვდებ, რომ კარგი ამხანაგი ვიქნები“, — ამბობენ უმცროსები. უფროს ასაკისად ითვლებიან 12-16, ხოლო უმცროსად — 8-12 წლის პიონერები. ისინი, მართლაც, სანიმუშოდ ასრულებენ საზეიმო დაპირებას: აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტური პარტიის მიერ მოწყობილ პოლიტიკურ ღონისძიებებში, უფროსებთან ერთად ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი საარჩევნო კამპანიის დროს, რომ ხალხის წარმომადგენლებმა რაც შეიძლება მეტი ხმა დააგროვონ სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციებში. პიონერთა კავშირის წევრები ძირითადად მუშათა შვილები არიან.

გდრ, ნორჩი ტელმანელები

1920 წელს გერმანიის კომუნისტური პარტიისა და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის გადაწყვეტილებით შეიქმნა პირველი პიონერული ორგანიზაცია. 1924-30 წლებში იგი „ნორჩი სპარტაკელების კავშირის“ სახელს ატარებდა. ნორჩი სპარტაკელების ორგანიზაციამ ათ წელიწადს იარსება, შემდეგ კი ფაშისტებმა კომუნისტურ პარტიასთან და ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირთან ერთად მათი საქმიანობაც აკრძალეს.

ფაშიზმის განადგურების შემდეგ გერმანიის თავსუფალი ახალგაზრდობის კავშირმა ხელი მოჰკიდა ბავშვთა ანტიფაშისტური დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნას. 1948 წლის 16 დეკემბერს შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთიანი პიონერული ორგანიზაცია. 1952 წელს მას გერმანიის მუშათა კლასის ბელადის — ერნსტ ტელმანის სახელი მიეკუთვნა.

ნორჩი ტელმანელები ლურჯი ფერის ყელსახვევს ატარებენ, მათი რაზმეულის დროშაც ლურჯი ფერისაა. ეს გასაგებიცაა — ლურჯი ფერი ხომ შრომისა და მშვიდობიანი ცის სიმბოლოა.

ნორჩი ტელმანელების დევიზია:

„მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!“.

და პასუხი — ტრადიციული, პიონერული:

„მზად ვარ!“

გვინეა, პიონერთა ორგანიზაცია

გვინეის რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაცია 1959 წლის 26 მარტს დაარსდა, როცა გვინეის დამოუკიდებელი რესპუბლიკა სულ რამდენიმე თვის შექმნილი იყო. ახალი ცხოვრება ყველაზე მეტად სკოლას დაეტყო: დაიწყო პიონერთა ჯგუფების ჩამოყალიბება (გვინეაში მათ „სტადოს“ ეძახიან), საინტერესო მუშაობა გაიშალა ნორჩ ნატურალისტთა თუ მხარეთმცოდნეთა წრეებში. მოსწავლეები ამ წრეებში ეცნობიან თავისი ქვეყნის ისტორიას, სწავლობენ ფოლკლორს, ერკვევიან ეკონომიკის საკითხებში. გვინეის პიონერთა ორგანიზაციაში სამი საფეხურია: I საფეხურის პიონერები (7-10 წლის მოსწავლეები) წითელ ყელსახვევს ატარებენ, II საფეხურის პიონერებს (11-14 წლის მოსწავლეები) ყვითელი ყელსახვევი უკეთიათ, III საფეხურის პიონერებს კი (15—18 წლის მოზარდები) მწვანე ფერის ყელსახვევი აქვთ. გვინეის რესპუბლიკის დროშაზედაც ხომ ეს სამი ფერია გამოსახული — წითელი, ყვითელი და მწვანე, როგორც შრომის, სამართლიანობისა და სოლიდარობის სიმბოლო.

გვინეელი პიონერების დევიზია:

„ყოველთვის მხოლოდ წინ, არასოდეს უკან!“

ვიეტნამი, ნორჩი ხო ში მინელეგი

პირველი ბავშვთა კომუნისტური რაზმი ვიეტნამში 1933-35 წლებში არსებობდა. მაგრამ პიონერთა ორგანიზაციის დაარსების თარიღად 1941 წლის 15 მაისი ითვლება, როდესაც ვიეტნამის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დემოკრატიული ფრონტი შეიქმნა კომუნისტების ხელმძღვანელობით. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ პიონერული რაზმები მასობრივად ჩამოყალიბდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. პიონერები აქტიურად მონაწილეობდნენ იმ ბრძოლაში, რასაც მათი მშობლები ეწეოდნენ ჯერ ფრანგი, ხოლო შემდეგ ამერიკელი აგრესორების, კოლონიზატორების წინააღმდეგ.

ამჟამად ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაცია ორ მილიონზე მეტ პიონერს აერთიანებს.

მათი დევიზია: „სოციალისტური სამშობლოს მშენებლობისათვის საბრძოლველად იყავით მზად!“.

1970 წელს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაციას მიენიჭა ვიეტნამელი ხალხის ბელადის — ხო-ში მინის — სახელი. პიონერებმა საზეიმოდ დადვეს პირობა, სანიმუშოდ შეასრულონ ის ექვსი დარიგება, თავისუფალი ვიეტნამის ნორჩ მოქალაქეებს რომ მისცა „ძია ხომ“. აი, ეს ექვსი დარიგება:

„გიყვარდეს სამშობლო. გიყვარდეს ხალხი. გიყვარდეს შრომა. იყავ სამაგალითო სწავლაში. იყავ დისციპლინებული. დაიცავი ჰიგიენის წესები“.

იუგოსლავია, პიონერთა კავშირი

1942 წლის 27 ნოემბერს ბიხაკში, გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ ქალაქში, ჩატარდა იუგოსლავიის ანტიფაშისტური ახალგაზრდობის პირველი ყრილობა. სწორედ ამ ყრილობამ მიიღო დადგენილება განთავისუფლებულ რაიონებში პიონერთა რაზმების შექმნის შესახებ. ეს დღე — 1942 წლის 27 ნოემბერი — პიონერთა ორგანიზაციის შექმნის დღედ ითვლება.

იუგოსლავიელ პიონერებს წითელი ფერის ყელსახვევი აქვთ, ყელსახვევს მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში, შეკრებებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების დროს იკეთებენ. მუშაობა რომ უფრო საინტერესო და სახალისო იყოს, რაზმში სხვადასხვა კოლექტივებს ქმნიან. მაგალითად, ერთ რაზმში შეიძლება იყოს ნორჩი ტურისტების ლაშქარი და ფილატელიის მოყვარულთა კლუბი, ან ნორჩი მეხანძრეების პუნქტი, ან ფიზკულტურული რგოლი. ყოველ ასეთ კოლექტივს თავისი პიონერული აქტივი და ხელმძღვანელი ჰყავს. ჰყავთ შეფებიც — იუგოსლავიის ახალგაზრდათა კავშირის ან სტუდენტთა კავშირის წევრები.

იუგოსლავიის პიონერთა კავშირის დევიზია:

„სამშობლოსათვის, წინ!“

ინდოეთი, ბავშვთა ლიგა

1961 წელს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ნორჩი ლენინელები თავიანთი პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავისათვის ემზადებოდნენ. „არტეკში“ პირველად ჩამოვიდნენ ინდოეთის ბავშვთა ლიგის წევრები. ისინი გატაცებით და დიდი ინტერესით ეცნობოდნენ

სხვადასხვა ქვეყნების პიონერების ცხოვრებას, აქტიურად მონაწილეობდნენ შეხვედრებში, შეკრებებსა და პიონერულ ლაშქრობებში.

1962 წლის 1 იანვარს ინდოეთში შეიქმნა პიონერთა ორგანიზაცია. მის დროშაზე ინდოეთის საზღვრების კონტურებია ამოქარგული, შუაში კი წარწერაა: „პიონერი". პიონერები სამფერ ყელსახვევს ატარებენ. როგორც ინდოეთის სახელმწიფო დროშაზე, მათ ყელსახვევზედაც სამი ფერია: ყვითელი, თეთრი და მწვანე. ინდოელი პიონერები მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბავშვებთან მეგობრობენ, მონაწილეობენ პიონერთა საერთაშორისო შეკრებებში, ხშირად ატარებენ ბავშვთა ნახატების კონკურსებს. ამ ორიოდე წლის წინათ ასეთ კონკურსში ჩვენი რესპუბლიკის პიონერებმაც მიიღეს მონაწილეობა და ჯილდოებიც დაიმსახურეს.

იტალია, პიონერთა ასოციაცია

პირველი პიონერული რაზმი იტალიაში 1944 წელს შეიქმნა, ქალაქ რეჩიო ემილიაში. ადგილობრივმა პარტიზანებმა მას „ნორჩი მზვერავების ასოციაცია" უწოდეს. პიონერთა მოძრაობა მალე მთელ იტალიას მოედო: ჯერ რომში შეიქმნა „ნორჩი გარიბალდელების რაზმები", შემდეგ ნეაპოლშიც გამოჩნდა „იტალიის იმედის" რამდენიმე ჯგუფი. სწორედ ნეაპოლში გაიმართა 1949 წელს პიონერთა პირველი ეროვნული შეკრება და შეიქმნა იტალიის პიონერთა ასოციაცია. იგი ახლა თავის რიგებში 130.000-ზე მეტ პიონერს აერთიანებს.

პიონერთა რაზმები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იქმნება, რადგან მთავრობა პიონერებს არ აძლევს სკოლაში მუშაობის უფლებას. „ნორჩ გარიბალდელებს" ოდნავადაც არ აშინებს მთავრობის აკრძალვა, ისინი აქტიურად მონაწილეობენ მუშათა მიტინგებსა და გაფიცვებში, გაბედულად იცავენ თავიანთ უფლებებს.

იტალიელი პიონერები წითელ ყელსახვევს ატარებენ, მას გარშემო შემოვლებული აქვს სამი ფერის — თეთრი, მწვანე და წითელი ფერის — ზოლები. პიონერთა ასოციაციის დევიზია:

„სიცოცხლის შესახვედრად!"
და პასუხი:
„წინ!"

კსდრ, „სონიონდანი“

ეს იყო 1945 წლის დამლევს, როდესაც კორეელმა პარტიზანებმა საბჭოთა ჯარების დახმარებით თავიანთი ქვეყნიდან განდევნეს იაპონელი იმპერიალისტები. კორეის განთავისუფლებულ ქალაქებში პირველად სწორედ იმ დღეებში გამოჩნდნენ წითელყელსახვევიანი ბავშვები. ბავშვთა ორგანიზაციები ჯერ სტიქიურად იქმნებოდა, შემდეგ კორეის შრომის პარტიის დავალებით, ახალგაზრდობის დემოკრატიულმა კავშირმა ერთ ორგანიზაციად გააერთიანა ეს ჯგუფები. 1946 წლის 6 ივნისს ჩატარდა პიონერთა I შეკრება და ეს თარიღი ითვლება კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღედ. სახელწოდება „სონიონდანი“ თვით პიონერებმა შეარჩიეს. კორეაში ასე ეძახიან ყველაზე მამაც და გაბედულ ადამიანებს.

„სონიონდანი“ თავის რიგებში ახლა ოთხ მილიონამდე წევრს აერთიანებს. მოსწავლეებს პირველი კლასიდანვე იღებენ პიონერთა ორგანიზაციაში. ყოველი წლის 9 სექტემბერს — ეროვნული ზეიმის დღეს — სკოლებში სწავლისა და მოსავლის ზეიმები იმართება. მართლაც, კარგი ტრადიციაა: მთელი ქვეყანა ერთად აღნიშნავს რესპუბლიკის დღეს, მოსავლისა და სწავლის ზეიმს! პირველკლასელებს სწორედ ამ ზეიმზე იღებენ პიონერთა ორგანიზაციის რიგებში, ზეიმზე მოწვეული მშობლები წითელ ყელსახვევებსა და სამკერდე ნიშნებს გადასცემენ მათ.

კორეელი პიონერების მოწოდებაა: „კორეის შრომის პარტიის საქმისათვის, ხალხის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!“

და პასუხი — ტრადიციული, პიონერული:

„მზად ვართ!“

კუბა, პიონერთა კავშირი

ჩვენი სამშობლოდან შორს, კარიბის ზღვაში, 1600 მცირე კუნძულს შორის არის კუნძული კუბა, ახლა მთელი მსოფლიო თავისუფლების კუნძულს რომ ეძახის. 1959 წელს კუბელებმა საბოლოოდ განდევნეს უცხოელი კოლონიზატორები, თითქმის ხუთი საუკუნე რომ ბატონობდნენ მათ სამშობლოში. კუბა გახდა ამერიკის კონტინენტზე პირველი თავისუფალი სოციალისტური სახელმწიფო.

კუბის პიონერთა კავშირი სრულიად ახალგაზრდაა, როგორც თვით რესპუბლიკა. იგი 1961 წლის 4 აპრილს შეიქმნა — კუნძულზე დიქტატურის დამხობისა და სახალხო ხელისუფლების გა-

მარჯვების ოცდაშვიდი თვის შემდეგ. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეს არის პირველი ბავშვთა ორგანიზაცია, კომუნისტური პარტიისა და ხალხის საქმისათვის ერთგულების სულისკვეთებით რომ ზრდის მომავალ თაობას. ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული პიონერული დევიზიც:

„კუბელი პიონერები სოციალიზმისათვის მუდამ მზად ვართ!"

პიონერული ყელსახვევის ერთი ნახევი თეთრი ფერისაა, მეორე კი — ლურჯია. ლურჯი ფერი მშვიდობიანი ცის ფერია, თეთრი კი კუბის რევოლუციის იდეალების სიწმინდის სიმბოლოა. რესპუბლიკის მთავრობა მზრუნველობას არ აკლებს თავისუფალი კუნძულის ნორჩ მოქალაქეებს: მათთვის აშენებს სკოლებს, ინტერნატებს, ბანაკებს, პიონერთა სასახლეებს. კუბის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და კეთილმოწყობილი ინტერნატი ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს, იგი საბჭოთა მთავრობის საჩუქარია კუბელი ბავშვებისადმი. და, აი, უფროსებს არც პიონერები რჩებიან ვალში: ბეჯითად სწავლობენ და შრომობენ, შაქრის პლანტაციებში და ფაბრიკებში აწყობენ კონცერტებს, მუშაობენ მოძრაობის მომწესრიგებლებად, ზრუნავენ სკოლებისა და საცხოვრებელი კვარტალების სისუფთავის დაცვაზე.

კუბელ პიონერებს ერთი კარგი ტრადიცია აქვთ — ისინი ყოველ შეკრებას ასეთი სიტყვებით ამთავრებენ:

„სულ წინ ვიაროთ, პიონერებო. ჩვენი ორგანიზაცია ისე მოვაწყოთ, რომ იგი ზრდიდეს ბედნიერ, მხიარულ, ჯანმრთელ და ძლიერ ბავშვებს, რომლებიც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს, ჩვენი ბედნიერი მომავლის ღირსეული მოქალაქენი იქნებიან.

სამშობლო ან სიკვდილი! ჩვენ გავიმარჯვებთ!"

მალი, პიონერთა ორგანიზაცია

მალის რესპუბლიკის ეროვნული პიონერული ორგანიზაცია ერთ-ერთი პირველი პროგრესული ბავშვთა ორგანიზაციაა აფრიკის კონტინენტზე. იგი ამ 15 წლის წინათ შეიქმნა. მალელი პიონერები სწავლასთან ერთად ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობენ: მუშაობენ გზებისა და არხების მშენებლობაზე, ეხმარებიან მთავრობას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში, არიან „სიფრთხილის ბრიგადის" წევრები: ეს ბრიგადები მალის ახალგაზრდული კავშირის ინიციატივით შეიქმნა იმპერიალიზმის პროვოკაციისა და დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერთა ორგანიზაციის რიგებში იღებენ 8-18 წლის ბავშვებს, რაზმები (მალიში მათ „ჯგუფებს“ ეძახიან) ძირითადად სოფლებისა და საცხოვრებელი კვარტალების მიხედვით იქმნება.

პიონერთა ორგანიზაციის დევიზია: „პიონერი დღეს — პიონერი მუდამ!“

მონღოლეთი, ნორჩი სუხე—ბატოროლები

1925 წლის 8 მაისი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღედ ითვლება. ახალგაზრდობის რევოლუციური კავშირის თაოსნობით ულან-ბატორის პირველ დაწყებით სკოლაში ამ დღეს შეიქმნა ბავშვთა რევოლუციური კავშირი „ცვლა“. 11 ივლისს, სახალხო რევოლუციის გამარჯვების მეოთხე წლისთავის ზეიმზე, ორმა მოსწავლემ გაიკეთა პირველად წითელი ყელსახვევი.

მონღოლეთის პიონერთა ორგანიზაცია ახლა თავის რიგებში ას ათასზე მეტ წევრს აერთიანებს, იგი გმირი რევოლუციონერის — სუხე-ბატორის სახელს ატარებს.

უდიდესი შრომისათვის, სამშობლოსათვის გაწეული დახმარებისა და კარგი სწავლისათვის მონღოლეთის პიონერთა ორგანიზაცია დაჯილდოებულია რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოთი — სუხე-ბატორის ორდენით.

ნორჩი სუხე-ბატორელების დევიზია: „მონღოლეთის სახალხოდემოკრატიული პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!“

და პასუხი:

„მზად ვართ!“

მონღოლეთის პიონერებსა და მოსწავლეებს შორის ახლა ძალზე პოპულარულია მოძრაობა „ხუთი ღირსებისათვის“. ეს ხუთი ღირსებაა: ბეჯითი სწავლა, შეუპოვარი შრომა, სანიმუშო ჰიგიენა, მისაბაძი დისციპლინა, მუყაითობა და სიმარდე. უკვე სამ ათასზე მეტი პიონერი ატარებს „ხუთი ღირსების “სამკერდე ნიშანს.

სწორედ იმ ხანებში, როცა ჩვენში ზეიმით აღინიშნა საბჭოთა პიონერიის 50 წლისთავი, დღესასწაული ჰქონდათ ნორვეგიელ პიონერებსაც: ისინი ზეიმობდნენ თავისი ნორჩი პიონერული კავშირის 20 წლისთავს.

ნორვეგიელი პიონერების სამკერდე ნიშანზე პიონერული კო-

ცონია გამოსახული. ეს ხომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბავშვებთან მეგობრობის, მშობლიური ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლის თავისებური სიმბოლოა. ასეთი სამკერდე ნიშნის ტარების უფლება რომ მოიპოვო, ესე იგი, ნორვეგიის ნორჩ პიონერთა კავშირის წევრი რომ გახდე, უნდა შეისწავლო პიონერული კანონები, იცნობდე კავშირის ტრადიციებს, პირველი მაისის საერთაშორისო დღესასწაულის ისტორიას. და, რა თქმა უნდა, ყველა მომავალ პიონერს უნდა შეეძლოს ადგილმდებარეობის მიხედვით ორიენტირება, კოცონის სწრაფად გაჩაღება, კარავის გაშლა. მხოლოდ ამის შემდეგ გადასცემენ მას ლურჯ ყელსახვევს და პიონერის სამკერდე ნიშანს.

და ნორვეგიელი პიონერების მოწოდებაზე:

„მშვიდობისა და მეგობრობისათვის საბრძოლველად იყავ მზად!"

მას უფლება ექნება, გასცეს პასუხი:

„მზად ვარ!"

რუმინეთი, პიონერთა ორგანიზაცია

პირველი პიონერული რაზმი რუმინეთში 1949 წლის 30 აპრილს შეიქმნა, საპირველმაისო დღესასწაულის წინა დღეს. მეორე დღეს კი, როდესაც ფაშისტებისა და ბურჟუებისაგან განთავისუფლებული ბუქარესტი მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის დღეს ზეიმობდა, დემონსტრაციების კოლონებში წითელყელსახვევიანმა მოსწავლეებმაც ჩაიბარეს. ასე დაიწყო სოციალისტური რუმინეთის პიონერთა ორგანიზაციის ისტორია.

მას შემდეგ ოცდაექვსი წელი გავიდა. ახლა პიონერთა რაზმები და რაზმეულები შექმნილია ყველა სკოლასა და პიონერთა ბანაკში.

რუმინელი პიონერების ფორმა ძალიან ჰგავს შენს საპარადო პიონერულ ფორმას. ყელსახვევი წითელი ფერისაა, სამკერდე ნიშანზე გამოსახულია ალის სამი ენა, სამი თაობის — კომუნისტების, კომკავშირელებისა და პიონერების — ურღვევი კავშირის სიმბოლო. პიონერები ყველგან — სკოლაშიც და პიონერთა სახლშიც — სამკერდე ნიშნით დადიან, ყელსახვევს კი მხოლოდ შეკრებაზე ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში იკეთებენ, როცა არის რაზმის საბჭოს თავმჯდომარის ბრძანება.

რუმინეთის პიონერთა დევიზია:

„კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!“

პასუხი:

„მზად ვარ!“

უნგრეთი, „უტიერები“

უნგრეთში პიონერებს „უტიერებს“ ეძახიან. „უტიერი“ გზის გამკვლევს, ახალი გზების მაძიებელს ნიშნავს უნგრულ ენაზე. უნგრელი პიონერები მუდამ სიახლეს ეძებენ, ახალი გზებით მიდიან წინ.

უნგრეთის პიონერთა კავშირის ისტორია უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის ისტორიასთან ერთად დაიწყო 1919 წელს. რესპუბლიკამ მაშინ 133 დღეს იარსება მხოლოდ, მაგრამ სახალხო ხელისუფლებამ ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოასწრო, მიიღო უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუშებს გადასცა ფაბრიკა-ქარხნები, ბავშვების სწავლისა და დასვენებისათვის რამდენიმე ბანაკიც გახსნა.

მას შემდეგ თითქმის ექვსი ათეული წელი გავიდა, უნგრელი პიონერები ახლა ბედნიერად ცხოვრობენ, ბევრითი სწავლითა და შრომით თვითონაც აქტიურად მონაწილეობენ თავიანთი სამშობლოს ნათელი მომავლის მშენებლობაში.

მათი დევიზი ასეთია: „პიონერებო, წინ! მშრომელი ხალხისათვის, სამშობლოსათვის ურყევად — წინ!“

ამ მოწოდებაზე პიონერები უპასუხებენ:

„წინ!“

მომავალში მოგზაურობაზე, აბა, ვინ იტყვის უარს! ამიტომ იყო, უნგრელმა პიონერებმა ასეთი აქტიური მონაწილეობა რომ მიიღეს მოძრაობაში „პიონერული ექსპედიცია მომავალში“. ექსპედიციის დღიურები გვიამბობენ, როგორ მონაწილეობდნენ პიონერები ქალაქებისა და სოფლების გამწვანებაში, ადგენდნენ მართლაც ზღაპრულ გეგმებს, თუ როგორი იქნება 2000 წელიწადი, ეცნობოდნენ ქარხნებისა და ფაბრიკების მუშაობას, აბარებდნენ გამოცდებს ნორჩი კოსმონავტის წოდებაზე.

პიონერული ექსპედიციის დამთავრების შემდეგ 38 ათასმა რგოლმა კარგი მუშაობით იმის უფლება მიიღო, რომ თავის ალამზე ექსპედიციის წითელი ვარსკვლავი მიემაგრებინა. მაგრამ ექსპედიცია ამით არ დამთავრებულა.

პიონერული ექსპედიცია მომავალში გრძელდება...

ჩეხოსლოვაკიის პიონერები

ჩეხოსლოვაკიის პიონერთა ორგანიზაციის ისტორია 1949 წლის აპრილიდან იწყება. სახელმძღვანელოებში ასეა ჩაწერილი, მაგრამ სინამდვილეში პიონერთა ორგანიზაცია ჩეხოსლოვაკიაში ბურჟუაზიული ხელისუფლების დროსაც არსებობდა: თითქმის ხუთი ათეული წლის წინათ მუშათა შვილები წითელი პიონერების ორგანიზაციაში გაერთიანდნენ. დღესაც სიამაყით იგონებენ წითელ პიონერებს, მთავრობისაგან მალულად რომ იკრიბებოდნენ და კომუნისტებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ ფაბრიკანტებისა და მემამულეების წინააღმდეგ.

პოლიცია შეკრებას უკრძალავდა მათ, ჯაშუშები ყველგან უთვალთვალებდნენ: სკოლაში და ეზოში თამაშის დროსაც კი. სკოლაში თუ გაიგებდნენ, რომელიმე მოსწავლე პიონერთა ორგანიზაციაში შევიდაო, მასწავლებლები მათ ცუდ ნიშანს უწერდნენ ყოფაქცევაში, ზოგჯერ სკოლიდანაც რიცხავდნენ, მათ მშობლებს კი სამუშაოდან ითხოვდნენ. ფაშისტური ოკუპაციის დროს ბევრი მათგანი საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაამწყვდიეს, მაგრამ წითელი პიონერების ნებისყოფა მაინც ვერ გატეხეს. ჩეხოსლოვაკიის პიონერთა ორგანიზაციის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი 70 ნორჩი პატრიოტის სახელი, — ისინი ფაშისტებმა დახვრიტეს მხოლოდ იმისათვის, რომ უარი თქვეს პიონერული ყელსახვევის მოხსნაზე...

დღეს ჩეხოსლოვაკიის პიონერთა ორგანიზაციაში ორ მილიონზე მეტი პიონერია. პიონერული დევიზია:

„სოციალისტური სამშობლოს მშენებლობისა და დაცვისათვის იყავით მზად!"

პასუხი ტრადიციულია, პიონერული:

„მზად ვართ!"

სიმეა

შენი რაზმეული თუ გამოდის საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრებაში, მძლეოსნური ოთხჭიდში „მეგობრობა?" იქნებ შენც მონაწილეობდი ბავშვთა ნახატების საერთაშორისო გამოფენაში ან საჩუქრებს აგროვებდი ვიეტნამელი თანატოლების დასახმარებლად? მაგრამ თუ იცი, ვისი დახმარებით ტარდება ეს ღონისძიებები?

სიმეა — შემოკლებით ასე ეწოდება ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციების საერთაშორისო კომიტეტს. იგი 1957 წელს შეიქმნა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციას-

თან. ალბათ, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ხშირად გინახავს ლურჯი გლობუსი, თეთრი ფერის პიონერული ყელსახვევი რომ აქვს შემოხვეული. აი, ეს არის სიმეას სამკერდე ნიშანი. სიმეას ძალზე საინტერესო ემბლემა აქვს — მხიარული თოჯინა ვიკი, სწორედ ის ვიკი, აქვე, ჩვენი წიგნის ამ გვერდზე რომ არის გამოსახული. სიმეას თავისი ჰიმნიც აქვს — „მეგობრობის ხიდი".

სიმეას მთელი მსოფლიოს ბავშვების კეთილ მრჩეველსა და ერთგულ მეგობარს უწოდებენ. ეს, მართლაც, დიდი საერთაშორისო პიონერული რაზმეულია, მსოფლიოს ოცდაათზე მეტი ქვეყნის ორმოც მილიონ პიონერს რომ აერთიანებს. მის სახელზე ჩვენი პლანეტის ყველა კუთხიდან მოდის წერილები. სხვადასხვანაირია ეს წერილები — ზოგში თხოვნაა მიწისძვრისაგან დაზარალებული ბავშვებისათვის დახმარების გასაწევად, ზოგში მადლობა იმ მეგობრული ამანათებისათვის, სიმეას მოწოდებით რომ გაგზავნეს აფრიკასა თუ აზიაში მრავალი ქვეყნის პიონერებმა, ზოგსაც დამეგობრება უნდა თავის საზღვარგარეთელ თანატოლებთან და სიმეას სთხოვს დახმარებას...

შენც შეგიძლია შენთვის საინტერესო საკითხზე ბარათი გაუგზავნო სიმეას. მით უმეტეს, რომ ჩვენ მხოლოდ ძალზე მცირე რამ გიამბეთ შენი საზღვარგარეთელი თანატოლების ცხოვრებაზე, სიმეას კი შეუძლია ბევრი საინტერესო მასალა გამოგიგზავნოს.

აი, მისი მისამართი:

პრაღა, ჩეხოსლოვაკია, სიმეა, მსოფლიოს ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციების საერთაშორისო კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული

მუსიკა ს. ცინცაძისა

ლექსი პ. გრუზინსკისა

გვიღიმის მთაცა და ბარიც,
ღიღინებს ჭაღარა მტკვარიც,
ყვავილთა ზღვაური ღელავს,
სალამი, სალამი ყველას.

მისამღერი:

მშვიდობის დროშად,
მშვიდობის ფარად
ლალის ვარსკვლავი ანთია,
მზადა ვართ მარად,
მზადა ვართ მარად,
მივბაძოთ დიად პარტიას.

მხარდამხარ მოვდივართ ლაღად,
არ ვიცით რა არის დაღლა,
დიდება უსაზღვრო მამულს,
ასწიეთ დროშები მაღლა.

მისამღერი:

სულ ყველამ ჩაბერეთ ბუკი,
გვინათებს ლენინის შუქი,
დავჭექოთ სიმღერა ლაღად,
ავწიოთ დროშები მაღლა.

მისამღერი:

Нинуа Джемал Александрович

Будь готов!

(На грузинском языке)

Художник З. Деисадзе
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1977

ИБ № 173

რედაქტორი ლ. ქადაგიშვილი,
მხატვარი ზ. დეისაძე,
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე,
ტექრედაქტორი ლ. ქვარცხავა,
კონტრ.-კორექტორი დ. კალანდარიშვილი,
კორექტორი ქ. გუნცაძე,
გამომშვები ნ. კაკაშვილი.

გადაეცა ასაწყობად 8.VIII.75 წ.
ანაწყობის ზომა 6×10;
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/III-77.
ქაღალდის ზომა 70×90 1/16
ნაბეჭდი თაბახი 9,95;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,95
უე 00343.
ტირაჟი 20.000
შეკვეთის № 2788
ფასი 39 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. № 5.
Издательство «Накадули», Тбилиси,
ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი, 7.
Тбилисская книжная фабрика Государственного комитета Совета министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7


ВСЕГДА ГОТОВЫ

ᲒᲐᲜᲫᲘᲡ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲯᲗ 34/1